PRIME Time

N20 (321), ორშაბათი 25 მაისი 2015 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი

www.ptpress.ge

რა ფული ჩადო ირაკლი ალასანიამ TVS-ში

„შეიძლება არხი პოლიტიკური მართლაც გახდეს“

მარგველაშვილი პარლამენტის წინააღმდეგ „ეს დიდი სკანდალია“

„ეროვნულ ბანკს ადეიშვილის პროკურორები აკონტროლებენ“

ვის ჯიბეში მიდის გარევაჭრობიდან შემოსული ფული?

გია ბურჯანაძე: „ყოველდღიურად გარემოვაჭრეებისგან საკმაოდ დიდი თანხა იკრიბება. დადის გაურკვეველი პირი და აგროვებს მოსაკრებელს“

EXCLUSIVE

ეროვნული კინოცენტრის პროექტმა „კინო სკოლაში“ რეგიონებში მოსწავლეებს კინო შეაყვარა

პროკურატურა საიდუმლო გამოძიებას ატარებს

„ამ და კიდევ რამდენიმე საქმის გამოძიება სრულიად გასაიდუმლოებულ რეჟიმში მიმდინარეობს და ნუ გაგიკვირდებათ, თუ ამ ბატონს მალე საბრალდებო სკამზე დასვამენ“

ვინ ითხოვდა მილიონს ქრთამად

„თავართქილაძემ ნაცვლიშვილისთვის ნახევარი მილიონის გადახდაზე უარი თქვა, მის მიერ შეტანილი განცხადებაც უგზო-უკვლოდ გაუჩინარდა“

ევექსი
სამედიცინო კორპორაცია

გურჯაანში მამამ შვილი ცემით სიკვდილამდე მიიყვანა EXCLUSIVE

„მალიზიანებდა ბავშვების ტირილი... რომ დავუყვირე და არ გაჩერდა, რამდენჯერმე დავარტყი“

რუსი ჰაკერები სუბლატს თავს დაესხნენ

SCANDAL

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ევროვიზია - 2015

რუსი ჰაკერები სუბლატს თავს დაესხნენ

სოციალურ ქსელებში წერდნენ, რომ რუსეთის დელეგაცია „ევროვიზიაზე“ ქართველი კონკურსანტის მიმართ საკუთარ ნეგატიურ დამოკიდებულებას არც მალავდა. პოლიტიკაში რომ შავი პიარისთვის არც ფულს იშურებენ და არც ფანტაზიას, ეს დიდი ხანია გავიგეთ. ახლა, როგორც ჩანს, შავი პიარის მსხვერპლი ნინო სუბლატი აღმოჩნდა. ქართველ მომღერალს ევროპულ გამოკითხვებში ლიდერის პოზიციები ეკავა და „ბი-ბი-სი“-ც მასზე მხოლოდ დადებით კონტექსტში წერდა. შედეგმაც არ დააყოვნა, იმავე „ბი-ბი-სი“-ზე გაჩნდა ინფორმაცია სათაურით: ნინო სუბლატი ნარკოტიკების მოხმარებისთვის პოლიციამ დააკავა. ამ მასალას სწორედ რუსულ ჰაკერებს მიაწერენ.

ჰაკერების ტექსტი ასეთი იყო:

„ქართველი მომღერალი, ნინა სუბლატი ვენაში ნარკოტიკების მოხმარების გამო დააკავეს.

როგორც ავსტრიელი პოლიციელი იტყობინება, ნინას ქცევა ძალიან უცნაური იყო, როდესაც მისგან ავტოგრაფის აღებას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი ცდილობდა.

როდესაც პოლიციელმა მისი შემოწმება სცადა, ნინას ტესტმა კოკაინზე დადებითი შედეგი აჩვენა, ხოლო მის ჩანთაში, დამატებით, ერთი უნცია კოკაინი აღმოაჩინეს.

ედვარდ ბოლდმენი: „მე შოკში ვარ, რაც ჩემი მისამართით ცოტა ხნის წინ მოხდა. მე ყველაზე მეტად მომწონდა ქართველი კონკურსანტი და მთელი პროექტის განმავლობაში ვცდილობდი, მისგან ავტოგრაფის აღებას. სამწუხაროდ, მან ყვირილი დაიწყო და ცდილობდა, ჩემთვის წყლის ბოთლი დაერტყა“.

წყარო: BBC.Com – კლონირებული საიტი.

ზაზა შენგელია იყო პირველი, ვინც ჟიურიში ნინა სუბლატი პირველმა შეაფასა. მაშინ ნინამ პირველად მიიღო მონაწილეობა სატელევიზიო კონკურსში „საქართველოს ვარსკვლავი“. შენგელია სოციალურ ქსელში ყველაზე ზუსტ შეფასებას აძლევს „ევროვიზიის“ წლევანდელ კონკურსს:

„საქართველომ (და შესაძლოა, სხვა ქვეყნებმაც მხარი აუბან, მით უმეტეს, რომ ეს აზრი უკვე სერიოზულად მუსირებს ევროპის მაუწყებელთა კავშირის ქვეყნებში) უნდა დატოვოს „ევროვიზიის“ ბანძი კონკურსი, ხმის მიცემის ინვალიდი სისტემის შეცვლამდე, სანამ ეს სისტემა არ შეიცვლება ჟიურის კლასიკური სისტემით, როგორც ეს იყო ადრე.

ბევრი ქვეყანა, მათ შორის ავსტრია, იტალია, რამდენიმე წელი არ მონაწილეობდა ამ კონკურსში ამის გამო... რაც შეეხება რუსეთს: ჰმმმ, როცა უკრაინა,ზოგადად, როგორც ქვეყანა არ გამოდის „ევროვიზიის“ კონკურსზე რუსეთთან ომის გამო, და ამ დროს მთელი ევროპა და კიდევ ავსტრალია ზემოდან ქულებს აძლევს რუსეთს, ეს არის ზღვარგადასული ტრაკის მიცემა ევროპის ქვეყნების მხრიდან და ისინი რუსულ ჩექმასა და ტანკს იმსახურებენ, საკუთარ სამშობლოებში, რომ გამოსცადონ და იწვნიონ ის, რაც ჩვენ და უკრაინამ გამოვცადეთ...“

ნატუკა კახიძე სექსტეტში - 17 წლის შემდეგ სცენაზე

my View

თამარ გონგაძე

დაარსდა ახალი საგაზაფხულო ფესტივალი. ეს არის ჯანსუღ კახიძის დაბადებიდან 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი. ფესტივალის ფარგლებში, 22-24 მაისს, ვახტანგ კახიძემ ამ ფესტივალის ფარგლებში თავისი საავტორო კონცერტი გამართა, რომელზეც მისი კინოსა და თეატრის შემოქმედება, სიმღერები, ჯაზ-ფოლკი აჟღერდა. მაესტრომ ინსტრუმენტზე დაკვრის და დირიჟორობის გარდა იმღერა კიდეც. მის შემოქმედებას თბილისის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად სექსტეტი ასრულებდა, რომელშიც სხვა შემსრულებლებთან ერთად ვატოს ქალიშვილი ნატუკა კახიძე მღეროდა. სექსტეტში ასევე მღეროდნენ - ნატალია ქუთათელაძე, ნეკა სებისკვერაძე, გოგა მესხი, გიორგი სუხიტაშვილი და ბუკა კარტოზია. კონცერტი ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში ჩატარდა.

ნატუკა კახიძე:

- არავის ეგონოს, რომ რახან ვატოს შვილი ვარ, ამით წინ ვარ. მეც ისევე გამიმართლა, როგორც სხვა დანარჩენ შემსრულებელს ამ კონცერტში. ამ კონცერტზე სიმღერა ჩემთვის ბევრი რამაა. ბავშვობიდან ვმღერი, თუმცა მერე სხვა განხრთ წავედი. ბოლოს ჯანოსთან ერთად საშობაო კონცერტზე 17 წლის წინ ვიმღერე. ვატო თავის კონცერტს იშვიათად ნიშნავს და მინდა აღვნიშნო, რომ ფანტასტიკური კონცერტი გამოვიდა. მამასთან ტანდემი მაგარია. არ ვარ სუბიექტური. მის გვერდით პროფესიონალის ხელში ხარ და ამის გამო მშვიდდები. სპექტაკლზე ერთად გვიმუშავია და ასე კონცერტზე პირველად გადავიკვეთეთ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გიორგი მარგველაშვილის ვაჟის ნათლია პატრიარქი გახდა

საქართველოს პრეზიდენტის, გიორგი მარგველაშვილისა და მაკა ჩიჩუას ვაჟი - თემო მარგველაშვილი 22 მაისს, ნიკოლოზობის დღესასწაულზე გაქრისტიანდა. სამი თვის თემო სამების საკათედრო ტაძრის ეზოში მდებარე სულიწმინდის სახელობის ტაძარში მონათლეს, მისი ნათლობის სახელი კი ნიკოლოზია. პრეზიდენტის ვაჟის ნათლიები საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე, პრეზიდენტის დაცვის უფროსი მერაბ სუჯაშვილი და იღუმენია დიოდორა არიან.

რა ჯდება საქართველოში მსოფლიო ვარსკვლავების ჩამოყვანა

მირიან ბოქოლიშვილი

საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ საქართველოში მსოფლიო დონის ვარსკვლავების ჩამოყვანა ქვეყნის იმიჯის საქმეა. ამ მოსაზრების მხარდამჭერები მიიჩნევენ, რომ ეს ქვეყნის პოპულარიზაციასა და ტურისტების მოზიდვას უწყობს ხელს. მეორე ნაწილი კი ფიქრობს, რომ ისედაც რთული სოციალურ-ეკონომიკური ფონის გათვალისწინებით, მსგავსი ღონისძიებების გამართვის ფუფუნება არ გვაქვს. ერთი მხრივ, წინა ხელისუფლება მილიონებს არ იშურებდა საქართველოში სხვადასხვა გასართობი ღონისძიებებისა და მსოფლიო ვარსკვლავების მოზიდვის მიზნით, მეორე მხრივ კი, მოქმედი ხელისუფლება თითქმის მთლიანად უარს ამბობს ასეთ მიდგომაზე. ორივეს კი საკუთარი არგუმენტები აქვს – სააკაშვილის გუნდი მიჩნევდა, რომ ასეთ ღონისძიებებში დახარჯული ფული მომავალში კიდევ უფრო მეტ შემოსავალს მოუტანდა ქვეყანას, ღარიბაშვილის მთავრობა კი დარწმუნებულია, რომ ამას არანაირი ეფექტი არ მოაქვს და სჯობია, თანხები სოციალურ პროექტებზე დაიხარჯოს.



ალბათ, გაინტერესებთ, რა ჯდება საქართველოში მსოფლიო დონის ვარსკვლავების ჩამოყვანა და როგორია ქართველი შემსრულებლების ჰონორარი? ამის გასარკვევად კულტურის სამინისტროს მიერ 2011 წელს გაფორმებულ ხელშეკრულებებს გადავავლეთ თვალი, რის საფუძველზეც საქართველოში არაერთი ვარსკვლავი ჩამოიყვანეს.

ირკვევა, რომ 2011 წელს საქართველოში ანდრია ბოჩელის ჩამოყვანა სახელმწიფო ბიუჯეტს საკმაოდ ძვირი დაუჯდა. კონცერტის ორგანიზებისთვის სხვადასხვა უცხოურ კომპანიებს 214 ათასი, 194 ათასი და 334 ათასი ლარი გადაერიცხათ. თავად ცნობილი საოპერო მომღერლის ანგარიშზე კი 1 მილიონ 600 ათასი ლარი ჩაირიცხა. კულტურის სამინისტრომ 4 მილიონ 134 ათასი ლარი გადაიხადა ბათუმში ხულიო იგლესიასის მონაწილეობით საახალწლო კონცერტის ორგანიზებისთვის. სტინგისა და კრის ბოტის ცნობილი საქველმოქმედო კონცერტი ბათუმში, ასევე, საქართველოს მთავრობის ინიციატივით გაიმართა. როგორც დოკუმენტებით ირკვევა, 4 სიმღერის შესრულებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან სტინგმა, ჰონორარის სახით, 300 000 დოლარი მიიღო. კრის ბოტის კი 90 000 დოლარი ჩაერიცხა. სხვათა შორის, ამ კონცერტს ხმაურისა და მითქმა-მოთქმის გარეშე არ ჩაუვლია. საქმე ის გახლავთ, რომ კულტურის სამინისტრომ კონცერტის ორგანიზატორებს დაპირებული 1500 დასაჯდომი ბილეთის ნაცვლად 858 დასაჯდომი და 200 ფეხზე დასადგომი ბილეთი გადასცა. დანარჩენი კი პრეზიდენტის ადმინისტრაციამ შეიძინა, რისთვისაც ბიუჯეტიდან დამატებით გამოიყო 227 900 ლარი. სტინგისა და კრის ბოტის კონცერტზე დასასწრები ბილეთი 400 ლარი ღირდა. მესტიაში საახალწლო კონცერტი, „უკრაინული ახალი წელი საქართველოში“, ბიუჯეტიდან 176 ათასი ლარით დაფინანსდა.

თანხები მართლაც შთამბეჭდავია, თუმცა საზოგადოებაში დღესაც სადავოა ამ თანხების ხარჯვის ეფექტურობა. ეს მხოლოდ მსოფლიო ვარსკვლავებს არ ეხებათ. კითხვებს აჩენს ქართველი შემსრულებლების ჰონორარებიც. ბევრი მუსიკოსი საუბრობს, რომ წინა ხელისუფლების დროს მთავრობის მიერ დაფინანსებულ კონცერტებზე ძირითადად ის მომღერლები გამოჰყავდათ, ვინც „ნაციონალურ მოძრაობას“ გულშემატკივრობდნენ. შესაბამისად, ჰონორარების მოცულობასაც პოლიტიკური ელფერი დაჰკრავდა. ასე მაგალითად, 2011 წლის 2 აგვისტოს ბათუმში კონცერტ MTV GEORGIA LIVE-ში ჯგუფ „სტეფანე და 3 G“-ს მონაწილეობისთვის მხოლოდ ერთ საღამოში სტეფანე მღებრიშვილს 25 ათასი დოლარი გადაუხადეს, ხოლო იმავე კონცერტში ჯგუფ „ელდრაინის“ მონაწილეობისთვის სერგო სულაძეს – 12 ათას 500 დოლარი. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ფაქტთან დაკავშირებით კითხვები გაუჩნდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურს, ვინაიდან შემსრულებლებთან ხელშეკრულებები კონცერტის გამართვიდან 4 თვის შემდეგ დაიდო.

აუდიტის სამსახურმა ამავე კონცერტის ორგანიზებისთვის გაფორმებული ხელშეკრულებების კანონიერებაც შეისწავლა, რის შედეგადაც აუდიტორები მივიდნენ დასკვნამდე, რომ სახელმწიფო ბიუჯეტმა მხოლოდ ამ კონკრეტულ შემთხვევაში 260 ათასი ლარით იზარალა. MTV GEORGIA LIVE-ის ორგანიზებისთვის კულტურის სამინისტროს მიერ სულ გადახდილია 1 მილიონ 394 ათასი ლარი, მათ შორის არარეზიდენტი საწარმოსთვის (MTV NETWORKS EUROPE) – 1 მილიონ 235 ათასი ლარი. აუდიტის ინფორმაციით, სამინისტროს მიერ უკუდაბეგვრის წესით დღგ-თი დაბეგრილი არ არის არარეზიდენტის საწარმოს მომსახურება საქართველოს ტერიტორიაზე, რის შედეგადაც ბიუჯეტში გადაუხდელმა თანხამ 260 ათასი ლარი შეადგინა.

რა პოსტებს დაიკავებენ რესპუბლიკელები მთავრობაში

სახელისუფლებო კულუარებში ამბობენ, რომ რესპუბლიკელები კიდევ რამდენიმე პორტფელს დაიკავებენ ვერტიკალზე. მათ შორის სახელდება საგარეო საქმეთა სამინისტრო და გაყოფის შემდეგ პატრული. კოალიციის ფარგლებში ისინი რამდენი რეგიონის გუბერნატორობასაც ითხოვენ. სავარაუდოდ, სერიოზული ინტერესები ექნებათ აჭარაშიც.

საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე დასახელდნენ ლევან ბერძენიშვილი და ივლიანე ხაინდრავა. რაც შეეხება პატრულს, ამ თემაზე კონკრეტული საუბარი ჯერ არ არის. სავარაუდოდ, ეს თემა დღის წესრიგში შემოდგომაზე დადგება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნახევარი მილიონი საქმის გამოძიები

მირიან ბოქოლიშვილი

ლაშა ნაცვლიშვილი ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენით არ იყო დაინტერესებული. ასეთ განცხადებებს უკვე თავად მმართველი გუნდის წარმომადგენლები აკეთებენ, რომლებმაც მხოლოდ ახლა აღმოაჩინეს, ვინ და რა მიზნით აფერხებდა გახმაურებული საქმეების გამოძიებას. კონკრეტულ საქმეებზე ღიად არავინ საუბრობს, თუმცა პირად საუბრებში რამდენიმე ფაქტს იხსენებენ, სადაც ლაშა ნაცვლიშვილის ფინანსური დაინტერესება გამოიკვეთა. ეს ხმები ბიძინა ივანიშვილამდეც მივიდა და სწორედ ამის შემდეგ ჩამოაშორეს ნაცვლიშვილი პროკურატურის სადავეებს, თუმცა, როგორც ჩვენი წყარო გვეუბნება, საქმე ამით არ დამთავრებულა, ვინაიდან მთავარი პროკურორის ყოფილი მოადგილე შესაძლოა, მალე გისოსებს მიღმაც კი ვიხილოთ.

ჩვენი ინფორმაციით, საგამოძიებო ორგანოში უკვე დევს არაერთი კომპრომატი და მტკიცებულება, რომელიც ნაცვლიშვილის ბრალეულობაზე მიუთითებს, მათ შორის კახი ასათიანი მკვლელობის გამოძიების, უფრო სწორად არგამოძიების შესახებ. როგორც ინფორმირებული წყარო გვიყვება, კახი ასათიანის ქვრივი საქმის გამოძიების მოთხოვნით მთავარი პროკურორის იმჟამინდელ მოადგილეს ჯერ კიდევ 2013 წელს შეხვდა. შეხვედრა პროკურატურაში შედგა. ლუიზა თავართქილაძემ განცხადებაც დაწერა საქმის გამოძიების მოთხოვნით, თუმცა, როგორც წყარო ამბობს, მას ლაშა ნაცვლიშვილმა ამ საქმის გასახსნელად, არც მეტი, არც ნაკლები, ნახევარი მილიონის გადახდა მოსთხოვა.

„ეს არის ერთ-ერთი ის საქმე, სადაც ნაცვლიშვილის ძალიან თავხედური დანაშაული იკვეთება. როგორც ვიცი, ამ და კიდევ რამდენიმე საქმის გამოძიება სრულიად გასაიდუმლოებულ რეჟიმში მიმდინარეობს და ნუ გაგიკვირდებათ, თუ ამ ბატონს მალე საბრალდებო სკამზე დასვამენ. საბოლოოდ, ასათიანის ქვრივმა შუამავლის მეშვეობით შეუთვალა, რომ ის საქმის გამოძიებისთვის ქრთამის გადახდას არ აპირებდა. ეს იმდენად უზნეო

„კონკრეტულ პირებს სთავაზობდა, რომ საქმეს გახსნიდა და სასამართლოში მსვლელობას მისცემდა, თუმცა ამას უანგაროდ არ აკეთებდა, დაზარალებულებს პირდაპირ „სტავკებს“ უსახელებდა“

EXCLUSIVE

საქციელი იყო, რომ შემდეგ საერთო ნაცნობების წრეში გარჩევის საგანიც კი გახდა“, – ამბობს ჩვენი წყარო.

მისივე თქმით, მას შემდეგ, რაც ლუიზა თავართქილაძემ ნაცვლიშვილისთვის ნახევარი მილიონის გადახდაზე უარი თქვა, მის მიერ შეტანილი განცხადებაც უგზო-უკვლოდ გაუჩინარდა.

ახალი ხელისუფლების პირობებში განახლდა თუ არა კახი ასათიანის მკვლელობის გამოძიება? ამ კითხვით ჩვენ მთავარ პროკურატურას მივმართეთ, სადაც განგვიმარტეს, რომ ლუიზა თავართქილაძის სახელით უწყებაში მხოლოდ ის განცხადებები იძებნება, რომელიც ბიზნესწილებს უკავშირდება, კახი ასათიანის მკვლელობასთან დაკავშირებით კი გამოძიება არ განახლებულა.

„პროკურატურა ვალდებულია გაარკვიოს ისიც, რატომ და ვინ შეაფერხა თუნდაც კახი ასათიანის მკვლელობის გამოძიება“

არადა „პრაიმტაიმს“ ადვოკატები, რომლებიც იმ დროს ოჯახის ინტერესებს იცავდნენ, უდასტურებენ ინფორმაციას, რომ კბილაშვილის დროს ლუიზა თავართქილაძემ მეუღლის მკვლელობის გამოძიების განახლების მოთხოვნით განცხადება ნამდვილად შეიტანა.

„დაახლოებით ორი წელია, მე აღარ ვარ მათი ადვოკატი, მაგრამ ვიცი, რომ განცხადება შეიტანა ოჯახმა და ძიება მიმდინარეობს“, – ამბობს ჩვენთან საუბრისას ადვოკატი **დიმიტრი გაბუნია.**

„მე რამდენადაც ვიცი, ოჯახმა ნამდვილად მოითხოვა საქმის გამოძიება. რამდენადაც ვიცი, ქალბატონმა ლუიზამ დააყენა ეს საკითხი, თუმცა ვისთან და როგორ, ჩემთვის უცნობია. არ ვარ საქმის კურსში, რა გაგრძელება მოჰყვა ამ საქმეს“, – ამბობს ადვოკატი **დავით ხაჟალია.**

იურისტი მამუკა ნოზაძე კი არ გამორიცხავს, რომ ეს საქმე, სხვა საქმეებთან ერთად, ლაშა ნაცვლიშვილის ბრალეულობის საფუძველი გახდეს. „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ნოზაძე ამბობს, რომ მთელ რიგ საქმეებში ნაცვლიშვილის ფინანსური ინტერესები იკვეთება.

მამუკა ნოზაძე, იურისტი:

– იმ პერიოდში უშუალოდ ლაშა ნაცვლიშვილი წყვეტდა ყველაფერს, მათ შორის იმას, რომელ საქმეს მისცემოდა მსვლელობა და რომელს – არა. ფაქტობრივად, კბილაშვილი არავითარი გადა-

რა გარიგებას სთავაზობდა ლაშა ნაცვლიშვილი კახი ასათიანის ქვრივს?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ს სანაცვლოდ!!!

წყვეტილების მიმღები არ იყო, ყველაზე მეტად ამ პიროვნებამ შეაფერხა სამართლიანობის აღდგენის პროცესი. უკვე არაერთი ბიზნესმენი საუბრობს საქმეების ხელოვნურად შეჩერებაზე. რაც შეეხება კახი ასათიანის საქმეს, ზოგადად, ნაცვლიშვილი კულუარულ შეხვედრებს რომ აწყობდა პროკურატურაში, ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. არ არის გამორიცხული და არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ მან ასათიანის ქვრივსაც შესთავაზა ასეთი გარიგება. ეს მისი ხელწერაა. ის კონკრეტულ პირებს სთავაზობდა, რომ საქმეს გახსნიდა და სასამართლოში მსვლელობას მისცემდა, თუმცა ამას უანგაროდ არ აკეთებდა, დაზარალებულებს პირდაპირ „სტავკებს“ უსახელებდა.

– სად იკვეთებოდა მისი ინტერესები?

– მაგალითად, გარკვეული ბიზნესმენების მიმართ აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმეები, ფინანსური დანაშაულების გამო. ნაცვლიშვილი მათ ეუბნებოდათ, რომ არ მიეცემოდნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში, თუ პირადად მას გადაუხდიდნენ თანხებს. პრაქტიკულად ამ ადამიანმა „წარმატებით“ განაგრძო ის პოლიტიკა, რომელსაც თავის დროზე ადეიშვილი ატარებდა. ამ ყველაფერში ადეიშვილსაც და ნაცვლიშვილსაც დავით ჩხატარაშვილი ეხმარებოდათ, რომელსაც სწორედ ნაცვლიშვილის დამსახურებით გაუფორმეს საპროცესო შეთანხმება.

– ჯერჯერობით არ ხმაურდება, თუმცა ამბობენ, რომ პროკურატურა ნაცვლიშვილის საქმიანობას იძიებს...

– ეს ასეც იქნება, რადგან მის მიმართ უამრავი საჩივარია შესული, როგორც ბიზნესმენების, ისე სხვა პირების მიერ. ჩემი ინფორმაციით, გამოძიება ნამდვილად დაწყებულია, თუმცა კონკრეტულ ინფორმაციას პროკურატურა ნამდვილად არ ახმაურებს. ყოველ შემთხვევაში ამ ეტაპზე. პროკურატურა ვალდებულია გაარკვიოს ისიც, რატომ და ვინ შეაფერხა თუნდაც კახი ასათიანის მკვლელობის გამოძიება.

ცნობისთვის: მაკა ასათიანის მამა, ცნობილი ფეხბურთელი და ბიზნესმენი კახი ასათიანი თბილისის ცენტრში 2002 წლის 20 ნოემბერს მოკლეს. ვაკეში კახი ასათიანს იმ დროს ესროლეს, როცა მისი მძღოლი ავტომობილიდან გადავიდა, რადგან ასათიანის ცოლისდისთვის, ნანა ბიჭიასთვის მოსაწვევები მიეტანა. მკვლელმა კახი ასათიანს მაყუჩიანი იარაღიდან 16 ტყვია ესროლა, თუმცა მსხვერპლს მხოლოდ 7 მოხვდა. ამ დეტალის გათვალისწინებით, ექსპერტები ამბობენ, რომ მკვლელი პროფესიონალი არ იყო.

მკვლელი შემდეგ ცისფერ „BMW“-ში ჩაჯდა, ჯერ ვერის მიმართულებით წავიდა, შემდეგ ქობულეთის აღმართის, საიდანაც მისი კვალი დაიკარგა. კახი ასათიანის მკვლელობას უამრავი ადამიანი შეესწრო. თვითმხილველების მონათხრობით, პოლიციამ მკვლელის ფოტორობოტი შეადგინა, შემთხვევის დროს მკვლელს შავი ქუდი ეხურა და გრძელი თმა უჩანდა. დაახლოებით ერთ საათში შემთხვევის ადგილზე პოლიციის გაძლიერებული შემადგენლობა და სპეცდანიშნულების რაზმი, ასევე, სახელმწიფო მინისტრი ავთო ჯორბენაძე მივიდა. დადგინდა, რომ ავტომანქანა, რომლითაც მკვლელი მოძრაობდა, სავარაუდოდ, გატაცებული იყო. პოლიციამ გადაკეტა თბილისიდან გასასვლელი გზები და ავტომანქანის ძებნა დაიწყო, მაგრამ უშედეგოდ...

კახი ასათიანის მკვლელობას საქართველოში დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. ცნობილი ფეხბურთელი, 1990-2000 წლებში საქართველოს სპორტისა და ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარე, დიდი გავლენით სარგებლობდა სახელისუფლებო და ბიზნესწრეებში. სპორტის დეპარტამენტიდან წასვლის შემდეგ კახი ასათიანმა ავიაკომპანია „აირზენას“ აქციების დიდი ნაწილი შეისყიდა. იმ პერიოდში კომპანიას მძიმე ფინანსური მდგომარეობა ჰქონდა. როგორც ამბობენ, „აირზენას“ კუთვნილი თანხები რომ დაებრუნებინა, კახი ასათიანი ხმაურიან გარჩევებსაც არ ერიდებოდა; ასათიანის მკვლელობის მოტივად რამდენიმე ვერსია განიხილებოდა. მთავარი ვერსია, რომელზეც იმ პერიოდის პრესა წერდა, „აირზენას“ უკავშირდებოდა, რომელსაც, როგორც მედია იუწყებოდა, ედუარდ შევარდნაძის პირადი მფრინავი თამაზ გაიაშვილი, კახი ასათიანი და ქურდული ავტორიტეტები მართავდნენ. 13 წლის შემდეგ, საქმე დღესაც გამოუძიებელია.

RIGA SUMMIT 2015

სააკაშვილს მაპი უფრო ხიბლავდა ვიდრე უვიზო რეჟიმი, რადგანაც იცოდა რომ ნატო უფრო რეალური იყო

მოლდოვამ 4 წელში მიაღწია ამას და ისიც დაჩქარებული წესით. შესაბამისად, უვიზო რეჟიმის მიღება სამ წელიწადში შეუძლებელი იქნებოდა

ქეთი ხატიაშვილი

ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ თავის დროზე მიხეილ სააკაშვილმა კარგად იცოდა, რამდენად რთული და შეუძლებელიც კი იქნებოდა საქართველოსთვის უვიზო რეჟიმის მიღება, ამიტომაც მას ორიენტაცია ძირითადად მაპზე ჰქონდა აღებული. მათი შეფასებით, მიხეილ სააკაშვილი ექსკლუზიურად პრომერიკელი იყო. შესაბამისად, ის ევროპულ გაერთიანებებს განსაკუთრებულ ყურადღებას არც უთმობდა.

ამით ხსნიან იმ ფაქტს, რომ ვიზების ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა უკრაინამ 2008 წელს მიიღო, მოლდოვამ – 2010 წელს, საქართველომ კი – მხოლოდ 2012 წლის ზაფხულში. ანუ ყველაზე გვიან. შესაბამისად, საქართველომ ძალიან დააგვიანა ამ ფორმატში ჩართვა. რიგი ექსპერტები ამ მიმართულებით თბილისის პასიურობას სწორედ სააკაშვილის პესიმიზმით ხსნიან: დიახ, მიშამ ყოველთვის იცოდა, რომ ეს არარეალური და ხანგრძლივი გზა იყო, ამიტომაც არ აინტერესებდა.

ამ მოსაზრებას კატეგორიულად არ ეთანხმება საქართველოს ყოფილი ელჩი ევროსაბჭოში მამუკა ჟღენტი. მან ასეთ შეფასებას „სრული აბსურდი და სისულელე“ უწოდა. მისი განმარტებით, ვიზების ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის მიღება ბევრ ნიუანსზე იყო დამოკიდებული, ამას მოსამზადებელი სამუშაოები დასჭირდა. სააკაშვილის დროს კი არა, ვიზების ლიბერალიზაციაზე საუბარი შევარდნაძის დროს დაიწყო... და ეს პროცესი დღემდე გრძელდება.

მამუკა ჟღენტის შეფასებით, სამოქმედო გეგმა საქართველომ მხოლოდ 2012 წელს მიიღო და უკვე 2015 წელს უვიზო რეჟიმის მიღება შეუძლებელიც კი იქნებოდა:

– ეს ნამდვილად შეუძლებელი იქნებოდა. მოლდოვამ 4 წელში მიარწია ამას და ისიც დაჩქარებული წესით. შესაბამისად, უვიზო რეჟიმის მიღება სამ წელიწადში შეუძლებელი იქნებოდა.

ექსპერტები აღიარებენ მოლდოვის განსაკუთრებულ მდგომარეობას. გულწრფელად რომ ვთქვათ, ის ბევრ საკითხში საქართველოს ჩამორჩება, შეუსრულებელი ტექნიკური საკითხების მთელი წყება აქვს, მაგრამ უვიზო რეჟიმი მაინც დაჩქარებული წესით მიიღო და ეს რუმინეთის დამსახურებაა. რუმინეთი, საერთოდ, მოლდოვას საკუთარ ტერიტორიად მიიჩნევს. მოლდოვის მოქალაქეები რუმინულ პასპორტებსაც ფლობენ. ასე რომ, იქ უვიზო რეჟიმი არაფორმალურად, შეიძლება ითქვას, არსებობდა კიდეც.

ახლა საქართველოსა და უკრაინის საკითხი ერთად განიხილება. ქართველი ექსპერტების ნაწილისთვის ეს გაუგებარია. ხათუნა ლაგაზიძე მიიჩნევს, რომ უკრაინა საომარ მდგომარეობაში მყოფი ქვეყანაა და საქართველო მასთან კონტექსტში არ უნდა განიხილებოდეს.

როდის მიიღებს საქართველო უვიზო მიმოსვლის უფლებას, ეს საკითხი ჯერ ისევ ღიად რჩება. ითქვა, რომ რეფორმები უნდა გაგრძელდეს და რომ მომავალ წელს რეალური შედეგები დაიდება.

საქართველოში ყველაფერი ქართულად წარიმართა. ოპოზიციამ, რომელმაც კარგად იცის, ეს გზა რამდენად რთული და გრძელია, მაშინვე უწოდა ხელისუფლებას უუნარო. თავისუფალმა დემოკრატებმა მაშინვე თქვეს, რომ მათ გარეშე ქვეყანა უფსკრულისკენ მიექანება და ყველაფერი ფუჭდება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

TVS ალასანიამ იყიდა?

ირაკლი ალასანიამ დამოუკიდებლად თამაში გადაწყვიტა. ადრე თუ ურთიერთგამომრიცხავ განცხადებებს აკეთებდა და ხან სააკაშვილის პარტიასთან ერთად მოიაზრებდა თავს, ხანაც ისევ ივანიშვილთან ერთად (ამის შესახებ ვიქტორ დოლიძემ თქვა ერთ-ერთ ინტერვიუში და დასძინა, პოლიტიკაში გამორიცხული არაფერრიაო), ახლა შეიძლება დროებით, მაგრამ მაინც დამოუკიდებელი თამაშის წამოწყებაზე ჩამოყალიბდა.

სხვათა შორის, პოლიტიკაში მას დამოუკიდებლად ჯერ არ უთამაშია. როცა ალიანსში იყო, რესპუბლიკელები და ახლები ხარჯავდნენ მის გაპიარებაში გონებრივ თუ ფინანსურ რესურსებს. როცა კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ იყო, მის იმიჯზე ბიძინა ივანიშვილი ზრუნავდა, ოპოზიციაში გადასვლის შემდეგ კი ნაციონალების საზრუნავი გახდა.

თუმცა, დამოუკიდებელ თამაშს დამოუკიდებელი რესურსებიც სჭირდება. ფინანსების გარდა, მას მედიასაშუალებაც სჭირდება.

დაკვირვებულ და გამოცდილ ბიზნესმენებს არ გაუჭირდებოდათ იმაზე დაკვირვება, როგორ იყიდება მედიაპროდუქტი საარჩევნოდ და რამდენად მნიშვნელოვანი ხდება მეოთხე ხელისუფლება საარჩევნოდ.

ამ კონტექსტში ხმები მაშინვე გავრცელდა, როგორც კი ჭუტა წერეთელმა ტელევიზია გახსნა ძალიან ზოგადი დასახელებითა და კიდევ უფრო ზოგადი პროფილით. წერეთლის ეს მოძრაობა პოლიტიკოსებს არც მაშინ გამორჩენიათ მხედველობიდან. მაგალითად, ნინო ბურჯანაძეს; ისეთ გავლენიან ფიგურას, როგორიც ვანო ჩხარტიშვილია. მოგვიანებით ითქვა, რომ პოლიტიკური გარიგებები ჩაიშალა. წერეთელს არხი დარჩა, არხს – სპორტული პროფილი და რამდენიმე ტელევარსკვლავი.

ახლახან გავრცელებული ინფორმაციით კი, ირაკლი ალასანიამ ჭუტა წერეთელს სპორტულ ტელეარხში სოლიდური თანხა შესთავაზა.

ალასანია თავის სპორტულ ფორმასა და კუნთებს კი აპიარებს ხოლმე ტელევიზიით, მაგრამ საეჭვოა, სპორტული არხი მას სპორტული ფორმების კიდევ უფრო დასახვეწად სჭირდებოდეს. ცხადია, არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ის პოლიტიკურ მუსკულებზე უფრო იზრუნებს.

ასე რომ, TVS სექტემბრიდან პოლიტიკური გახდება. ჭუტა წერეთელმა ამის შესაძლებლობა სულაც არ უარყო, თუმცა, შეიძლება ითქვას, კატეგორიული უარი თქვა ალასანიას ნაცნობობაზეც კი.

„პრაიმტაიმთან“ საუბარში ბიზნესმენმა წერეთელმა თქვა: რატომაც არა, შეიძლება არხი პოლიტიკური მართლაც გახდეს, მაგრამ რაც შეეხება ალასანიას, რეებს იძახით? რა ალასანია, რას ამბობთ?

ისე, საინტერესოა, რა ფული ჩადო ალასანიამ TVS-ში. სავარაუდოდ, ეს ერთ-ერთი ქართველი ბიზნესმენი იქნება.

რას ყვება ბრალდებ

„მალიზიანებდა ბავშვების ტირილი... რომ დავუყვირე და არ გაჩერდა, რამდენჯერმე დავარტყი“

მირიან ბოქოლიშვილი

გურჯაანში მცირეწლოვან ბავშვებზე განხორციელებული ძალადობა ბოლო დღეებში საზოგადოების აქტიური განსჯის საგანია. 25 წლის მამაკაცმა, რომელიც სამართალდამცავებმა დააკავეს, წლინახევრის, სამი და ოთხი წლის ბავშვების სასტიკ ცემაშია ბრალდებული. ორი მცირეწლოვანი ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო კატასტროფის ბრიგადამ გურჯაანიდან თბილისში, იაშვილის კლინიკაში გადმოიყვანა. მათ თავის ტვინის დაჟეჟილობები აღენიშნებათ.

რა მოხდა გურჯაანში და რატომ გაიმეტა ბრალდებულმა მცირეწლოვანი ბავშვები? თავდაპირველად, მედიაში ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ახალგაზრდა მამაკაცმა სასტიკად სცემა 4 წლის შვილი და ორი მცირეწლოვანი გერი, თუმცა, როგორც გავარკვიათ, ბავშვების დედა, ლია ჩ. ბრალდებულზე დაქორწინებული არ ყოფილა და ის ამჟამადაც ოფიციალურ მეუღლესთან ერთად თბილისში იმყოფება. როგორც ძალადობის მსხვერპლი ბავშვების ბაბუამ გვითხრა, მისი რძალი გურჯაანში მეგობართან დასასვენებლად იყო ჩასული, მოძალადე მამაკაცი კი იქვე მცხოვრები მეზობელია.

საწინააღმდეგოს ამტკიცებს თავად ბრალდებულის დედა, რომელიც ამბობს, რომ მისი შვილი უკვე ორი თვეა, ლია ჩ-თან და მის შვილებთან ერთად ცხოვრობდა. სოფელში ამბობენ, რომ ეს არ ყოფილა მისი პირველი ქორწინება. წარსულში ბრალდებულს კიდევ 3 ცოლი ჰყავდა. აქედან ერთ-ერთთან 4 წლის შვილიც ჰყავს, რომელიც, ასევე, ძალადობის მსხვერპლი გახდა, თუმცა მისი მდგომარეობა შედარებით მსუბუქი გახლდათ და ის გურჯაანის საავადმყოფოდან მალევე გაწერეს.

„ჩემს შვილს ვეუბნებოდი, – რით შეინახავ ან ამ ქალს, ან მის შვილებს-მეთქი. ამბობდა, დედამისი დაგვეხმარება ყველანაირად და გავუზრდი შვილებსო. ალბათ, დედამ შეუწყვიტა დახმარება. ეს გოგო წუწუნებდა, პამპერსი არ მაქვსო, ეს სამუშაოს ვერ შოულობდა, უკმაყოფილებისა და უქონლობის გამო მოხდა ეს ყველაფერი“, – ამბობს ბრალდებულის დედა. მისივე თქმით, „ის გოგო დაახლოებით ორი თვის წინ მოვიდა თავის ბავშვებთან ერთად. არ ვიცნობ არც გოგოს და არც მის შვილებს“.

თავად ბრალდებული გამოძიებისა და სასამართლოსთვის მიცემულ ჩვენებაში ყვება, რომ ბავშვების ტირილი აღიზიანებდა და სწორედ ამ მოტივით გაუსწორდა მცირეწლოვნებს.

„მაღიზიანებდა ბავშვების ტირილი, განსაკუთრებით პატარასი, რომელსაც უძილობა სჭირდა და სიმშვიდეს ვერ ინარჩუნებდა. რომ დავუყვირე და არ გაჩერდა რამდენჯერმე დავარტყი“, – ამბობს ბრალდებული.

მისი ეს ჩვენებაც ადასტურებს, რომ მცირეწლოვანი ბავშვები მასთან ერთად ცხოვრობდნენ, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს ბავშვების ბაბუის მონათხრობს, რომლის მიხედვითაც, გურჯაანში მისი რძალი და შვილიშვილები სტუმრად იმყოფებოდნენ და ბავშვებს არა მამობილი, არამედ მასპინძლის მეზობელი გაუსწორდა. აი, რას ყვება დაზარალებული ბავშვების ბაბუა „პრაიმტაიმთან“ საუბრისას.

ელგუჯა ჩ., ბავშვების ბაბუა:

– ჩემი შვილი საავადმყოფოშია ახლაც თავის შვილებთან. ბავშვები შედარებით კარგად არიან, მაგრამ ჯერ გამოწერა ადრეა. პატარას სილურჯეები და შეშუპება დაუცხრა, მკურნალობის ქვეშ მინიმუმ 2 თვე მაინც უნდა იყვნენ. ვიტამინებსა და

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ული, რომელიც ბავშვებს სასტიკად გაუსწორდა?



გურჯაანში ნაცემი მცირეწლოვნების საქმის გაუხმაურებელი დეტალები

ბევრ სხვა მედიკამენტს აძლევენ.

– არ იცოდით, რა მდგომარეობაში იმყოფებოდნენ თქვენი შვილიშვილები გურჯაანში?

– არ ვიცოდი ასეთ დღეში თუ იყვნენ ბავშვები. ვიცოდი, რომ ჩემი რძალი მეგობარ გოგოსთან ერთად იყო წასული გურჯაანში. იმ კაცს თავისი შვილი უცემია და ჩემი შვილიშვილებიც სცემა. გარეთ გამოსვლა არ უნდა? სად წავა? ეს რომელიმე რომ მომკვდარიყო, სად მიდიოდა?

– ბავშვებს აქვთ ურთიერთობა თქვენთან, ან მამასთან?

– კი, როგორ არა, ჩვეულებრივ ჰქონდათ კონტაქტი.

– თქვენი შვილი და რძალი დაშორებულები არიან? რატომ იმყოფებოდა თქვენი რძალი გურჯაანში?

– არ დაშორებულან. ოფიციალურად, განქორწინებაც არ გაუკეთებიათ. ორივე საავადმყოფოშია და ბავშვებს ადგანან თავზე. არ შეიძლება ფეხზე წამოდგომა.

– ანუ ლია კვლავ თქვენი რძალია?

– კი, გენაცვალე, ჯვარიც დაწერილი აქვთ და ხელიც მოწერილი. ცოლ-ქმარი იჩხუბებენ და ისევ შერიგდებიან, მაგრამ განქორწინებას არ აპირებენ. ორივე ერთად არის და ბავშვებს უვლიან. არც აპირებენ დაშორებას.

– იმ მამაკაცთან რა საერთო ჰქონდა?

– ესენი იყვნენ ჩასულები და ის კაცი იქვე ცხოვრობდა.

– არადა, ინფორმაცია გავრცელდა, რომ მეუღლე იყო და ბავშვები სწორედ მამობილმა სცემაო?

– ვისთანაც იყვნენ სტუმრად, იმასთან შევარდა და იქ სცემა ეს ბავშვები. მე ვიცი, რომ ფხიზელი ყოფილა, განერვიულებული იყო რაღაც სამსახურის ამბავზეო. ჩემმა რძალმა მითხრა, დასასვენებლად წავალ გურჯაანშიო. ახლობელი გოგოა და მასთან მიდიოდა. წავიდნენ და ბავშვები წაიყვანა. ერთი თვე გავჩერდებიო.

– ხომ არ უთქვამს, რომ სხვაზე აპირებდა გათხოვებას?

– არა. გვითხრა, დაქალია მარიამიო და მასთან მივდივარო. მე ასე მითხრა. ოჯახის გოგოები არიან, უთქვამს, ჩამოდი და დაისვენეო, ბავშვებიც წაიყვანა. ტელეფონზეც ვესაუბრე რამდენჯერმე, კარგად ვართო, ერთ-ორ თვეში ჩამოვალო, გვეუბნებოდა. ღამე იყო, 12 საათი იქნებოდა, რომ დარეკა, სასწრაფოდ იაშვილის კლინიკაში მოდით, ბავშვები ნაცემები არიან და აქ გადმოგვყავსო. სახე დასიებული ჰქონდათ ბავშვებს. ნელ-ნელა უკეთესობისკენ მიდის საქმე. ექიმმა გვითხრა, ასე მალე ვერ გავწერთ, ორი თვე მაინც უნდა დარჩნენ საავადმყოფოშიო. პატარა რეანიმაციაში იწვა, მაგრამ ახლა პალატაში გადაიყვანეს ორივე.

გურჯაანში მომხდარ შემთხვევას გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოს ოფისიც გამოეხმაურა და მომხდარი კატეგორიულად დაგმო. ორგანიზაციის ინფორმაციით, საქართველოს მოსახლეობის 60%, ბავშვის აღზრდისას ძალადობრივ მეთოდებს მიმართავს. ამავე ინფორმაციით, მოსახლეობის ნახევარი ბავშვთა მიმართ ძალადობას დასაშვებად მიიჩნევს.

„საზოგადოების ნახევარი, დასაშვებად მიიჩნევს ბავშვთა მიმართ ძალადობას. გარდა ამისა, მოსახლეობის 60 პროცენტი ბავშვის აღზრდისას ძალადობრივ მეთოდებს იყენებს. ჩვენი სტატისტიკა, ასევე, ადასტურებს, რომ მოსახლეობის უმრავლესობა არ რეაგირებს ბავშვთა მიმართ ძალადობაზე, რადგან თვლიან, რომ ეს სხვის საქმეში ჩარევაა, ამიტომ ისინი აკეთებენ შემდეგ განცხადებას, რომ შესაბამის სიტუაციაში არ შეატყობინებენ შესაბამის სამსახურებს“, – აცხადებს გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი მაია ქურციკიძე.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ეთერ ცხაკაია: „დიდი ბავშვთა სახლებიდან რეფორმის დაწყებამდე გასული ადამიანების შესახებ არ გვაქვს ინფორმაცია“

სალომე ჩადუნელი

გაზეთ „პრაიმტაიმის“ წინა ნომერში დაბეჭდილ სტატიას სახელმწიფო ზრუნვიდან გასულ ბავშვებზე გამოეხმაურა საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტო და სახელმწიფო პოზიცია კიდევ უფრო მეტად განმარტა და დააზუსტა. რა იცვლება მზრუნველობამოკლებული ბავშვებისთვის 18 წლის შემდეგ, როგორია მათი დასაქმების პერსპექტივები და აქვთ თუ არა მათ თანაბარი პირობები?

„პრაიმტაიმს“ მეურვეობისა და მზრუნველობის სამმართველოს უფროსი ეთერ ცხაკაია ესაუბრა:

– ჩვენ გვყავს მზრუნველობაში ბავშვები, რომლებიც გარკვეული მიზეზების გამო მზრუნველობამოკლებულები არიან. ჩვენ ამ ბავშვებში ვდებთ რესურსს, ჩვენ ამ ბავშვებზე ვართ პასუხისმგებელნი, ჩვენ მათთვის ვიბრძვით, ამ ბავშვების პრიორიტეტი თვრამეტი წლის ზემოთ ცალსახადაა გამოკვეთილი. 2014 წელს 51-მა არასამთავრობომ ჩამოაყალიბა კონცეფცია მზრუნველობიდან გასული ბავშვების შესახებ, წარუდგინეს ჯანდაცვის სამინისტროსა და კომიტეტს, დაწყებულია მუშაობა და 2016 წლისთვის, სახელმწიფო ბიუჯეტის ჩაშლის შემდეგ, გვექნება პროგრამა სახელმწიფო დონეზე, რომელიც უზრუნველყოფს სრულწლოვნობის ასაკის შემდეგ ამ ბავშვების საჭიროებებს.

– რატომ აქვთ საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლებიდან გასულ ბავშვებს უფრო მეტი შესაძლებლობა, ჩაერთონ კერძო ფონდების მიერ ორგანიზებულ დასაქმებისა და პროფესიული ზრდის პროგრამებში და მინდობითი აღზრდიდან გასულებს არა?

– როდესაც არსებობს საჭიროება, ჩვენ მივმართავთ სპონსორებს და დახმარებას ვთხოვთ. ორიენტაცია მხოლოდ მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლის აღსაზრდელებზე არაა. ორივე პროგრამაში ჩართულ ბავშვებს ერთნაირი შანსები აქვთ. მინდობით აღზრდიდან არ მახსენდება არც ერთი შემთხვევა, როცა ისინი გარეთ დარჩენილან და 18 წლის შემდეგ არსებული მომსახურება არ მიუღიათ. ჩვენ წინასწარ ვიცით, ვინ გადის და სად გადის, აქვთ თუ არა საცხოვრებელი. არის შემთხვევები, როდესაც ოჯახი თვითონ არ უშვებს ბავშვს, რადგან, როცა ბავშვი ოჯახში იზრდება, სიყვარული და მიჯაჭვულობა ჩნდება. ქუჩაში არ უშვებენ და ბოლომდე ეხმარებიან.

– თქვენ ახსენეთ, რომ ხშირად ოჯახი არ უშვებს ბავშვს მინდობითი აღზრდიდან. არის თუ არა ეს მორალური პასუხისმგებლობის დაკისრება მიმღებ ოჯახებზე სახელმწიფოს მხრიდან?

– მორალური პასუხისმგებლობა თვითონ უვითარდება მიმღებ ოჯახს. მშობელი არის პროფესიონალი, გადამზადებულია, მაგრამ არ იცის, როგორი ბავშვი მოხვდება მის ოჯახში. მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნების ჩამონათვალი აქვს, მან არ იცის, ექნება თუ არა მის ოჯახში შესულ ბავშვს წასასვლელი 18 წლის შემდეგ. პასუხისმგებლობაზე არ არის ლაპარაკი, ესაა შეჩვევა, მზრუნველობა, სიყვარული. სახელმწიფომ მინდობითი აღზრდის პროგრამა იმიტომ ჩამოაყალიბა, რომ შეჩვევა მოხდეს. თუ ამ პროცესში მშობელს თავისთავად განუვითარდა მორალური პასუხისმგებლობა, ეს არ ნიშნავს, რომ მაინცდამაინც სახელმწიფო აკისრებს ამ პასუხისმგებლობას. სწორედ ამიტომაა პრიორიტეტი მინდობით აღზრდა.

ეთერ ცხაკაია

– ყველა მზრუნველობამოკლებული ბავშვი არ ფლობს ერთნაირ ინფორმაციას იმის შესახებ, რა მოელის 18 წლის შემდეგ, ანუ მზრუნველობიდან გასვლის შემდეგ. რატომაა აზრთა მრავალფეროვნება და არაინფორმირებულობა?

– არსებული პროექტების შესახებ ყველამ იცის. თითოეულ ბავშვს ვერ დაუჯდები და ვერ აუხსნი, თუმცა სოციალური მუშაკი და მიმღები ოჯახი ერთობლივად აცნობს ყველა იმ პროგრამას, რომელშიც შეიძლება ჩაერთოს. ლექციასავით არ უტარდებათ, თუმცა მუშაობის პროცესში ყველამ იცის, რა შეუძლია გააკეთოს 18 წლის შემდეგ, სად შეიძლება დასაქმდეს, რომ, თუ კარგად ისწავლის და მოინდომებს, სახელმწიფო გადაუხდის თანხას. ხშირად ბავშვები მანიპულირებენ ხოლმე თავიანთი მდგომარეობით.

– არიან ბავშვები, რომლებსაც არ აქვთ საცხოვრებელი. შეიძლება დაასაქმო, თუმცა, სანამ დაასაქმებ და ჯიბის ფული გაუჩნდება, შესაძლებელია, ქუჩაში ცხოვრება მოუწიოს...

– საცხოვრებლის თაობაზე რეკომენდაციებს, მიმართვებს ვაკეთებთ. ვშუამდგომლობთ მერიაში, მაგრამ მხოლოდ შუამდგომლობის დონეზე, საცხოვრებლით უზრუნველყოფა სოციალური მომსახურების სააგენტოს პირდაპირი მოვალეობა არაა, თუმცა ადვოკატირება, რეკომენდაციები, გადამისამართება ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან – ამ ყველაფერს ვაკეთებთ.

– არსებობს თუ არა ერთიანი ქსელი, სადაც თავის მონაცემები ყველა იმ ბავშვზე, რომელიც უკვე გავიდა სახელმწიფო მზრუნველობიდან?

– არ არსებობს მსგავსი ქსელი და არსად არ წერია ვალდებულებაში, სამწუხაროდ. ჩვენ ჩვენი ბაზების მიხედვით ვაკონტროლებთ ბავშვებს. დიდი ბავშვთა სახლებიდან, რეფორმის დაწყებამდე გასული ადამიანების შესახებ არ გვაქვს ინფორმაცია.

გვირაბის გაყვანის დროს დაზარალებული ორი მუშა და პასუხისმგებლობების გადაბარების დაუსრულებელი ჯაჭვი

სალომე ჩადუნელი

ქვიშხეთი-ზვარეს მიმართულებით გამავალი სარკინიგზო გვირაბის მშენებლობისას, ნიადაგიდან გამოჟონილი ბუნებრივი აირის აფეთქების შედეგად ორი ჩინელი მუშა დაზარალდა. ექიმების განმარტებით, მათ საშუალო სიმძლავრის დამწვრობა მიიღეს.

ინფორმაცია ამის შესახებ „პრაიმტაიმს“ შეატყობინეს. თუმცა, მოგვიანებით, როცა მომხდარის შესახებ დეტალების გარკვევას შევეცადეთ, აღმოჩნდა, რომ გვირაბში მომხდარი ინციდენტის შესახებ ინფორმაციას შესაბამისი უწყებები არ ფლობდნენ. შესაბამისად, დეტალების გარკვევა ისევ წყაროსთან შევძელით.

მუშაობის დროს დაზარალებულ ორი მამაკაცს ცეცხლის ალი მხრებზე მოედო. გვირაბიდან მათი გამოყვანა სხვა მუშებმა შეძლეს, დამწვრობის ცენტრში კერძო მანქანით გადაიყვანეს. ერთ-ერთი მათგანი, რომელიც შედარებით მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა, სტაციონარში მოათავსეს, მეორე დღემდე ამბულატორიულ მომსახურებას იღებს.

დამწვრობის ცენტრის განმარტებით, საავადმყოფოში დაზარალებულები გვიან ღამით მიიყვანეს:

„ორნი მოვიდნენ საშუალო სიმძიმის დამწვრობით, თუმცა ერთი უფრო მძიმე იყო და სტაციონარში დავაწვინეთ. განაცხადეს, რომ რაღაც აუფეთქდათ, ზუსტად ვერ გეტყვით, ენის ბარიერის გამო მეტი ვერაფერი გავიგეთ“, – ეს მოკლე განმარტება დამწვრობის ცენტრის მიმღებში მივიღეთ.

მომხდარის შესახებ ინფორმაციას არ ფლობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს არც ქალაქის და არც შიდა ქართლის რეგიონული უწყება. შსს-ს პრესსამსახურის ცნობით, სასწრაფო და სამედიცინო ცენტრი ვალდებულია, პოლიციას შეატყობინოს ნებისმიერი შემთხვევა, მით უმეტეს, თუ ეს იყო დამწვრობა და დაზარალებულები აფეთქების ფაქტზე საუბრობდნენ.

თუმცა, თავად დამწვრობის ცენტრი მომხდარს კრიმინალს არ უკავშირებს და აცხადებს, რომ ვალდებული არ იყო, მომხდარი შსს-თვის გადაეცა:

„შსს-ს მაშინ ვატყობინებთ, თუ კრიმინალია, სუიციდი... ამ შემთხვევის შესახებ შსს ინფორმაციას არ ფლობს, ესე იგი ინფორმაციის გავრცელების საჭიროებაც არ არსებობდა“, – **განაცხადეს მიმღებში.**

ამ შემთხვევამ სხვა კითხვებიც გააჩინა: არის თუ არა უსაფრთხოების ზომები დაცული და ვის ეკისრება პასუხისმგებლობა მომხდარზე?

ქვიშხეთი-ზვარეს სარკინიგზო გვირაბს შპს „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფი“ აშენებს. კომპანიის ხელმძღვანელობას ვერ დავუკავშირდით. ოფისში მხოლოდ ბუღალტერი დაგვხდა. მისი განმარტებით: „ხელმძღვანელობა ჩინეთშია წასული, აქ არავინ არის, თავად მე ასეთი საკითხები არ მეხება, მოგცემთ ნომერს, თუმცა ჩინელები არიან, აზრი არ აქვს, ვერ დაეკონტაქტებით“.

ინფორმაციისთვის: „შპს ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფმა“ 2010 წელს მოიგო ტენდერი და უკვე 2011 წლიდან ახორციელებს მოდერნიზაციის პროექტს – სწრაფი რკინიგზა. რკინიგზის მშენებლობა 2017 წლისთვის უნდა დასრულდეს. კომპანია ახორციელებს თბილისის შემოვლითი გზის პროექტსაც, რომელშიც ვერ დაიცვეს მშენებლობის შესრულების ვადები, ჰქონდათ 18-თვიანი ჩამორჩენა და მთავრობამ კომპანიას ხელშეკრულება სამი წლით გაუგრძელა.

უსაფრთხოების ზომების დაცვასთან დაკავშირებით ინფორმაციის მოძიება ყველაზე მეტად გაგვიჭირდა.

თავდაპირველად რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დავუკავშირდით, რომელმაც საქართველოს რკინიგზაში გადაგვამისამართა. საქართველოს რკინიგზამ – ცნობარში, ცნობარმა – რკინიგზის სამშენებლო პროექტების სამსახურის უფროს გიორგი ზაზაშვილთან, გიორგი ზაზაშვილმა პროექტის ორგანიზატორის ნომერი მოგვცა, რომელსაც ვერ დავუკავშირდით, რკინიგზის ცნობარმა გზებისა და გვირაბების დეპარტამენტის უფროსთან, გია გვაზავასთან დაგვაკავშირა, რომელმაც აგვიხსნა, რომ სხვაგან მოვხვდით და მშენებლობის დროს დასაცავი უსაფრთხოების ნორმები არ ეხება. შემდეგ ტექნიკურ განყოფილებას დაგვაკავშირეს, ტექნიკურმა განყოფილებამ კახა კასარელთან გადაგვამისამართა. კახა კასარელმა კი ისევ გია გვაზავას ჩაწერა გვირჩია.

უსაფრთხოების ნორმების დაცულობის შემოწმების პასუხისმგებლობას იხსნის „საქართველოს რკინიგზა“, მიუხედავად იმისა, რომ ტენდერში გამარჯვებულ პროექტსა და კომპანიას თავისი ინტერესების მიხედვით ავლენს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ჩემი კლინიკა

სამედიცინო კორპორაცია ევექსი

„სამედიცინო კორპორაცია ევექსის“ ახალი ამბულატორიული ცენტრი ნუცუბიძის ქ. 201-ში

გვეწვიეთ ყოველდღე, შაბათ-კვირის ჩათვლით

09:00-დან 21:00 საათამდე

„ჩემი კლინიკის“ სერვისებით სარგებლობა შეუძლიათ, როგორც დაუზღვეველ, ასევე ნებისმიერი სადაზღვევო პაკეტის მქონე პირებს. დარეგისტრირდით ჩვენს კლინიკაში და მიიღეთ თანამედროვე სტანდარტების სამედიცინო მომსახურება.

ნუცუბიძის ქ. 201

info-evex@evex.ge

+995 32 2 55 05 05

www.evex.ge

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ფიფიამ აღიარა, რომ მას ვალები არ გააჩნია და მაშინ რა ინფორმაცია გასცა ფეხბურთის ფედერაციამ, ძალიან საინტერესოა ჩემთვის“

„ეს თანხები საიდუმლო არ არის, საჯარო ინფორმაციაა და სტადიონის ქირა სპორტის სამინისტრომ გადაიხადა, ის ამისთვის ჩვენ გვაძლევს ფულს. დაახლოებით, 100-150 ათასი ლარი ჯდება სტადიონის იჯარა“

„მესმის „დინამოსი“, მაგრამ არ მესმის მერიის და იმ ხალხის, ვისაც ეს უნდა გაეთვალისწინებინა, რაგბის, ფეხბურთის დიდი თამაშები უნდა იყოს უფასო“

მაგდა კლდიაშვილი

ზვიად სიჭინავა წელს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტის დატოვებას აპირებს, და ამბობს, რომ არჩევნებში მონაწილეობის მიღება აღარ სურს. ვიდრე არჩევნების თარიღი დასახელდება, წინ რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიებაა. სფფ-ს პრეზიდენტი, გულშემატკივარს სთხოვს, ეს რამდენიმე თვეც აცადონ, რადგან მისი კრიტიკის საშუალება პოსტის დატოვების შემდეგაც ექნებათ.

– მაშინ, როდესაც ეროვნული ჩემპიონატი 15-მა გუნდმა დასრულა, გაამართლა თუ არა 16 გუნდიანმა ეროვნულმა ჩემპიონატმა?

– პირადად ჩემზე, ზვიად სიჭინავაზე თუა ლაპარაკი, როგორც გულშემატკივარი, ვიტყვი, რომ გაამართა. როგორც პრეზიდენტი, გეტყვით, რომ სამწუხაროა, 15 გუნდმა რომ დაასრულა ჩემპიონატი და ფინანსური პრობლემები გაუჩნდათ არა სახელმწიფო კლუბებს, არამედ კერძო კლუბებს. ეს არის სამწუხარო, რომ დღეს ინვესტორები არიან არასტაბილურები და რა არის ამის მიზეზი, არ ვიცი.

– ზესტაფონი გათამაშებას ფინანსური პრობლემების გამო გამოეთიშა. ჩვენს ბოლო ინტერვიუში, თქვენ განაცხადეთ, რომ იმერულ კლუბს ფინანსური კრიზისი არ ჰქონდა, ახლაც იმავეს იტყვით?

– არ მინდა, ეს დავიჯერო. ვფიქრობ, რომ პირადული პრობლემები იყო, რადგან ეს პრობლემები შეექმნა გუნდს. უმაღლეს ლიგაში უკვე ორი გუნდი გადმოვიდა და მესამე იბრძვის უმაღლესში მოხვედრაზე, არ მინდა, რომ ეს ასე იყოს.

– კულუარებში საუბრობენ, რომ სპორტის ახალმა მინისტრმა, ტარიელ ხეჩიკაშვილმა ზესტაფონელებს დაპირება მისცა, რომ სპეციალური კომისია შეიქმნება და „ზესტაფონი“ უმაღლეს ლიგაში გადმოვა, ასევე, გამოიძიებენ „ზესტაფონი“–„დილას“ ჩაშლილი მატჩის დეტალებს, რამდენად შესაძლებელია ეს?

– ეს, ალბათ, ჭორებია. არ მგონია, რომ მინისტრი ვინმეს რამეს დაჰპირდა. „ზესტაფონი“ გათამაშებიდან ჩაშლილი მატჩის გარშემო გაჩენილი ეჭვების გამო არ ჩამოხსნილა. „ზესტაფონი“ მოიხსნა გათამაშებიდან დებულების მიხედვით, სადაც წერია, რომ გუნდმა დაგვიდასტურა, რომ არ გააჩნია ფინანსები. არანაირი ლაპარაკი ეჭვებზე ან გაყიდულ თამაშებზე არ ყოფილა. ეს წერილები არსებობს და შემიძლია ეს ყველაფერი ლოზანიშიც წარვადგინო. ამ წერილის ასლი უეფაშიც გვაქვს გადაგზავნილი, რადგან მათ ჰქონდათ კითხვები, რატომ მოიხსნა გუნდი გათამაშებიდან. „ზესტაფონს“ შეუძლია, მიმართოს სასამართლოსაც, ფიფასაც, უეფასაც. ჩვენ ჩვენი პოზიცია გვაქვს, რომელიც მათსავე წერილზეა აგებული. ამისთვის მზად ვართ. მართლა არ მინდა, რომ ახალ მინისტრთან ამ ჭორების დონეზე გავაფუჭოთ ურთიერთობა. ამ ქვეყანაში უყვართ ჭორაობა და სამწუხაროდ, ამ ჭორებით ხალხი ერთობა.

– საქართველოში, კერძო კლუბებს რამდენიმე მილიონი ვალი აქვთ საკუთარი დამფუძნებლებისა და საკუთარი თავისადმი. „პრაიმტაიმში“ გამოქვეყნებულ მასალასთან დაკავშირებით, რომან ფიფიამ გააკეთა განმარტება, რომ „დინამოს“ ვალი არ აქვს და არსებული 32 მილიონი დავალიანება, მისი პირადი ფულია, ანუ მას თავის თავისადმი აქვს ვალი. რა სქემასთან გვაქვს საქმე?

– არ ვიცი, რა სქემებზეა ლაპარაკი და რა ვალზე ილაპარაკა ფიფიამ, მაგრამ ეს არის კერძო კომპანია, რომელსაც ჰყავს თავისი დამფუძნებელი, დირექტორი, მენეჯერი, პრეზიდენტი და იმ კლუბისა თუ ორგანიზაციის მართვა ეკისრება იმ ხალხს. როგორ მართავენ და როგორ აკეთებენ ამას, ამაში არ ვერევით. ჩვენი კომპეტენცია არ არის. ჩვენ გვაინტერესებს, კლუბი იყოს ფინანსურად ძლიერი, იხდიდეს ხელფასებს, არ ჰქონდეს დავალიანებები და შეძლოს თამაშებზე სიარული.

– თბილისის „დინამოს“ მფლობელი ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით ფეხბურთის ფედერაციას ადანაშაულებს, რომ თითქოს თქვენ გაეცით ეს კონფიდენციალური ინფორმაცია. „დინამოს“ წარმომადგენლებმა გვითხრეს, რომ სასამართლოში აპირებენ ჩივილს, არასერიოზული ხომ არ არის მისი ეს განცხადება?

– როგორ ყველა, სასამართლოში მიდის. რომან ფიფიასგან არ მომისმენია სიტყვები, რომ სასამართლოში აპირებს წასვლას, მაგრამ თუ მას აქვს მტკიცებულებები, კი ბატონო. ვთქვათ, ჩვენ გავეცით ეს ინფორმაცია, მაგრამ რა ინფორმაციაზეა საუბარი, ვერ გავიგე. ფიფიამ აღიარა, რომ მას ვალები არ გააჩნია და მაშინ რა ინფორმაცია გასცა ფეხბურთის ფედერაციამ, ძალიან საინტერესოა ჩემთვის.

– მან ასევე აღიარა, რომ ეს მისი პირადი ფულია...

– არ ვიცი, თქვენ ვერ შეგედავებით. მე არ ვესწრერბოდი ამ შეხვედრას. რა კონტექსტში თქვა. თუ ბატონი რომა ამბობს, რომ ვალები არ აქვს და ფედერაციამ მისცა ჩემი ვალების ფურცელიო, ეგ ორი სხვადასხვა რამეა. როგორ მართავს თავის კომპანიას, ეს მისი საქმეა.

– რომან ფიფიამ განაცხადა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას არ გამორიცხავს. ეს მან აღმასკომის სხდომაზეც გააჟღერა, რას იტყოდით მის კანდიდატურაზე?

– ბევრჯერ მითქვამს და კიდევ ვიტყვი, რომ ეს ისეთი ადგილია, ყველას უნდა. რატომაც არა. ვფიქრობ, ფიფიას აქვს დიდი გამოცდილება, არა მარტო საქართველოში, არამედ რუსეთშიც. დიდ ფეხბურთში იყო ყოველთვის. არ იქნება ურიგო, ბატონი რომას გამოცდილება რომ მოხმარდეს ქართულ ფეხბურთს, ფედერაციაში იქნება ეს, „დინამოში“ თუ რაიმე სხვა ფორმით.

– „თბილისის დინამომ“ საფეხბურთო სკოლა დახურა. შედეგად მივიღეთ ის, რომ ბევრი ბავშვი ფეხბურთის გარეშე დარჩა. სფფ ახალ აკადემიას აშენებს რუსთავში, რამე გეგმა ხომ არ გაქვთ ამ ბავშვებთან დაკავშირებით შემუშავებული?

– აკადემია მშენებლობა გრაფიკით მიმდინაერეობს. აგვისტოში პირველ ეტაპს ვამთავრებთ. დავიწყეთ 2002 წელს დაბადებული ბავშვების ანკეტების მიღება და ძალიან ბევრმა ფეხბურთელმა შემოიტანა „დინამოს“ სკოლიდან. ჩვენ „დინამოს“ აკადემიას კი არ ვაკეთებთ, საქართველოს მასშტაბით ბევრი ნიჭიერი ბავშვია, ყველა რეგიონის წარმომადგენელს უნდა ჰქონდეს საშუალება, რომ ისწავლოს, რადგან ჩვენთან არიან ტალანტი ბავშვები. ჩვენ ალტერნატივას კი არ ვთავაზობთ „დინამოს“, „საბურთალოს“, „ლოკომოტივს“, ჩვენ ამ პროექტს უეფას ფარგლებში ვაკეთებთ. პროფესიით ანტიკრიზისული მენეჯერი ვარ და ეს სიტუაცია კრიზისია. „დინამო“ საუკეთესო იყო, ამას ვაღიარებ. ამ სკოლებმა ბევრი ნიჭიერი ბავშვი გაზარდა, რომლებიც რეგიონებიდან ჩამოდიოდნენ და შემდეგ კარიერას სხვაგან აგრძელებდნენ. უკვე ერთი კვირაა, რაც ანკეტებს ვიღებთ, ასზე მეტია გამოგზავნილი და აქედან 38 „დინამოს“ აკადემიის ბავშვები არიან.

– როდის შევა სრულ ექსპლუატაციაში რუსთავში მშენებარე აკადემია?

– აგვისტოდან დაიწყებს აკადემია მუშაობას. დარჩება ის აკადემიაც, რომელიც დიღომში გვაქვს და გააგრძელებს ფუნქციონირებას. ვსაუბრობთ ქალთა ფეხბურთის ფედერაციასთანაც.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვა – მაცადეთ ეს რამდენიმე თვე



„ზესტაფონს“ შეუძლია, მიმართოს სასამართლოსაც, ფიფასაც, უეფასაც. ჩვენ ჩვენი პოზიცია გვაქვს, რომელიც მათსავე წერილზეა აგებული“

„6 წელი ელოდებოდნენ ამას და ბოლო 2 თვე დამითმონ. მინდა, ყველაფერი კარგად ჩავატარო“

„საწუხაროა, 15 გუნდმა რომ დაასრულა ჩემპიონატი და ფინანსური პრობლემები გაუჩნდათ არა სახელმწიფო კლუბებს, არამედ კერძო კლუბებს“

არ ვიცი, როგორ იქნება, მაგრამ გეგმაში გვაქვს, ასეთ დონეზე, ქალთა ფეხბურთშიც დავიწყოთ აკადემიის გაკეთება ორ ასაკში. თუმცა, გოგოს გამოშვება სახლიდან ძნელია დღეს, ქართველები ვართ. რუსთავში იქნება არამარტო მოედანი, იქნება სრული სპორტული კომპლექსი, ჩოგბურთის კორტებით, აუზით, კალათბურთის დარბაზით. ჩვენ ვაკეთებთ ისეთ ადგილს, სადაც სპორტის ყველა სახეობის წარმომადგენელი შეიკრიბება და დამეგობრდება. სრულ სახეს როდის მიიღებს, არ ვიცი, მაგრამ 1 აგვისტოს, ვაპირებ, უეფას სტუმრები და სხვა ასოციაციები ჩავიყვანო რუსთავში და გავაცნო მშენებლობა.

– საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ეროვნული ნაკრების თამაშებისთვის „დინამო არენას“ ქირაობისთვის თბილისის „დინამოს“ ფულს უხდის, რა დაუჯდა ფედერაციას ნაკრებების თამაში „დინამო არენაზე“?

– ერთ რაღაცას გეტყვით, არ ვიცი და არ მინახავს კონტრაქტი, როგორ გადასცა „დინამო არენა“ მერიამ კლუბს.

– ჩვენ გამოვითხოვეთ ინფორმაცია მერიიდან, საიდანაც მოგვწერეს, რომ „დინამო არენა“ კლუბს 49 წლით, უზურფრუქტის წესით გადაეცა, სრული განკარგვის უფლებით, ისე, რომ „დინამოს“ მასში ერთი თეთრი არ გადაუხდია.

– რაც მითხარით, გამოდის, რომ „დინამოს“ აქვს ყველანაირი ვალდებულება იმისა, რომ არჩინოს სტადიონი, რომელსაც აქვს გადასახადები, წყლის, ელექტრო ენერგიის, სჭირდება განათება. „დინამოს“ ჰყავს თანამშრომლები, ამიტომ ის იღებს ქირას და ესეც მართვის სისტემაა. ეს თანხები საიდუმლო არ არის, საჯარო ინფორმაციაა და სტადიონის ქირა სპორტის სამინისტრომ გადაიხადა, ის ამისთვის ჩვენ გვაძლევს ფულს. დაახლოებით, 100-150 ათასი ლარი ჯდება სტადიონის იჯარა. ვხვდები, რატომაც იღებენ თანხას, ფედერაცია, „დინამო არენას“ წელიწადში, მინიმუმ, რვა-ათჯერ იყენებს. ეს თანხები არ ჰყოფნის ამხელა შენობის მოვლას. იცით, რომ ელიტრაუნდი იქნება წელს, პორტუგალია, ესპანეთი და თურქეთი ჩამოდიან. ჩვენ არ ვართ მზად, „დინამო არენაში“ გადავიხადოთ თანხები, ამიტომ ელიტ-რაუნდს „მიხეილ მესხის“ ორ მოედანზე ვატარებთ. ამაზე უნდა ეფიქრათ მაშინ, როდესაც „დინამო არენას“ აძლევდნენ კლუბს. მერიას უნდა ეფიქრა, რომ შეღავათი ყოფილიყო ქვეყნისთვის, ეს უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული. არ დაგავიწყდეთ, რომ „დინამო არენას“ 5% ფეხბურთის ფედერაციას ეკუთვნის, მაგრამ ჩვენც ვიხდით, რადგან ამას მოვლა სჭირდება. ფულზეა აქ საუბარი, სტაფია, რომელსაც უნდა გადაუხადო, რომ მოუაროს. ფეხბურთის ფედერაცია ნაკრების თამაშებზე ყიდის ბილეთებს და ამით ისტუმრებს დელეგაციების დაბინავებისა და საჩუქრების თანხებს, მაგრამ „დინამოს“ არ აქვს შემოსავალი, რომ ნაკრების თამაშებზე თანხის აღებაზე უარი ეთქვა. თავის თავს ხომ არ გადაუხდის ფულს?

– სტადიონის იჯარას ერთი ფასი აქვს ესპანეთის წინააღმდეგაც და ირლანდიისაც?

– ეს ყოველთვის მოლაპარაკებადია. ბილეთებს ძვირად არ ვყიდით. 7-15-30 ლარი ღირს. რაც შემოდის გაყიდვებიდან, ფედერაციას ის სჭირდება სტუმრების დასაბინავებლად და საჩუქრებისთვის. მესმის „დინამოსი“, მაგრამ არ მესმის მერიის და იმ ხალხის, ვისაც ეს უნდა გაეთვალისწინებინა, რაგბის, ფეხბურთის დიდი თამაშები უნდა იყოს უფასო. სუპერთასისთვის იჯარას არ ვიხდით.

– სუპერთასის მოსამზადებელი სამუშაოები როგორ მიდის, ესწრება ყველაფერი?

– სუპერთასის სამუშაოები იდეალურად მიდის. სტადიონის გამაგრებები დასრულდა. ტაბლო შეიცვალა და ნახეთ ეს გერმანიასთან მატჩზე. არის ელექტრონული ბილეთები. 16 ივნისს ჩამოდიან ორი მოგებული გუნდის წარმომადგენლები. უეფადან დელეგაცია, 40 კაცზე მეტი, სპონსორები, უსაფრთხოება და ა.შ. 16 ივნისს იქნება პრესკონფერენცია. 18 ივნისიდან კი ბილეთების გაყიდვა დაიწყება ინტერნეტით.

– როგორ მოხდება ინტერნეტით ნაყიდი ბილეთების განაღდება?

– ერთ ადამიანს შეეძლება, ერთი პირადობით 4 ბილეთი იყიდოს. შემდეგ მიხვალთ biletebi.ge-ზე და წამოიღებთ. Biletebi.ge-ს 30 ათასი ბილეთი ექნება გასაყიდი და მათი ფასი 7, 15 და 30 ევრო იქნება. მატჩამდე ორი კვირით ადრე, შეწყდება ონლაინ გაყიდვები და თუკი რამე დარჩება გასაყიდი, გადმოინაცვლებს სალაროში.

– თასის ფინალზე ამბობენ, რომ თბილისის „დინამო“ „სამტრედიას“ თამაშს დაუთმობს, თქვენამდე არ მოვიდა ეს ინფორმაცია? რას აპირებთ?

– ასეთი ჭორი არ მომისმენია, თანაც, რომან ფიფიამ მწვრთნელი შეცვალა. ეს იმას ნიშნავს, რომ გეგუჩაძე თამაშზე მოსაგებად გავა. ჩვენც გვაქვს სიურპრიზი ამ თამაშისთვის. სიურპრიზი კი იმაში მდგომარეობს, რომ შეხვედრას გერმანიის პირველი ბუნდესლიგის მსაჯთა ბრიგადა გაწვრთნის. გვარებს საიდუმლოდ დავტოვებ.

– ყველას აინტერესებს, როდის გაიმართება ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები, როდის გამოაცხადებთ თარიღს?

– როგორც კი მორჩება სუპერთასი, შეიკრიბება აღმასკომი და დადგენილ ვადებში დაინიშნება არჩევნები. 11 აგვისტოს, ყველა ვარიანტში მინდა, რომ სუპერთასს ვუმასპინძლო, როგორც პრეზიდენტმა. ჩვენ ბევრი სამუშაო გვაქვს, არ ვჩერდებით. ვთხოვ ყველა გულშემატკივარს, რომელსაც არ ვუყვარვარ და ჩემი წასვლის შემდეგაც ექნებათ საშუალება, რომ მეტი ცუდი ილაპარაკონ, მომცენ საშუალება, რომ რამდენიმე თვე გავატარო ამ პოსტზე. 6 წელი ელოდებოდნენ ამას და ბოლო 2 თვე დამითმონ. მინდა, ყველაფერი კარგად ჩავატარო. წინ ელიტრაუნდია, ნაკრების ამხანაგური და ოფიციალური მატჩები, სუპერთასისთვის ვემზადებით, რთული გრაფიკი გვაქვს და ვთხოვ, მაცადეთ ეს რამდენიმე თვე.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

საქართველოში ამერიკის დღეები იწყება

2 მაისს დაიწყება და თითქმის მთელი კვირა გასტანს ამერიკული დღეები საქართველოში. პროექტი პირველად ხორციელდება ამერიკის საელჩოს გადაწყვეტილებით.

ამერიკის დღეები სტარტს ზუგდიდში აიღებს. შემდეგ ახალციხეში გადაინაცვლებს, იქიდან გორში და 6 მაისს თბილისში რიყეზე დასრულდება.

პროექტის ფარგლებში საქართველოში ექვსკაციანი ჰიპ-ჰოპ ბენდი „Danger flow“ და მოცეკვავეების ჯგუფი „sea2sea“ ჩამოდის. ამერიკულ დღეებს ამერიკის ელჩი საქართველოში, კულტურის ატაშე და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელი დაესწრებიან.

ნანა კიკნაძის განმარტებით:

– ამერიკა და საქართველო მნიშვნელოვანი სტრატეგიული პარტნიორები არიან. ადამიანებსა და ხალხთა შორის ურთიერთობა ამ სტრატეგიული ურთიერთობის ერთ-ერთი კომპონენტია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ამერიკის კულტურის გაცნობა. პროგრამის ფარგლებში საუბარი იქნება ამერიკის საელჩოს მიერ დაფინანსებულ გაცვლით და სხვადასხვა საგრანტო პროგრამებზე, მაგალითად, ინგლისური წიგნის თარგმანის პროგრამებზე ქართველი ლექტორებისთვის. ამ კვირეულს ექნება როგორც საგანმანათლებლო, ისე გასართობი ხასიათი.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

კორუფცია ადამიანების

„ერთი ხელის მოსმით, რომ ავყაროთ ეს ხალხი, არ არის სწორი, სახელმწიფო ზრუნავს იმაზეც, რომ მათ შევუქმნათ ალტერნატივა“

მირიან ბოქოლიშვილი

დაბრუნდა თუ არა დედაქალაქში გარე ვაჭრობა? ამ კითხვას ჩვენი მკითხველი ადვილად გასცემს პასუხს თუ ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიაზე გამოფენილ საცვლებსა და კოლგოტებს გადაავლებს თვალს, თუმცა ეს არაფერია იმასთან შედარებით, რაც დეზერტირების ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე ხდება. აქ მდგომარეობა კიდევ უფრო საგანგაშოა, გამომდინარე იქიდან, რომ ქუჩაში დახლებზე პირდაპირ საკვები პროდუქტებია გამოფენილი. ჩვენი ფოტორეპორტაჟისთვის თვალის ერთი გადავლებაც კი საკმარისია, რომ მკითხველი დარწმუნდეს, რამდენად სერიოზულად დგას დღეს გარევაჭრობის პრობლემა დედაქალაქში.

„პრაიმტაიმი“ შეეცადა, გაერკვია, რატომ არ რეაგირებენ შესაბამისი სამსახურები, მაშინ, როდესაც ერთდროულად რამდენიმე პრობლემასთან გაქვს საქმე: 1. ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც უკვე წლებია, ითხოვს დეზერტირების ბაზრობის გარემოვაჭრეებისგან და კუსტარული დახლებისგან განთავისუფლებას; 2. ანტისანიტარიულ პირობებში საკვები პროდუქტების რეალიზაცია, რაც საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას; 3. მოტყუებული მომხმარებელი, რომელსაც, როგორც წესი, სპეციალურად დაყენებული სასწორით ატყუებენ და 4. კორუფცია, რომელიც გაურკვეველი ჯგუფის მიერ ყოველდღიური მოსაკრებლის შეგროვებაში გამოიხატება და კაცმა არ იცის, ვის ჯიბეში მიდის ეს თანხა.

„ანტიკორუფციული კავშირის“ თავმჯდომარე გია ბურჯანაძე ვარაუდობს, რომ დეზერტირების ბაზრობასთან გაჩაღებული გარევაჭრობის უკან კონკრეტული პირების ინტერესები დგას, რომელთაც აქედან საკმაოდ სერიოზული შემოსავალი მისდით.

გია ბურჯანაძე, „ანტიკორუფციული კავშირის“ თავმჯდომარე:

– გარევაჭრობა სერიოზული პრობლემაა დედაქალაქში. ეს არის ანტისანიტარიის ბუდე. მით უმეტეს, ახლა იწყება დაავადებების აფეთქების პერიოდი. განსაკუთრებით რთული ვითარებაა ე.წ. დეზერტირების ბაზრობასთან, რომელიც აუღებელ ციხესიმაგრედ იქცა. გარდა ანტისანიტარიისა, იკვეთება სერიოზული კორუფციული პრობლემები, რომელიც ცალკე საუბრის თემაა. არ არსებობს ხარისხის კონტროლი, ხდება წონაში მოტყუება. გარდა ამისა, მიმდებარე ტერიტორიაზე მაცხოვრებლების უფლებები სერიოზულად ირღვევა. ეს პრობლემა გადასაწყვეტია არა მხოლოდ დედაქალაქის მერიის მიერ, არამედ სხვა უწყებებიც აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულნი. მე მათ ქმედითი ნაბიჯების გადადგმისკენ მოვუწოდებ. დღისით, მზისით ნაგვის ურნებში იყრება გაფუჭებული პროდუქტები, რომელზეც კიდევ ცალკე ჯგუფი მუშაობს, იღებენ ნაგვიდან ამ პროდუქტებს, რომელსაც შემდეგ ძაღლებისთვის ყიდიან.

– კორუფცია ახსენეთ და კონკრეტულად, რას გულისხმობ?

– ვგულისხმობ იმას, რომ ყოველდღიურად გარემოვაჭრეებისგან საკმაოდ დიდი თანხა იკრიბება. დადის გაურკვეველი პირი და აგროვებს მოსაკრებელს. კაცმა არ იცის, სად და ვის ჯიბეში მიდის ეს ფული. საკმაოდ სერიოზულ თანხაზეა საუბარი, რომლის უკანაც, სავარაუდოდ, ვიღაც გავლენიანი პირი დგას. სხვათა შორის, თავის დროზე მსგავსი საქმიანობისთვის დაკავებულიც კი იყო ვინმე ტუღუში, ის მიეცა სისხლის სამართლის პასუხისგებაში, თუმცა დღეს მისი საქმიანობა სხვამ გადაიბარა ასეთივე „წარმატებით“, რაც მაფიქრებინებს, რომ იმ ადამიანის დაჭერის მიზანი იყო არა დანაშაულის აღკვეთა, არამედ ამ ე.წ. შავ ბიზნესზე კონტროლის დამყარება. ამის იგნორირება არაფრით არ შეიძლება.

როგორ აპირებს დედაქალაქის მთავრობა გარევაჭრობის პრობლემის მოგვარებას? რატომ უჭირს ნარმანიას უწყებას არაპოპულარული, თუმცა საქმიანი ნაბიჯის გადადგმა? ამის გასარკვევად მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოადგილეს, ნოდარ ტურძელაძეს დავუკავშირდით, რომელმაც განგვიმარტა, რომ უახლოეს მომავალში კომპლექსური ღონისძიებების გატარება იგეგმება.

ნოდარ ტურძელაძე, ზედამხედველობის სამსახურის უფროსი:

– ჩვენ პერმანენტულად ვახდენთ რეაგირებას. ჩვენი თანამშრომლები, პატრულთან ერთად, მიდიან, აფრთხილებენ გარემოვაჭრეს, მაგრამ პრობლემა ამით არ წყდება. მაშინ 24-საათიან რეჟიმში უნდა მოხდეს კონტროლი, რადგან ერთ-ორ დღეში კვლავ იგივე ადგილს იკავებენ. ეს ეხება არა მხოლოდ დეზერტირების ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიას, არამედ სხვა ადგილებსაც. მაგალითად, საბურთალოს, სადაც ყვავილებით ხდება გარევაჭრობა. დღევანდელი სიტუაციით, გარე-

ვის ჯიბეში მიდის გარევაჭრობიდან შემოსული ფული?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სიცოცხლის ხარჯზე

„გაურკვეველი ადამიანი დადის და ყოველდღიურად კრეგს მოსაკრებელს“

„გარდა ანტისანიტარიისა, იკვეთება სერიოზული კორუფციული პრობლემები“

ვაჭრობა კანონით აკრძალულია, მაგრამ მაქსიმალურად ვცდილობთ ამაზე რეაგირებას.

– როგორც ჩანს, ერთჯერადი გაფრთხილება არ ამართლებს... ხომ არ ფიქრობთ, რომ უფრო კომპლექსური მიდგომაა საჭირო?

– ამ საკითხზე, რა თქმა უნდა, ვმუშაობთ. კონსულტაციები გვაქვს სხვადასხვა ორგანოებთან, რადგან მხოლოდ ზედამხედველობის სამსახურის რესურსი ამას არ ეყოფა. არ შეიძლება მხოლოდ დეზერტირებზე რომ მივიდეთ და არ მივიდეთ იგივე გლდანის ბაზრობაზე, ან სხვა პუნქტებში. ეს არათანაბარი მიდგომაა.

– რა თქმა უნდა, მაგრამ პირველი ნაბიჯი ხომ უნდა გადაიდგას...

– ამიტომაც კომპლექსური მიდგომა აუცილებლად საჭიროა და ვმუშაობთ ამ მიმართულებით. კონსულტაციები გვაქვს სურსათის უვნებლობის სააგენტოსთან, საპატრულო პოლიციასთან და ვგეგმავთ, რა სახის ღონისძიებები გატარდეს და რა მეთოდებით. ეს ნამდვილად აქტუალური პრობლემაა, რადგან ხდება პროდუქტის დაბინძურება და საში- ში პროდუქტის მოსახლეობისთვის მიწოდება. თუმცა ისე არ არის, რომ დღეის მდგომარეობით არაფერი კეთდებოდეს. ეს არ არის მარტივი მოსაგვარებელი, რადგან რეაგირების შემთხვევაში ადგილი აქვს გაღიზიანებას და სჭარბობს ემოციური ფონი.

– სანქციები, რომელიც გარემოვაჭრეებს ეკისრებათ, რამდენად ადეკვატურია?

– გაფრთხილების შემდეგ, რა თქმა უნდა, იწერება ჯარიმა. ეს არც თუ ისე დიდი თანხაა, პირველი დაჯარიმება ხდება 20 ლარის მოცულობით და, ასევე, საქონლის კონფისკაციას გულისხმობს, მეორე შემთხვევაში ეს თანხა 50 ლარამდე იზრდება. დღევანდელი კანონმდებლობა მხოლოდ ამის შესაძლებლობას გვაძლევს.

– კანონმდებლობის გამკაცრებას ხომ არ გეგმავთ?

– ამ მიმართულებითაც ვმუშაობთ, თუმცა არსებული კანონმდებლობის ფარგლებშიც ვახდენთ რეაგირებას.

– არსებობს მოსაზრება, რომ ხელისუფლებას უჭირს არაპოპულარული გადაწყვეტილების მიღება და ამიტომაც იკავებს თავს კიდევ ერთი სოციალური ჯგუფის მიმართ ქმედითი ღონისძიებების გატარებისგან?

– გამომდინარე იქიდან, რომ მე ვარ ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოადგილე პოლიტიკური განცხადებებისგან თავს შევიკავებ. კანონი კანონია და ის ყველამ უნდა დაიცვას. ჩვენ ალტერნატიულ ფორთებს ვთავაზობთ გარემოვაჭრეებს. ერთია, რომ მათ უშლი გარევაჭრობას, მეორე საკითხია, რომ მათ შევთავაზოთ გამოსავალი. არსებობს კერძო ბაზრობები, რომელთაც აქვთ ძალიან კარგი შეთავაზებები ამ ადამიანებისთვის. ვიცით, რომ გარემოვაჭრეს დალხენილი რომ ჰქონდეს ცხოვრება, ქუჩაში არ დადგებოდა. ერთი ხელის მოსმით რომ ავყაროთ ეს ხალხი, არ არის სწორი, სახელმწიფო ზრუნავს იმაზეც, რომ მათ შევუქმნათ ალტერნატივა.

ერთ-ერთი ალტერნატივა, რომელსაც გარემოვაჭრეებს სთავაზობენ, იმავე ტერიტორიაზე არსებული კეთილმოწყობილი ბაზრობის ათვისებაა. ახალი დეზერტირების ბაზრობის მშენებლობა 18 მილიონი დაჯდა და იქ საცალო ვაჭრობისთვის ყველა პირობაა შექმნილი. ობიექტი ჰოლდინგ „სიბიესის“ მფლობელობაშია. კომპანიაში გვითხრეს, რომ აქ მოვაჭრეებს გაცილებით ნაკლები გადასახადის გადახდა მოუწევთ, თუმცა ერთადერთი პირობით – მათ ქარხნულად დალუქულ სასწორებზე უნდა იმუშაონ. როგორც ჩანს, სწორედ ეს პირობაა მიუღებელი გარემოვაჭრეებისთვის.

ნათია მიქიაშვილი, „სიბიესის“ წარმომადგენელი:

– ეს არ გახლავთ ქოხი, ან კუსტარულად გადახურული შენობა. ჩვენთან არის ყველა პირობა იმისთვის, რაც საჭიროა ვაჭრობისთვის. ჩვენ ყველას ვუწესებთ ერთადერთ ვალდებულებას – ეს არის ქარხნული წესით დალუქული სასწორით მუშაობა. რეალურად გარევაჭრობის შემთხვევაში წონაში სერიოზული ცდომილებაა, ეს თქვენც მარტივად შეგიძლიათ გადაამოწმოთ. ამიტომაც ერთადერთი მოთხოვნა ჩვენი მხრიდან არის ის, რომ არ მოვატყუოთ მომხმარებელი.

– ამბობენ, რომ თქვენს ობიექტზე მოვაჭრეებს გაცილებით მეტი თანხის გადახდა მოუწევთ...

– ეს არის აბსოლუტური სიცრუე. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო გამოიჩენს კეთილ ნებას და მიხვდება, რომ სახელმწიფოში, რომელსაც პრეტენზია აქვს ევროკავშირის წევრობაზე, არ შეიძლება გარევაჭრობა არსებობდეს და ნაგავსაყრელად იყოს ქცეული ტერიტორია, ჩვენ მზად ვართ, ყველანაირი პირობა შევუქმნათ მოვაჭრეებს. ვთავაზობთ დახლებს, რომელიც სრულიად უფასოა, ჩვენ მათ ვთავაზობთ 4-თვიან პერიოდს, როდესაც არაფერს არ გადაიხდიან. ერთადერთი მათი გადასახადი იქნება დასუფთავების მოსაკრებელი, რომელიც კატეგორიების მიხევით 50 თეთრიდან 2 ლარამდე მერყეობს. დამეთანხმებით, რომ ეს არ არის რაიმე სერიოზული თანხა. 2 ლარი წესდება მათზე, ვინც მაცივრით სარგებლობენ. ჩვენს მენეჯმენტს ყველა ხარჯის დაფარვა თვეში დაახლოებით 70 ათასი ლარი უჯდება.

– როგორ ფიქრობთ, რატომ არ იღებს დედაქალაქის მთავრობა გადამჭრელ ზომებს?

– რაღაც მომენტში, შეიძლება ითქვას, სახელმწიფოს მხრიდან გარევაჭრობის აკრძალვა არაპოპულარული ნაბიჯია, მაგრამ, მეორე მხრივ, რა დააშავა მომხმარებელმა, რომელსაც ეუბნებიან, რომ იყიდა 2 კილო ვაშლი და სახლში სინამდვილეში მიაქვს 900 გრამი. სხვა საკითხია ის ანტისანიტარია, რომელიც ამ ტერიტორიაზე სუფევს. ეს არის ადამიანების მიზანმიმართული მოწამვლა, მით უმეტეს ზაფხულის მოახლოებასთან ერთად. გამორიცხულია, ავტომობილის საბარგულში ჩაყრილი თევზი იყოს საჭმელად გამოსადეგი. არ შეიძლება სანიტარიული პირობის დარღვევით იჭრებოდეს და იყიდებოდეს ხორცი. მე ვერ მივცემ ამ ადამიანებს მომხმარებლის მოტყუების უფლებას, ამიტომაც, როგორც ჩანს, ულირთ კანონდარღვევით იდგნენ გარეთ, გადაიხადონ თუნდაც ჯარიმები და არასწორად დაყენებული სასწორებით მოატყუონ მომხმარებელი. აქ სახელმწიფომ უნდა გააძლიეროს კონტროლი.

– თუ გაქვთ ინფორმაცია, გარემოვაჭრეები ყოველდღიურად რამდენს იხდიან და ვის უხდიან?

– ეს არის ყველაზე საინტერესო. ეს ადამიანები უფასოდ ნამდვილად არ დგანან გარეთ. მაშინ, როცა ჩვენ ვთავაზობთ მათ უმრავლესობას 50-თეთრიან გადასახადს, ისინი იხდიან 1,5 ლარს.

– სად მიდის ეს თანხა?

– ყოველ შემთხვევაში ვიცი, რომ ეს თანხა სახელმწიფოში არ შედის. ამ ტერიტორიას არ ფლობს არც რომელიმე კერძო პირი. გაურკვეველი ადამიანი დადის და ყოველდღიურად კრებს მოსაკრებელს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რატომ გაპორდა ნი

„ცოლ-ქმარი ცალ-ცალკე არ უნდა ცხოვრობდეს“

my View
ნინო მჭედლიშვილი

33 წლის ნინო ჭოლაძე პროფესიით მსახიობი გახლავთ. დაამთავრა თეატრალური ინსტიტუტი და დღემდე დაკავებულია ქუთაისის თეატრში. ცოტა ხნის წინ მსახიობი „ჩემი ცოლის დაქალებში“ გამოჩნდა. მისი პერსონაჟი „საკმაოდ გამოცდილ, „სტერვა“ ტელეწამყვანს თამაშობს. მის გადაცემას კი „წარმატების საათი“ ჰქვია.

ჰყავს თუ არა პროტოტიპი მიმის და როდის იყო წარმატების საათი ნინოს პირად ცხოვრებაში, ჩემი რესპონდენტი თავად გიამბობთ.

- როგორც ყველა მსახიობი, მეც ეკა მჟავანაძის დახმარებით მოვხვდი ამ სერიალში. გადავიღეთ სინჯი და დამამტკიცეს როლზე. თავიდან არ ვიცოდი როგორი უნდა ყოფილიყო ტელეწამყვანი, რომელსაც ვითამაშებდი. თანდათან ჩამოყალიბდა მიმი ისეთად, როგორიც დღეს არის.

- პროტოტიპი გყავს?

- არა. ძალიან უხერხული იქნებოდა, ქართულ ტელესივრცეში მომუშავე რომელიმე ტელეწამყვანისთვის რომ მიმებაძა. ჩემი აზრით, მსახიობმა ნებისმიერი გმირი თავად უნდა შექმნას, ისეთად, როგორიც მას წარმოუდგენია, როგორსაც თავად ხედავს. შეიძლება ვიღაცამ მიმიში საკუთარი თავი ამოიცნოს, მაგრამ დამიჯერეთ, ეს განზრახ არ არის გაკეთებული, ყოველ შემთხვევაში, ჩემი მხრიდან.

- თავად თუ უყურებ ქართულ ტელე-შოუებს?

- არა.

- რატომ, არ გცალია, თუ არ გაინტერესებს?

- არც მცალია და არც მაინტერესებს.

„შეიძლება ვიღაცამ მიმიში საკუთარი თავი ამოიცნოს, მაგრამ დამიჯერეთ, ეს განზრახ არ არის გაკეთებული, ყოველ შემთხვევაში, ჩემი მხრიდან“

- ე.ი. მიმისგან განსხვავებით, სელებრითების პირადი ცხოვრების დეტალებით არ ინტერესდები?

- არავის პირადი ცხოვრების დეტალებით არ ვინტერესდები.

- სამაგიეროდ, ჩვენ, ჟურნალისტები ვინტერესდებით ცნობილების პირადით. მიამბე, როგორ გაიცანი შენი მომავალი მეუღლე?

- მუსიკალურ სტუდიაში გავიცანით ერთმანეთი. მე ვმღეროდი, ზაზა (ხუბუტელაშვილი) ძალიან ნიჭიერი მუსიკოსია და მოგვიხდა შეხება. 17 წლის ვიყავი, როცა გავთხოვდი. გვყავს ორი შვილი: 14 წლის მარიამი და 7 წლის ბარბარე.

- მშობლებმა არ გააპროტესტეს შენი ნაადრევი ქორწინება?

- მამა, სამწუხაროდ, აღარ იყო ცოცხალი. 14 წლის ვიყავი რომ გარდაიცვალა, გულმა უმტყუნა. დიდი სტრესი იყო ჩემთვის. ალბათ, ყველა ასე ამბობს, მაგრამ მე მართლა განსაკუთრებული მამა მყავდა. ერთ-ერთი მათთაგანი, რომელმაც გადამაწყვეტინა მსახიობობა.

- მამები ძირითადად არ ურჩევენ ხოლმე ქალიშვილებს მსახიობობას...

- ჰო, მაგრამ მამამ ძალიან შემიწყო ხელი. თავად ფეხბურთელი იყო, ქუთაისში თამაშობდა. პროფესიით ინჟინერი გახლდათ. 45 წლის ასაკში გარდაიცვალა. უფროსი და მყავს, რომელიც მაშინ უკვე გათხოვილი იყო და დავრჩით მე და დედა მარტონი.

- ალბათ, რთული წლებიც გქონდათ.

- ჰო, ყველანაირად რთული იყო ეს პერიოდი ჩვენთვის. მამა ძალიან მზრუნველი და ყურადღებიანი იყო. შეიძლება ითქვას, ხელის გულზე ატარებდა ოჯახს, დედამ არც კი იცოდა სად იყო ბაზარი. და ასე, უცებ ძალიან ახალგაზრდა დაქვრივდა.

- მათი სიყვარულის შემყურეს, ალბათ, გაგიჭირდა მეორე ნახევრის პოვნა. ქალიშვილები პარალელებს ავლებენ ხოლმე მამებთან...

- მართალია, რა გარემოს, ურთიერთობებსაც ხედავ ოჯახში, ისეთივე გინდა გქონდეს შენც, თუ უკეთესი არა. მე ჩემს შვილებს ვუსურვებ ასეთ გარემოს, სიყვარულს, სითბოს, რაც დედასა და მამას ჰქონდათ. დედა ძლიერი აღმოჩნდა, რომ ეს სირთულე გადაიტანა.

- მამამ იცოდა შენი სიყვარულის შესახებ?

- არა, იმ პერიოდში არავინ მიყვარდა. ვწუწუნებდი კიდეც, რაღაც მჭირს ეტყობა, როგორ შეიძლება არავინ მომწონდეს-მეთქი.

- დედამ იდარდა, რომ გათხოვდი, სულ მარტო რომ რჩებოდა...

- მარტო არ დამიტოვებია, არც მე და არც ჩემს დას. შეიძლება მოსაბეზრებელიც ვართ ჩვენი შვილებით, მაგრამ არ მგონია. მგონი კარგი შვილები ვართ. დედამ ყველა ჩემი ნაბიჯი წინასწარ იცოდა, მათ შორის გათხოვებაც. ის

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნო ჭოლაძე ქმარს

„რაც არ უნდა მოხდეს და როგორი არჩევანის წინაშეც არ უნდა დადგეს ოჯახი, ცოლ-ქმარი ცალ-ცალკე არ უნდა ცხოვრობდეს. პატარები ვიყავით...“

„არ მიყვარს ჩხუბით, სკანდალებით, შეურაცხყოფით რაღაცების გადაწყვეტა. ვერ ვიტყვი, რომ ვინმეა ამაში დამნაშავე. ორივემ დავაშავეთ, ცოტა ცხოვრებამაც შეგვიწყო ხელი“

„14 წლის ვიყავი მამა რომ გარდაიცვალა, გულმა უმტყუნა. დიდი სტრესი იყო ჩემთვის. ალბათ, ყველა ასე ამბობს, მაგრამ მე მართლა განსაკუთრებული მამა მყავდა. ერთ-ერთი მათთაგანი, რომელმაც გადამაწყვეტინა მსახიობობა“

EXCLUSIVE

ჩემი ყველაზე კარგი მეგობარი და მრჩეველია.

- ქმარზე მიყვებოდი...

- გაცნობიდან სამ წელიწადში დავქორწინდით. თავიდან ვმეგობრობდით. მიუხედავად იმისა, რომ დიდი სიყვარული გვქონდა, ჩვენი ცხოვრება ისე წავიდა, ხშირად ცალ-ცალკე გვიწევდა ყოფნა. ამაში პროფესიებიც „გვინყობდა“ ხელს.

- პროფესიები ახსენე, როგორ ეგუებოდა შენი ქმარი მსახიობ ცოლს?

- საშინელებაა მსახიობი ცოლი. თუმცა არასდროს გაუპროტესტებია ჩემს ქმარს. უბრალოდ, არ ნახულობდა ჩემს სპექტაკლებს. ერთადერთი სპექტაკლი აქვს ნანახი, „რომეო და ჯულიეტა“ და არ გაუპროტესტებია.

- გისმენ და შთაბეჭდილება მრჩება, რომ მასზე ლაპარაკი არ გინდა. ერთად აღარ ხართ?

- არა.

- რა არის ამის მიზეზი?

- ძალიან გამიკვირდება თუ დაშორებული ცოლ-ქმარი ამ კითხვაზე პასუხს გასცემს. ამის ერთი მიზეზი არ არსებობს. ჩემს ყოფილ ქმარზე შემიძლია ძალიან ბევრი კარგი ვილაპარაკო. ინდივიდუალურად მართლა კარგი ადამიანია, ნიჭიერი მუსიკოსი, მაგრამ ერთად ვერ შევძელით ცხოვრება.

- როგორ გგონია, ისიც კარგს იტყვის შენზე?

- არ ვიცი.

- რამდენი ხანია რაც ერთად აღარ ხართ?

- დაშორებამდეც გვიწევდა ცალ-ცალკე ყოფნა. ეს ჩემი პროფესიის ბრალიც იყო და მისი საქმიანობისაც.

- ახლა სადაა?

- თბილისშია.

- მოდი დავაკონკრეტოთ, ეს იყო პროფესიების გამო დაშორებები, თუ ოჯახური კონფლიქტების შედეგები?

- არა, კონფლიქტები არ ყოფილა. ერთ რამეს ვიტყვი, რაც არ უნდა მოხდეს და როგორი არჩევანის წინაშეც არ უნდა დადგეს ოჯახი, ცოლ-ქმარი ცალ-ცალკე არ უნდა ცხოვრობდეს. პატარები ვიყავით...

- თავისუფლება უნდოდა?

- არ მიყვარს როცა ვინმეს თავისუფლებას ვუზღუდავ, ეტყობა მეტმა თავისუფლებამ ქნა ეს ყველაფერი, არ ვიცი... ამის გაანალიზება ძნელია.

- რამდენხნიანი იყო თქვენი განშორებები?

- სულ იყო, სტუდენტობიდან მოყოლებული. მე რომ შინ ვბრუნდებოდი, ის სტუდიაში მიდიოდა ჩაწერაზე, მერე მოსკოვში წავიდა გასტროლზე, წავყევი, ვერ გავჩერდი და ჩამოვედი... თვეებით გვიწევდა ერთმანეთისგან შორს ყოფნა... ამ ყველაფრის მოყოლა ძნელია. ბოლოს მივხვდი, რომ ცოდოა თვითონაც და მეც. ბოლო ერთი წელია ერთად აღარ ვართ.

- სიყვარული გაქრა?

- კი.

- უთხარი ამის შესახებ მას?

- რა თქმა უნდა, არ მიყვარს ჩხუბით, სკანდალებით, შეურაცხყოფით რაღაცების გადაწყვეტა. ვერ ვიტყვი, რომ ვინმეა ამაში დამნაშავე. ორივემ დავაშავეთ, ცოტა ცხოვრებამაც შეგვიწყო ხელი. ასე სჭირდებოდა ჩვენს შვილებს.

- ბავშვები როგორ შეხვდნენ იმას, რომ მათ მშობლებს ცალ-ცალკე უნდა ეცხოვრათ?

- ნორმალურად, ფაქტობრივად, შეგუებულებიც იყვნენ ამას. სულ ჩემთან იყვნენ და მიდიოდნენ ხოლმე მამასთან. ახლაც აქვთ ურთიერთობა მამასთან ბავშვებს.

- ახლა უკვე ცნობილი სახე ხარ, „წარმატების საათი“ მიგყავს სერიალში, შენი წარმატების საათი ხომ არ დამდგარა, ხომ არ გამოჩენილა ახალი სიყვარული?

- მე ჩემი პროფესია მიყვარს, მაქსიმალურად აქეთ ვარ გადართული. მადლობა ღმერთს, რომ დაკავებული ვარ და ჩემს საყვარელ საქმეს ვაკეთებ. როცა ამას ვაკეთებ, ძალიან კეთილი ვარ, არ ვარ ბოროტი (იცინის).

- ბოროტი როდის ხარ?

- როცა სახლში ვზივარ და არარეალიზებული ვარ... რაც შეეხება პირად ცხოვრებას, არ ვეძებ არავის, მოსასვლელი თავისით მოვა.

- ნინო, ბოროტი ვარო თქვი, მიმი გამახსენდა, მასაც აქვს რაღაც მსგავსი ხო?

- მიმის სიბოროტე გამიზნული არაა, ასეთია, მის საქმეს ასე სჭირდება, ტელევიზიას, გადაცემას და რაც მთავარია, რეიტინგს სჭირდება. მიმი ნამდვილი პროფესიონალია, გადამკვდარი თავის საქმეზე. აი, ამაში ვგავართ. მეც ვგიჟდები ჩემს პროფესიაზე. დანარჩენი რა გითხრათ, აბა, მგონი გარეგნობითაც არ ვგავარ. ამიტომ, რომ მეკითხებიან, პოპულარობამ ხომ არ შეგაწუხაო, ვერ ვხვდები ეს რას ნიშნავს. ვერავინ მცნობს, იშვიათად მაკვირდებიან ქუჩაში. ეს ძალიან მომწონს. თავისუფლად ვარ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვინ აკეთებს ფულს სას

ბიზნესი თუ განათლება

ნელი თორდია

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებითა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით, 2009 წლიდან საქართველოში ყოველწლიურად ტარდება საგნობრივი ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა. ოლიმპიადების მიზანია სკოლაში მიმდინარე რეფორმების ხელშეწყობა, სასწავლო პროცესის სტიმულირება, ნიჭიერი მოსწავლეების გამოვლენა, მოსწავლეების წახალისება და საერთაშორისო ასპარეზზე გასამგზავრებლად, საქართველოს ეროვნული ნაკრებისთვის საუკეთესო მოსწავლეების შერჩევა. ეროვნული ოლიმპიადის პარალელურად, სასკოლო ოლიმპიადების სისტემაში აქტიურობენ საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე კერძო კომპანიები.

წინა ხელისუფლების დროს, სასკოლო ოლიმპიადების სფეროში მონოპოლია რამდენიმე კერძო საგანმანათლებლო ორგანიზაციას ჰქონდა, რასაც კახა ბენდუქიძისა და გიული ალასანიას სახელებს უკავშირებდნენ. როგორც ჩანს, საქართველოში საგნობრივი სასკოლო ოლიმპიადები საკმაოდ წარმატებული ბიზნესია, ამიტომ ბაზარზე არსებულ კომპანიებს თითქმის ყოველთვიურად ახალი კონკურენტი ემატება. „კინგსი“, „ევერესტი“, „შერლოკი“, „ლონდონ სქული“, „დოსტი“, თურქული სკოლების ქსელი „სხივი“ - ეს სასკოლო ოლიმპიადების სფეროში დასაქმებული კომპანიების არასრული ჩამონათვალია და მათი რაოდენობა ყოველდღიურად თუ არა, თითქმის ყოველთვიურად იზრდება. ვინ აკონტროლებს სასკოლო ოლიმპიადების სეგმენტს საქართველოში, არსებობს თუ არა კრიტერიუმები ოლიმპიადის ჩატარების მსურველთათვის, რას აძლევს და რამდენად წაადგება მოსწავლეს ასეთ ოლიმპიადებში მონაწილეობა? საერთაშორისო საგანმანათლებლო ასოციაცია „ბალავარის“ ხელმძღვანელი ლალი ბერძენიშვილი დარწმუნებულია, რომ განათლების ხარისხის ასამაღლებლად, საგაკვეთილო პროცესის გარდა, უნდა არსებობდეს სკოლის გარეშე განათლება, ანუ ოლიმპიადები, საგნობრივი კონკურსები, კონფერენციები, დისტანციური კონკურსები და ა.შ. „მაგრამ, ის რაც დღეს საქართველოში ხდება, სრული ქაოსია და არც სკოლას და არც მოსწავლეს არაფერში წაადგება“, - აცხადებს ლალი ბერძენიშვილი.

ზოგადად, განათლების ხარისხის ასამაღლებლად, აუცილებელია, როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლების განვითარება. ფორმალურ განათლებად ითვლება საგაკვეთილო პროცესი, ხოლო არაფორმალური განათლებაა ოლიმპიადები, რომელსაც ატარებს განათლ-

ების სამინისტრო, და კერძო ორგანიზაციები, სხვადასხვა საგნობრივი კონკურსები, კონფერენციები და ა.შ. მაგრამ დღეს რაც ხდება, არაფორმალური განათლება კი არა, კატასტროფამდე მისული ქაოსია. ტარდება უამრავი კონკურსი, მაგრამ არავინ იცის, ვინ ატარებს ამ კონკურსებს, რა არის ამ კონკურსების რეალური მიზანი და როგორია ხარისხი. მე ამ თემაზე მქონდა საუბარი განათლების მინისტრის მოადგილესთან, ლია გიგაურთან, რომელსაც მოვუყევი რა ხდებოდა სისტემაში და ვთხოვე, იქნებ მიხედოთ ამ საკითხს მეთქი. ქალბატონი ლია დამეთანხმა, რომ საოლიმპიადო სისტემაში მართლაც ქაოსია, მაგრამ აღნიშნა, რომ კერძო ორგანიზაციების საქმიანობაში ჩარევის უფლება არა აქვთ. ერთია კერძო ორგანიზაციების საქმიანობა, მაგრამ როცა ის ორგანიზაცია შედის სკოლებში, ერევა სკოლის საქმიანობაში, საკუთარი საქმიანობის რეკლამირებისთვის ეწევა აგიტაციას მასწავლებლებსა და მოსწავლეებში და მერე ამ ბავშვებთან სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო ღონისძიებებს ატარებს, ამას ვიღაც უნდა არეგულირებდეს. სამინისტრომ უნდა იცოდეს, ვინ და რა კომპეტენციის მქონე ადამიანები ატარებენ კონკურსებს, რა შინაარსის ტესტები შედის, არის თუ არა ეს საქმიანობა შედეგის მომცემი თუ ყველაფერი მხოლოდ მოგების მიღების მიზნით ხდება? კონკურენტებთან ბრძოლად რომ არ ჩამეთვალოს, თავს შევიკავებ ამ ორგანიზაციების დასახელებისგან, მხოლოდ ვიტყვი, რომ ბევრი მათგანი ცდილობს უმარტივესი პირველი ტურით მონაწილეების დიდი რაოდენობა მოიზიდოს და თითქმის ყველა მონაწილე გადაიყვანოს მეორე, ფასიან ტურში. მესამე ტურში, სადაც ერთეულები გადადიან, დამატებითი თანხაა გადასახდელი. შესაძლოა, თითო მოსწავლის მიერ გადასახდელი 15 და 20 ლარი დიდი თანხა არ არის, მაგრამ ათასობით მონაწილის პირობებში, საკმაოდ სოლიდური თანხა გამოდის. ამ ორგანიზაციების უმეტესობა ნელინადში ორ ოლიმპიადას ატარებს და თითოეული სამეტაპიანია. ამდენი ორგანიზაციის პირობებში გამოდის, რომ ბავშვებს ყოველ კვირას რამდენიმე კონკურსი უტარდებათ. ეს არის ძალიან ცუდი და გამანადგურებელია სისტემისათვის. მშობლებიც დაიღალნენ ამდენი ფულის გადახდით და ბავშვებიც ამდენი სტრესისგან. საქართველოს გარდა, არც ერთ ქვეყანაში ოლიმპიადების სისტემა არ გადაუქცევიათ სასკოლო ბიზნესად, მაგრამ ჩვენ ყველაფერში ორიგინალურობის გამოჩენა გვიყვარს.

საგანმანათლებლო ასოციაციის ხელმძღვანელის თქმით, ათიათასობით ბავშვი არაფრისმომცემ კონკურსებში იხდის ფულს. ამაში ნებისმიერი დარწმუნდება, ვინც ამ ორგანიზაციების ვებ-გვერდებზე შევა და უმარტივესი სატესტო ამოცანების ნიმუშებს ინილავს. საქართველოში არასოდეს იყო მინიმალური დანახარჯებით

გოგონა, რომელმაც გვე

my View

ნინო მჭედლიშვილი

ბევრის აზრით ის ნორმალური არ არის, მაგრამ მათი აზრი თეკლა კვაჭაძეს ნაკლებად აინტერესებს. რეფტილიებით, ცივსისხლიანებით და სხვა უცნაური ზომისა და ფორმის მწერებითა და ცხოველებით თეკლა ადრეული ასაკიდან დაინტერესდა. დღეს მის სახლში გველები, ხვლიკი, ობობები, მორიელები ბინადრობენ.

- სულ პირველად დედაჩემმა მოიყვანა სახლში კუ. მაშინ 2 წლის ვიყავი. 7-8 წელი გვყავდა სახლში. მერე კოჯრის ტყეში გავუშვით. მოვლა სჭირდებოდა, მე ვსწავლობდი და დროს ვეღარ ვუთმობდი. მერე ზოოპარკში დავიწყე მუშაობა მოხალისეთა ჯგუფში. მალე ნახევარგანაკვეთზე ამიყვანეს, მერე მთლიანზე. აქ კიდევ უფრო დავრწმუნდი ჩემი გატაცების სისწორეში. თან შევისწავლე მათი მოვლა და მალევე ჩემს სახლში გაჩნდა თორნიკე.

- თორნიკე ვინ არის?

- დიდი გველი. 30 სანტიმეტრი იყო რომ ჩამომიყვანეს და ახლა 2 მეტრზე მეტია. საშუალოდ 30 წლამდე ცოცხლობენ. თორნიკეს მერე ოჯახიც დაინტერესდა და უკვე ახალი ბინადრის მოყვანას მთხოვდნენ. მერე პითონი მოვიყვანე.

- ახლა რამდენი სახეობის რეფტილია გყავს სახლში?

- მახრჩობელა - თორნიკე, ორი გუტატა (სიმინდისფერი მცურავი), ერთს ჰქვია ძაპა და მეორეს - ნიცა, ორი ნარინჯისფერი მცურავი, რომბისებური პითონი, ხვლიკი, წვერიანი აგამა - სულიკო და ძალიან ბევრი ობობა და მორიელი.

- დედასთან და ძმასთან ერთად ცხოვრობ, არც ერთს გამოუხატავს უკმაყოფილება იმის გამო, რომ გველებთან უწევდათ ცხოვრება?

- არა, დადებითად შეხვდნენ, თქვენ წარმოიდგინეთ, მეზობლ-

„ჩემი ყველა რეფტილიის გამოკვება და მოვლა მიჯდება ის თანხა, რაც ჩემი ერთი ძაღლის კვება“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

კოლო ოლიმპიადებით

„შესაძლოა, თითო მოსწავლის მიერ გადასახდელი 15 და 20 ლარი დიდი თანხა არ არის, მაგრამ ათასობით მონაწილის პირობებში, საკმაოდ სოლიდური თანხა გამოდის“

„10, 20 და ხანდახან 50 000 ბავშვი არაფრის მომცემ კონკურსში მონაწილეობს და ფულს იხდის. ეს რომ არაფრის მომცემი კონკურსებია, ამ ორგანიზაციების ვებ-გვერდზეზე დადებული ამოცანებითაც დარწმუნდებით“

მაქსიმალური მოგების მსურველთა დეფიციტი, ამიტომ იანვრიდან დღემდე სასკოლო ოლიმპიადების ბაზარზე ხუთი ახალი მოთამაშე გამოჩნდა. ასე თუ გაგრძელდა და განათლების სამინისტრომ სასკოლო ოლიმპიადების სფეროში მოღვაწე ორგანიზაციებისთვის რეგულაციები არ დააწესა, ახალი სასწავლო წლიდან კატასტროფა გველოდება, - აცხადებს ლალი ბერძენიშვილი.

სამწუხაროა, რომ 10, 20 და ხანდახან 50 000 ბავშვი არაფრისმომცემ კონკურსში მონაწილეობს და ფულს იხდის. ეს რომ არაფრის მომცემი კონკურსებია, ამ ორგანიზაციების ვებ-გვერდებზე დადებული ამოცანებითაც დარწმუნდებით. ეს არის ყოვლად სამარცხვინო ამოცანები. 17 წელია საერთაშორისო ორგანიზაცია „კენგურუ საზღვრებს გარეშეს“ წევრი ვარ, რომელიც მთელ მსოფლიოში ატარებს ტესტირებას და ვიცი, როგორ კეთდება ტესტები. ჩვენ გვაქვს ჩვენი დახურული საიტი, რომელზე შესვლის უფლებაც მხოლოდ ორგანიზაციის წევრებს აქვთ. ამ ორგანიზაციაში განევრიანებული არის 60 ქვეყანა და ამ ქვეყნების საუკეთესო მათემატიკოსები ქმნიან საკონკურსო ამოცანებს. მთელი წლის განმავლობაში ფორუმზე მიმდინარეობს მსჯელობა, დახვეწა, შეფასება და საბოლოოდ 30 000 ამოცანიდან კონკურსამდე 130-150 ამოცანა მიდის. ამ ამოცანების შერჩევას ემსახურება უზარმაზარი ადამიანური რესურსი, დიდი დრო, გამოცდილება და ცოდნა სჭირდება. ჩვენთან კი საკმარისია ვიღაცამ ერთ საათში დააფუძნოს ორგანიზაცია, მოიწვიოს სამი-ოთხი მათემატიკის მასწავლებელი, ყველანაირი საავტორო უფლების იგნორირებით, სხვადასხვა კრებულებიდან გადაწერინოს ამოცანები (რადგან ამდენი კონკურსისთვის ორიგინალური და საავტორო ამოცანების შექმნას პითაგორაც ვერ მოახერხებდა) და ჩაატარონ კონკურსი. სწორედ ამიტომაა, რომ იანვრიდან დღემდე ხუთზე მეტი ახალი ორგანიზაცია შეიქმნა და მარტო თბილისში 4 ახალი კონკურსია გამოცხადებული. პირდაპირ შედიან სკოლაში, ელაპარაკებიან დირექტორს, მასწავლებლებს და ისინიც, გარკვეული გასამრჯელოს ფასად მუშაობენ, რომ ბავშვებამდე ინფორმაცია მიიტანონ. იმასაც კი არავინ კითხულობს, არის თუ არა კონკურსის ორგანიზატორი საგანმანათლებლო ორგანიზაცია. იქნებ ამ ტესტებში ომის პროპაგანდაა ან ანტისახელმწიფოებრივი ქმედებებისკენ მოწოდება? ერთხელ ხომ მოუნია განათლების სამინისტროს ბოდიში მოეხადა სკოლაში შეცდომით შეტანილი წიგნების გამო? არ უნდა ჩაიხედონ რა შედის სკოლებში? უკვე იმდენი კონკურსია, რომ ბავშვებს ერთმანეთში ერევათ და ერთ კონკურსში რომ უნდათ მონაწილეობა, მეორეში რეგისტრირდებიან. ეს თუ არ მოწესრიგდა, იქნება მუდმივი ქაოსი. ბევრ ქვეყანაში, როცა ორგანიზაცია ფუძნდება და მას საგანმანათლებლო საქმიანობის სურვილი აქვს, მას ლიცენზიას სთხოვენ, რომ საგანმანათლებლო საქმიანობა აწარმოოს. ბევრ ქვეყანაში ასეა. ჩვენთან ასე არ არის. აუცილებელია, რომ ჩვენთანაც ასე მოხდეს და ამ საქმის გადადება არაფრით შეიძლება.

ახალი კონკურენტების გამოჩენაში საშიშს ვერაფერს ხედავს საგანმანათლებლო ორგანიზაცია „კინგსის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი. რაც შეეხება სახელმწიფოს მხრიდან კონტროლს, სესილი გელოვანის თქმით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ინფორმირებულია სასკოლო ოლიმპიადების სფეროში მომუშავე ორგანიზაციების შესახებ.

ახალი ორგანიზაციები შემოდიან, მაგრამ ვერ ახერხებენ მუშაობის გაგრძელებას და დაახლოებით ერთ თვეში გადიან. ვინც ამ თემატიკას უყურებს ბიზნესის კუთხით ისინი ამ ასპარეზზე დიდხანს ვერ რჩებიან. ჩვენ ამ სისტემაში სტაბილურად მომუშავე ორგანიზაცია გვაქვს. რაც შეეხება განათლების სამინისტროს ინფორმირებას, სამინისტრო აუცილებლად საქმის კურსშია, რომ არსებობს სასკოლო ოლიმპიადების სფეროში მოღვაწე ესა თუ ის ორგანიზაცია. „კინგსი“ არის ერთადერთი კერძო ორგანიზაცია, რომელსაც განათლების სამინისტროსთან ერთად აქვს განხორციელებული რამდენიმე პროექტი. რაც შეეხება ფასებს, სხვა ორგანიზაციებში გადასახადი დაწესებულია პირველივე ტურში, ხოლო ჩვენთან პირველი ტურში მონაწილეობა უფასოა. მეორე ტურში მონაწილეობა არის 15 ლარი და ფინალური ტური არის უფასო. ჩვენ ვუტოვებთ საშუალებას მოსწავლეებს, მათ მშობლებს და მასწავლებლებს პირველ ტურში ნახონ არის თუ არა კონკურსზე მათთვის მისაღები პირობები და სურვილის შემთხვევაში, გააგრძელონ.

გამოცდების ეროვნული ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა მაია გაბუნიამ განგვიმარტა, რომ კერძო ორგანიზაციების საქმიანობაში ჩარევისა და კონტროლის უფლებამოსილება არა აქვთ. რაც შეეხება ცენტრის მიერ ორგანიზებულ კონკურსებს, ისინი სრულიად უფასოა და მოსწავლეებს თანხის გადახდა არ უწევთ.

- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დავალებით, ჩვენ ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის ჩატარება გვევალება, მაგრამ ჩვენი ორგანიზაციის კომპეტენციებში არანაირად არ შედის იმის შემოწმება როგორ ტარდება კერძო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებული ოლიმპიადები. ჩვენ ამ ორგანიზაციებთან არანაირი შეხება არ გვაქვს და მათი კონტროლი ჩვენს კომპეტენციას ცდება. ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა არის სრულიად უფასო. ჩვენ ჩავატარეთ ოლიმპიადა ორგანიზაცია „მოქალაქის“ დაკვეთით და ისიც სრულიად უფასო იყო. ჩვენ არანაირი კომპეტენცია არა გვაქვს ვისაუბროთ იმ ოლიმპიადებსა და ორგანიზაციებზე, რომლებზეც თქვენ მკითხეთ.

ლეგი მოიშინაურა

დაბადების დღეზე ძაღლს ძაღლების ტორტი ვუყიდე და აღვნიშნეთ, ვიცანცარეთ რა

ებიც კი. შიშის ფაქტორი იყო მეზობლებში, მაგრამ მერე ნელ-ნელა გადალახეს ესეც.

- რით კვებავ გველებს?

- გველის ასაკს გააჩნია, თაგვებით, ვირთხებით, ბაჭიებით, ქათმებით.

- ბაჭიები და ქათმები არ გეცოდებიან?

- ეს ხომ მე არ მომიგონია, ასე კვებავენ გველებს. ზოომაღაზიებში ვყიდულობ.

- ძვირი ჯდება მათი გამოკვება.

- არ არის ძვირი. ჩემი ყველა რეფტილიის გამოკვება და მოვლა მიჯდება ის თანხა, რაც ჩემი ერთი ძაღლის კვება.

- ძაღლიც გყავს?

- კი, თეთრი ლაბრადორი, ჩემი მშვენიერი ლედი, ოდრი. 2 წლის არის. მალე პატარა ლეკვებიც მეყოლება.

- კურიოზულ ან უხერხულ სიტუაციაში თუ ჩავარდნილხარ შენი ჰობის გამო?

- ძირითადად ჟურნალისტებთან მაქვს ხოლმე კურიოზები. თავიდან ძალიან ეშინიათ არამხოლოდ გველების, მგონი ჩემიც. 200 მეტრის რადიუსში მართმევენ ინტერვიუს. ბოლოს, როცა გადაწყვეტენ, რომ გაბედონ და თითი დაადონ, მერე კისერზეც შემოიხვიონ, უკვე სისტემატურად მოდიან. ზოგს შვილი მოჰყავს, ზოგს და, მეგობარი და მთხოვენ კიდევ ერთხელ დავაჭერინო გველი ხელში. ერთხელ, ერთი ჟურნალისტი მოვიდა, ძალიან ეშინოდა გველის ხელში აყვანის. მერე ისე გაუშინაურდა, მთხოვა მისი სახელი დამერქმია. მოკლედ, ერთ-ერთი ქართველი ჟურნალისტის მოსახელე გველი მყავს სახლში, ნიცა(იცინის).

- როგორც ვიცი, დაბადების დღე ძაღლს პომპეზურად აღუნიშნე.

- კი მეგობარი ძაღლების წრეში აღვნიშნეთ „მზიურში“. იქ ხშირად ვსეირნობთ და ძალიან ბევრი ოთხფეხა და ორფეხა მეგობრები გვყავს მე და ოდრის. ძაღლების ტორტი ვუყიდე და აღვნიშნეთ, ვიცანცარეთ რა.

- გველებსაც ხომ არ უხდი დაბადების დღეებს?

- არა, მათი დაბადების დღეები არ ვიცი, სამწუხაროდ, მაგრამ რომ ვიცოდე კიდეც, რა აზრი აქვს, ვერ გაახარებ, ემოცია არ აქვთ. ძაღლს გაუხარდა, ბევრი საჭმელი ჭამა, ბევრი მეგობარი ჰყავდა და ბედნიერი იყო მთელი ორი კვირა.

- ვიცი, რომ ძაღლების მომვლელადაც მუშაობდი.

- ჰო, იყო ასეთი დრო, ვასეირნებდი დილა-საღამოს ძაღლებს, მაგრამ ძალიან დიდ დროს მართმევდა და ვეღარ შევძელი.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დავით ლომაიამ თაფლობის თვე დუბაიში გაატარა

SPORT bazar



ახალდაქორწინებულმა დავით ლომაიამ თაფლობის თვე, მეუღლესთან, სოფო მეტრეველთან ერთად, არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში გაატარა.

წყვილი დუბაიში 14 მაისს გაემგზავრა და იქ 23 მაისამდე დაჰყო.

18 მაისს ფეხბურთელს 30 წელი შეუსრულდა. სოფომ და დათომ დაბადების დღე იქვე აღნიშნეს, მეუღლემ კი ქმარს ემოციური პოსტი დაუტოვა სოციალურ ქსელში.

„გილოცავ, ჩემო ერთადერთო სიყვარულო, მინდა სულ ჯანმრთელი, ბედნიერი და გახარებული იყო. გისურვებ წარმატებებს ცხოვრებაში, მიყვარხარ უზომოდ“, – წერს სოფო.

სოციალურ ქსელში განთავსებული სხვა ფოტოებიდან ჩანს, რომ ახალგაზრდები ძალიან კარგად გრძნობენ თავს და შესანიშნავ დროსაც ატარებენ.

გივი კვარაცხელია მწვრთნელობისთვის ემზადება

bazar

როგორც „პრაიმტაიმმა“ შეიტყო, გივი კვარაცხელია მწვრთნელობისთვის ემზადება.

გამოცდილმა მცველმა კარიერა ზამთარში, ბოლნისის „სიონის“ რიგებში დაასრულა, გაცილება კი თბილისის „დინამომ“ მოუწყო, სადაც გივი კვარაცხელიამ 130 მატჩი ჩაატარა.

ვეტერანი ფეხბურთელი ახლა სამწვრთნელო კურსებს გადის. B ლიცენზიის კურსის გავლა კვარაცხელიამ 13 მაისს დაიწყო და პირველ ივლისს, გამოცდის შემდეგ, მისი სახით საქართველოს ახალი მწვრთნელი შეემატება.

SPORT

ჯაბა დვალი და დავით სირაძე „დაჩიადან“ მოდიან

bazar

მოლდავური „დაჩიას“ ქართველი ფორვარდები – ჯაბა დვალი და დავით სირაძე გუნდიდან მოდიან.

კიშინიოველები ჩემპიონობას ვერ შესწვდნენ და გადამწყვეტ მატჩში, მილსამთან 2:1 წააგეს. მიუხედავად იმისა, რომ ორივე გუნდმა თანაბარი ქულები მოაგროვა, ურთიერთშეხვედრებით „დაჩიამ“ მეორე ადგილი დაიკავა და ვერცხლს დასჯერდა.

ქართველი ფორვარდებიდან დავით სირაძე ორჯერ გამოირჩა „დაჩიას“ რიგებში და გოლი გაიტანა, მას ბევრჯერ მოუწია „ყვითელი მგლების“ მაისურის ჩაცმა, დვალმა კი ეს მხოლოდ ოთხჯერ შეძლო და ერთადერთი გოლი 11 მეტრიანის ნიშნულიდან გაიტანა.

როგორც „პრაიმტაიმმა“ შეიტყო, ფეხბურთელებს მოლდოვაში დარჩენა აღარ სურთ და საქართველოში აპირებენ დაბრუნებას. უფრო დეტალურად კი ეს კრების შემდეგ გაირკვევა.

„დაჩია“ 47 წლის რუსმა სპეციალისტმა, იგორ დობროვოლსკიმ ჩაიბარა, რომელიც ქართველების მიმართ ზიზღს ვერ ფარავს, ამიტომ ყველა წინაპირობა იმაზე მიუთითებს, რომ დვალი და სირაძე „დაჩიას“ ვადაზე ადრე დაემშვიდობებიან. კლუბთან კონტრაქტი ორივე ფეხბურთელმა ზამთარში ორი წლით გააფორმა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„კარპატს“ დაუშვილის დატოვება სურს

ლვოვის „კარპატი“ ბუბა დაუშვილს კონტრაქტის გახანგრძლივებას სთავაზობს.

26 წლის ქართველი ნახევარმცველი 2011 წლიდან უკრაინულ გუნდში ირიცხება და დღემდე ამ გუნდის მაისურით ასპარეზობს.

გავრცელებული ხმებით, დაუშვილს ლვოვში დარჩენა აღარ სურს და სხვა შემოთავაზებების მოლოდინშია, „კარპატმა“ კი მას კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი გაუმზადა.

დასთანხმდება თუ არა შეთავაზებას ფეხბურთელი, ჯერჯერობით უცნობია.

სირაძე

გიგა ბეჭვაია მამა გახდება

სამტრედიის „სამტრედიას“ ფეხბურთელი გიგა ბეჭვაია ბავშვს ელოდება.

მისი მეუღლე, თეო კალაძე ოთხი კვირის ფეხმძიმეა და წყვილი ბავშვს ზამთარში, იანვრის ბოლოს ელოდება.

გიგა ბეჭვაია და თეო კალაძე უკვე ორი წელია ცოლ-ქმარი არიან და ეს მათი პირველი საერთო შვილი იქნება, თეოს კი პირველი ქორწინებიდან უკვე ჰყავს ბიჭი.

როგორც ფეხბურთელის ცოლმა სოციალურ ქსელში დაწერა, ორსულობის გამო, მათ იტალიაში დაგეგმილი საზაფხულო მოგზაურობა ჩაეშალათ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

როგორ აფასებენ ექსპერტები საკანონმდებლო ინიციატივას

ქეთი ხატიაშვილი

ფინანსური მონიტორინგის შემდეგ ეროვნული ბანკის შემადგენლობიდან საბანკო ზედამხედველობის სააგენტოს გატანაც იგეგმება. პარლამენტში უკვე შევიდა შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივა.

„პარლამენტში შევედი საკანონმდებლო ინიციატივით საბანკო ზედამხედველობის სააგენტოს გამოყოფის თაობაზე. ეროვნული ბანკის სტრუქტურაში რჩება, მაგრამ იქნება აბსოლუტურად დამოუკიდებელი“, – ეს განმარტება თამაზ მეჭიაურმა გააკეთა, რომელიც პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის ხელმძღვანელია. კომიტეტის ფინანსური მონიტორინგი პრემიერს ექვემდებარება. კანონპროექტის მიხედვით, საბანკო ზედამხედველობა პარლამენტის წინაშე იქნება ანგარიშვალდებული.

ფინანსური მონიტორინგის სამსახური უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა. გიორგი ქადაგიძე სწორედ ამ სააგენტოს ხელმძღვანელობდა.

ეს გადაწყვეტილება, როგორც ჩანს, ლარის კურსის დაცემას მოჰყვა. პარლამენტში ამბობენ, რომ ლარის კურსი არ ასახავდა იმ ეკონომიკურ რეალობას, რაც ქვეყანაში იყო. თავად თამაზ მეჭიაურის განცხადებით, „ეროვნული ბანკის მმართველობა ერთპიროვნული არ უნდა იყოს“.

ექსპერტების ნაწილი ამ გადაწყვეტილებას პოლიტიკურს უწოდებს და მიიჩნევს, რომ ეს უკვე არა მხოლოდ მთელი საბანკო სისტემის კონტროლის მიზნით, არამედ პრეზიდენტის უფლებების შეზღუდვისთვისაც კეთდება.

რომან გოცირიძის თქმით, ირაკლი ქადაგიძე რამდენიმე თვეში პოსტს ისედაც დატოვებს, მას ვადა ეწურება. ეროვნული ბანკის ახალი პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილმა უნდა დანიშნოს.

თუ ეს კანონპროექტი მართლაც მიიღეს, ამით გიორგი მარგველაშვილის უფლებებზეც იქნება დარტყმა, რადგანაც მას უფუნქციო ეროვნული ბანკის პრეზიდენტის დანიშვნა მოუწევს.

გოცირიძე იმ წლებს იხსენებს, როცა ის თავად იყო ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და მაშინდელ პრემიერ ნოღაიდელთან დაპირისპირება სწორედ ამ თემაზე ჰქონდა:

– მე ვეწინააღმდეგებოდი საბანკო ზედამხედველობის გატანას ეროვნული ბანკიდან, ნოღაიდელთან სწორედ ამ თემაზე მომივიდა დაპირისპირება. ჩემი წასვლის შემდეგ, მათ მაინც მოახერხეს ამ სააგენტოს გატანა და ის წყნეთში „კანონიერი ქურდის“ კალაშვილის ჩამორთმეულ აგარაკზე განთავსდა. მაგრამ მოგვიანებით, მიხვდნენ, რომ ამის გაკეთება შეცდომა იყო და უკან დააბრუნეს.

გოცირიძის თქმით, ბანკებზე ზედამხედველობის ფუნქციის გარეშე, ეროვნული ბანკი ბანკებზე ეფექტურ ზედამხედველობას ვერ განახორციელებს. ეს დიდი სკანდალია. როგორც ჩანს, ეს პოლიტიკური გადაწყვეტილებაა. ხელი-

SOS!!! სიცოცხლისთვის საშიში წყალი ზესტაფონში

ფერროშენადნობი ქარხნიდან მომწამლავი ნივთიერებები მდინარეებში ჩაედინება

რატომ გაიზარდა ინტოქსიკაციის შემთხვევები?

ავთანდილ ჭუმბურიძე

ბოლო პერიოდში ზესტაფონის რაიონში ინტოქსიკაციის შემთხვევებმა საგრძნობლად იმატა. ადგილობრივი მოსახლეობა ამას სასმელი წყლის დაბინძურებას უკავშირებს. ამ თემაზე საუბრობენ მედიკოსებიც, რომელთა ვარაუდით, ინტოქსიკაციის გამომწვევი მიზეზი სწორედ დაბინძურებული წყალი და ჟანგბადია.

ამ თემასთან დაკავშირებით „პრაიმტაიმი“ ესაუბრა ზესტაფონის საავადმყოფოს „ფერომედის“ექიმ-ლაბორანტს **გიორგი ღამბაშიძეს:**

- ბოლო წლების განმავლობაში ზესტაფონის მოსახლეობაში იმატა დაავადებებმა, უფრო გახშირდა სიმსივნით დაავადებული პაციენტები, რასაც იწვევს ფეროს გამონაბოლქვი, ჟანგბადთან ერთად „ფეროს“ მიერ დაბინძურების ხარისხი ვრცელდება წყალზეც, ქარხანა ვალდებულია, რომ იქ მოხმარებულ წყალს ჩაუტარდეს ფილტრაცია.

ფეროშენადნობ ქარხანაში აცხადებენ, რომ ხელმძღვანელობამ საზღვარგარეთიდან გამოინერა თანამედროვე ტიპის წყლის ფილტრები, რომლის საშუალებითაც მოხდება წყლის გაფილტვრაც და ელექტრო ენერგიის დაზოგვაც. დღემდე ქარხანაში არ ირთვებოდა ფილტრები, რადგან ძველი ფილტრები დიდ ელექტროენერგიას მოიხმარდა.

ფეროს საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელმა **ზაქარია ზალიკაშვილმა** განაცხადა: „ჩვენ გამონერილი გვაქვს უკრაინიდან ახალი ტიპის ფილტრები, რომელიც შედარებით ნაკლებ ელექტროენერგიას მოიხმარს. ახლი ფილტრები იმუშავებს 24-საათიანი რეჟიმით. მაქსიმალურად ვცდილობთ, რომ ჩვენი საქმიანობით საზოგადოება არ დავაზარალოთ.

ამასთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ ეკოლოგ ლუკა დავლაძეს. ის იმ მიზეზებს განმარტავს, რამაც შესაძოა სასმელი წყლის დაბინძურება გამოიწვიოს.

„ჰაერით წყლის დაბინძურების მიზეზი შეიძლება იყოს საწარმოებიდან გამომავალი გამდინარე წყლები, გაუმართავი საკანალიზაციო სისტემები და არასათანადო გამწმენდი ნაგებობები, სასოფლო-სამეურნეო მიწებიდან თუ დასახლებული პუნქტებიდან წვიმის შედეგად წარმოქმნილი გამონადენები და სხვა. რაც შეეხება „ფეროს“ ქარხანას, მისი გამონაბოლქვის ფილტრაცია დღემდე აღმოუფხვრელია, ის, რა თქმა უნდა, იწვევს წყლის რაღაც დონით დაბინძურებას, უფრო მეტი პროცენტით კი იქ მოხმარებული წყლით, რასაც შემდეგ არ ფილტრავენ და პირდაპირ მდინარეებსა თუ ხელნაკეთ ავზებში უშვებენ, რაც ადრე თუ გვიან მძიმე შემთხვევასთან მიგვიყვანს“.

იმერეთის მეტალურგიული და სამთო მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის დაჟინებული მოთხოვნით საწარმო შეამოწმა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ. ექსპერტები იკვლევდნენ თუ სად მიდის ქარხანაში გამოყენებული წყალი და იფილტრება თუ არა ის. გარკვა, რომ ექსპერტიზაზე წარდგენილი წლის ნიმუში, გამოკვლეული მიკრობიოლოგიური პარამეტრების მიხედვით, არ შეესაბამება საქართველოს მთავრობის N58 დადგენილებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ასეთი წყლის საზოგადოებრივ ადგილას მოთავსება საზიანოა საზოგადოებისთვის. ქარხანაში გამოყენებულ წყალში ყველა ის მაჩვენებლებია, რაც ზიანს აყენებს ადამიანის ჯანმრთელობას. იმერეთის მეტალურგიული და სამთო მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ჩართულობით ამ წუთებში მიმდინარეობს საწარმოში სხვადასხვა ლაბორატორიების სინჯების აღება სასმელ წყალზე, რისი შედეგებიც მოგვიანებით გახდება ცნობილი. - აცხადებს მეტალურგიული და სამთო მრეწველობის მუშათა პროფკავშირი.

ზესტაფონის წყალმომარაგების სერვის ცენტრის ინფორმაციით, ისინი ყოველ მეორე დღეს ფილტრავენ და ასუფთავებენ წყალს, რათა სუფთა წყალი მიეწოდოს მოსახლეობას.

„ზესტაფონის და მისი შემოგარენში სასმელი წყლის მოპოვებასა და განაწილებას ახორციელებს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია, რომელიც უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის წყლის მიწოდებას 24 საათის განმავლობაში. „ჩვენ ყოველ მეორე დღეს ვფიტრავთ და ვასუფთავებთ წყალს, რადგან სუფთა წყალი მივაწოდოთ ქალაქის მცხოვრებლებს. ხარისხის გასაუმჯობესებლად წყლის დამუშავებისას ხელოვნურად დამატებულ რეაგენტებს ვიყენებთ, მაგალითად, საყოველთაოდ ცნობილია, რომ გაუსნებოვნების მიზნით შეიძლება გამოყენებული იქნას ქლორი, ოზონი, პოლიმერი და სხვადასხვა ნივთიერებები.წყალი შესაძლოა შეიცავდეს ინფექციური დაავადებების გამომწვევ სხვადასხვა სახის ვირუსს, მიკრობსა და ბაქტერიას. ჩვენ კი მაქსიმალურად ვცდილობთ, რომ სუფთა წყალი მოდიოდეს ჩვენს ონკანებში“,-განაცხადა ზესტაფონის წყალმომარაგების სერვის ცენტრმა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მორიგი შეტევა მარგველაშვილის უფლებებზე

სუფლებას სურს, ბანკები ყურებით დაიჭიროს და ის პოლიტიკურ კონტროლს დაუმორჩილოს.

პოლიტიკას ხედავს ამ გადაწყვეტილების უკან ექსპერტი ლევან ალაფიშვილიც. მისი განმარტებით, ამ პროექტის დაკანონებით დასუსტდება როგორც ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, ასევე საქართველოს პრეზიდენტიც, რომელსაც ლამის უფუნქციო ბანკის მმართველის დანიშვნა მოუწევს.

ალაფიშვილის შეფასებით, ხელისუფლება ცდილობს, საბანკო სექტორზე პოლიტიკური კონტროლი აიღოს:

– იმედი მაქვს, პარლამენტის თავმჯდომარე უფრო ქმედითი იქნება, ბიუროს ამ თემაზე ჯერ არ უმსჯელია...

პროექტი, რომელიც ინიცირებულია მეჭიაურთან ერთად, მისი მოადგილის თანაავტორობით არის მომზადებული. ეს უკანასკნელი კი რესპუბლიკელია. ასე რომ, ამ მხრივ, კოალიციაში შესაძლოა, დაპირისპირება არც იყოს. საინტერესოა, რა პოზიციას დააფიქსირებს თავად პრეზიდენტი მარგველაშვილი.

ლევან ალაფიშვილი მარგველაშვილს საგანგებოდ მიმართავს:

– ბატონო პრეზიდენტო, მართალია, გასული წლის ბოლოს საბანკო სექტორზე პირველი შეტევისას არ გაიზიარეთ წუხილი, ვეტოს უფლება არ გამოიყენეთ და პროექტი კანონად აქციეთ, მაგრამ იმედი მაქვს, ამ შემთხვევაში მაინც გამოიყენებთ მაქსიმალურად თქვენს ხელთ არსებულ ბერკეტებს პოლიტმოტივირებული შეტევებისგან კონსტიტუციისა და ინსტიტუციების დასაცავად.

შესაძლოა, შარშან რომ სხვაგვარად მოვქცეულიყავით მეც, თქვენც, სებ-იც, ამ საქმის პროფესიონალებიც, აკადემიური თუ არასამთავრობო სექტორი, დღეს ასეთი ცდუნება აღარავის გასჩენოდა. დღეს უკვე ღიად ამბობენ, რომ ხელისუფლებაში პოლიტიკური შემადგენლობის ცვლის შესაბამისად უნდა იცვლებოდეს დამოუკიდებელი, კონსტიტუციური ინსტიტუტების საქმიანობა, სწორედ მათ ინტერესს უნდა დაექვემდებაროსო.

ეს „პოლიტნაეზდია“ (ბოდიში ჟარგონისთვის) და საფრთხის შემცველია იმ ქვეყნისთვის, რომელშიც პირველი პირი, სახელმწიფოს მეთაური თქვენ ხართ!

ზოგიერთი ექსპერტის პოზიციებს არ ეთანხმება საპარლამენტო უმრავლესობა. თამაზ მეჭიაურის არგუმენტები ასეთია: „ჩემი აზრით, საჭიროა ეროვნული ბანკის დეპოლიტიზება. დღეს ეროვნულ ბანკს, ფაქტობრივად, მართავენ ძველი ხელისუფლების მიერ დანიშნული პირები. კერძოდ, ადეიშვილის სამი პროკურორი ზის, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, და ამის ანალოგი მსოფლიო დემოკრატიულ საზოგადოებაში არ არსებობს. თვით პინოჩეტსაც არ გაუკეთებია მსგავსი ჩილეში, პირველ ეტაპზე, რომ პროკურორებით დაეკომპლექტებინა ეროვნული ბანკი. იმის მაგივრად, რომ რაღაც დოზით ადაპტაცია გაევლოთ, ისინიც პოლიტიზებულები იყვნენ, ფაქტობრივად, ჟანდარმის მოვალეობას ასრულებდნენ, პოლიტიკური ოპონენტების მიმართ“.

პრეზიდენტის ადმინისტრაცია პარლამენტს დაუპირისპირდა

პრეზიდენტის მრჩეველმა ეკონომიკურ საკითხებში გიორგი აბაშიძვილმა ეროვნული ბანკისთვის საბანკო ზედამხედველობის ფუნქციის ჩამორთმევის საკითხთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა:

„საკვირველია, რატომ იქნა აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებული, რა ეკონომიკური მოტივები არსებობს, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს საბანკო სისტემა არის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სფერო საქართველოში; სფერო, რომელმაც გაუძლო არა ერთ გარე დარტყმას, მათ შორის 2008-2009 წლებში ორმაგ ეკონომიკურ კრიზისს და ჩვენ დღეს გარკვეული ცვლილებებით საბანკო სისტემასთან მიმართებაში შესაძლოა ამ სექტორის რყევის სერიოზული ნიშნები შევქმნათ. თუ ვინმეს ეკონომიკური რეფორმების განხორციელება უნდა - რატომ იწყებს ამას იმ სფეროდან, რომელსაც ამ ეტაპზე რეფორმები არ სჭირდება? რატომ ვაპირებთ ვუმკურნალოთ დარგს, რომელსაც ამის საჭიროება არ აქვს? ჩვენ შეგვიძლია სხვა მიმართულებით განვახორციელოთ ეკონომიკური რეფორმები, თუკი ამის ნება არსებობს. მეტიც, ძალიან ძნელია გავიხსენოთ თუნდაც ერთი განცხადება კომერციული ბანკების მხრიდან, რომელიც შეეხებოდა ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობისადმი გარკვეული ტიპის შენიშვნებს; და კიდევ, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ერთ-ერთი ბოლო ანგარიშის თანახმად ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობა შეფასებულია ძალიან პოზიტიურად. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილება და შესაბამისად, ვთვლით, რომ ეკონომიკა თავისუფალი უნდა იყოს პოლიტიკური გადაწყვეტილებებისგან; პოლიტიკური თამაშები ეკონომიკაში არ შეიძლება; ეს ავნებს ეკონომიკას. პოლიტიკური სტაბილურობა, რომელიც მნიშვნელოვანნილად აისახება ბიზნესგარემოზე, მსგავსი გადაწყვეტილებებით ზიანდება“.

გიორგი აბაშიძვილი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ეროვნული კინოცენტრის პროექტმა „კინო სკო

თეა გაბიძაშვილი:

„ზაფხულში მაღალმთიან, მიუდგომელ ადგილებში კინომისიონერებს დესანტს ორი კვირით ჩავსხამთ, რომ გარემო შევცვალოთ. კულტურული დესანტი რეგიონებს სჭირდება“

my View
თამარ გონგაძე

კინემატოგრაფიის ეროვნულმა ცენტრმა, გასულ წელს, ერთ არჩევულებრივ პროექტს ჩაუყარა საფუძველი. პროექტით „კინო სკოლაში“ ცენტრმა მოსწავლეებს, რეგიონების ათეულობით სკოლაში, კინოს სიყვარული გაუღვივა. სპეციალურად შერჩეული კინოსპეციალისტები - „კინო-მისიონერები“ საქართველოს რეგიონებში მე-7 - მე-11 კლასის მოსწავლეებისთვის კინოჩვენებებსა და დისკუსიებს მართავენ. მოსწავლეებისთვის სხვადასხვა სპეციალისტების (ფსიქოლოგი, განათლების ექსპერტის, კინომცოდნე) მონაწილეობით ჩვენებისთვის შეირჩა ქართული ფილმების გარდა მსოფლიო კინოკლასიკის ის ნიმუშები, რომელიც ქართულადაა ადაპტირებული და ამ ასაკის მოზარდებისთვის საინტერესოა. პროექტორით ნაჩვენები ფილმებით რეგიონის ზოგიერთმა მოსწავლემ პირველად მიიღო კინოში ნანახი ფილმის სიამოვნება. გულახდილად ნაღიარები - „მე კინოში პირველად ვარ“, პროექტის მესვეურებს გულს უჩუყებს და პროექტის გაგრძელება-გაფართოების გეგმას უსახავს. 2014 წელს საქართველოს 5 რეგიონის (ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, იმერეთი და აჭარა) 40 სკოლაში საპილოტე ვერსია განხორციელდა. 6 თვის მანძილზე 960 კინოჩვენება გაიმართა, რომელსაც 12 000-მდე დასწრება ჰქონდა. ნაჩვენები იყო ქართული და უცხოური კინოკლასიკის ნიმუშები - მხატვრული, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმები. მოეწყო სხვა აქტივობებიც: პროექტის პირველი ფაზის დასრულებისას მონაწილე ბავშვებმა ქალაქ გორში ნახეს ფილმი „გრძელი ნათელი დღეები“ და შეხვდნენ შემოქმედებითი ჯგუფის წევრებს, ხოლო პროექტის მეორე ფაზის დასრულებისას თბილისში ნაჩვენები იქნა ფილმ „ნატვრის ხის“ აღდგენილი ვერსია. შუა პერიოდში კი მოხდა „ოსკარის“ ნომინანტი ფილმის „მანდარინების“ გადამღებ ჯგუფთან ერთად ჩვენება. დამატებით პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა 5 მოკლემეტრაჟიანი ფილმის გადაღება მოახერხეს, რომლებიც პროექტის დახურვის დღეს კინოთეატრ „ამირანში“ აჩვენეს.

მარი გულბიანი: „ბევრი მათგანი კინოში არ ყოფილა. არ იციან ის ფილმები, რომელიც შერჩეული გვაქვს. არ იცოდნენ ჩაპლინი, ბოგ დილანი, საერთოდ არ ჰქონდათ წარმოდგენა რა იყო ფაშიზმი და საკონცენტრაციო ბანაკი“

პროექტის ინტერესიდან გამომდინარე მიზანშეწონილად ჩითვალა პროექტის გაგრძელება. 2015 წელს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ინიციატივით, საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის და აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროების ფინანსური მხარდაჭერით, პროექტი საგრძნობლად გაფართოვდა და საქართველოს 180 საჯარო სკოლაში მიმდინარეობს, მათ შორის მაღალმთიანი, საზღვრისპირა და ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში. პროექტში მონაწილეობს 60-მდე სპეციალურად გადამზადებული „კინომისიონერი“, რომელთაც საკმაოდ რთული გზის გავლა უწევთ აღნიშნული მისიის შესასრულებლად. თუმცა არსებობენ სკოლები, რომლებშიც მათი გეოგრაფიული მდებარეობის, ინფრასტრუქტურული და სატრანსპორტო პრობლემების გამო პროექტის განხორციელება შეუძლებელია. ასეთი სოფლებისთვის შემუშავდა სპეციალური პროექტი „ზაფხულის კინო სკოლა“, რომელიც 30 ძნელად მისადგომ სოფელში ორკვირიან კინოჩვენებების მოწყობას ითვალისწინებს.

თეა გაბიძაშვილი (კინოცენტრის რეგიონალური პროექტების დეპარტამენტის მენეჯერი):

- თუ გასულ წელს ფილმებს რეგიონალურ ცენტრთან ახლოს მდებარე ქალაქებისა და სოფლების სკოლებში ვაჩვენებდით, წელს მაღალმთიან, ძნელად მისასვლელ რეგიონებში ვაჩვენებთ ფილმებს. განათლების სამინისტროს მეშვეობით დავუკავშირდით და გავიგეთ, რომელი რეგიონის სკოლას ჰქონდა ამ პროექტში ჩართვის სურვილი. 600-ზე მეტი სკოლიდან შემოვიდა განაცხადი. ამიტომ აუცილებელი გახდა პროექტის გაფართოება და მას საქართველოსა და აჭარის კულტურის სამინისტროების ფინანსური თანამონწილეობით ვახორციელებთ. გარდა ამისა, მაგალითად, შუაფხო არის მიუდგომელი სოფელი მცხეთა-მთიანეთის მხარის დუშეთის მუნიციპალიტეტში, იქ თუ ჩახვალ, უნდა დარჩე. ამისთვის არის პროექტი ზაფხულის კინოსკოლა, რომლის დროსაც კინომისიონერი გადაბმულად მოაწყობს კინოჩვენებას და ბავშვებს კინოს გადაღების სპეციფიკას გააცნობს. ასეთ მაღალმთიან ადგილებში კინომისიონერების დესანტს ორი კვირით ჩავსხამთ, რომ გარემო შევცვალოთ. კულტურული დესანტი რეგიონებს სჭირდება.

გვაინტერესებდა - როგორი იქნებოდა გამოხმაურება, დასწრება და როგორ ჩაერთვებოდნენ დისკუსიაში. დამეთანხმებით რეგიონებში არ არსებობს კინოთეატრები, დაიკარგა კინოში სიარულის კულტურა. პროექტის მთავარი მიზანი არა მხოლოდ კინოს პოპულარიზაცია, არამედ მოსწავლეებისთვის დისკუსიაში ჩართვის უფლების მიცემაა. მოსწავლეებს სტუმრად ჰყავდათ ისეთი რანგის რეჟისორები, როგორებიც არიან მერაბ კოკოჩაშვილი და ელდარ შენგელაია. მაესტროები თავად უყვებოდნენ ბავშვებს, როგორ ქმნიდნენ ფილმებს ეს ცოცხალი ლეგენდები. თანამედროვე ქართულ ფილმებს რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდები ვერ უყურებენ, თუ მას ტელევიზია არ გაუშვებს. საინტერესოდ ნარიმართა „გრძელი ნათელი დღეების“ კინოჩვენება და დისკუსია, რომელთა მთავარი როლების შემსრულებლები მოსწავლეების თანატოლები არიან. მათთან შეხვედრა განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა მოსწავლეებისთვის. პროექტის საპილოტე ვერსიის შემდეგ მათ აღიარეს, ზოგჯერ სკოლაში ისეთ რაღაცებს გვთავაზობენ, რაც არ გვაინტერესებს, ამიტომ გვეგონა ეს კინოჩვენებაც არ დაგვაინტერესებდა, მაგრამ უკვე ჩვენთვის ყოველი პარასკევი დღესასწაულიაო. ჟინვალის სკოლის მასწავლებლებიც

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ლაში“ რეგიონებში მოსწავლეებს კინო შეაყვარა



ირინა დემეტრაძე:
„კინოჩვენებაზე ჩასულს ბავშვებმა მითხრეს, რომ დილით ადრე, ექვს საათზე ადგნენ, ყანაში იმუშავეს, ეზო დაასუფთავეს, სადილი მოამზადეს და ასე ნაშრომნი მოვიდნენ კინოჩვენებაზე“

EXCLUSIVE

„გვეგონა ეს კინოჩვენებაც არ დაგვაინტერესებდა, მაგრამ, ჩვენთვის ყოველი პარასკევი უკვე დღესასწაულიაო. ჟინვალის სკოლის მასწავლებლებიც ამბობენ, თუ სკოლაში დასწრების პრობლემა იყო, ამ პროექტმა მოსწავლეები დაგვიბრუნაო“

ამბობენ, თუ სკოლაში დასწრების პრობლემა იყო, ამ პროექტმა მოსწავლეები დაგვიბრუნაო.

ბევრი მოსწავლე პირველად აღმოჩნდა კინოში. კინოცენტრის დარბაზში მცხეთა-მთიანეთის და რუსთავის მოსწავლებს ვაჩვენეთ ფილმი „მანდარინები“. ზოგმა ისიც თქვა, კინოში პირველად ვარო.

რაც შეეხება დისკუსიას, ის მნიშვნელოვანია ინფორმაციის გაცემის თვალსაზრისით, რადგანაც მოსწავლეებს კინოს შესახებ სრულყოფილი წარმოდგენის შექმნის საშუალებას აძლევს.

ბავშვები დიდი ენთუზიაზმით მოეკიდნენ ფილმების გადაღების საკითხს. სკოლები ერთიანდებოდნენ და საერთო ძალებით მუშაობდნენ ფილმებზე. იმერეთის რეგიონის რვა სკოლამ ერთი ათწუთიანი ფილმი გადაიღო. დავუქირავეთ რეჟისორი და მათსავე შექმნილ სცენარზე გადაიღეს ფილმი. თვითონ ხატავდნენ „რასკადროვკას“, ქმნიდნენ კოსტიუმებს, გაეცვნენ კინოს ყველა სპეციალობას. გასული წლის დეკემბერში კი კინოთეატრ „ამირანში“ თავიანთი გადაღებული ხუთი პატარა ფილმი იხილეს. ხუთივე განსხვავებული ნამუშევარი იყო, შემოქმედების ნაყოფი.

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის და აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროების ფინანსური მხარდაჭერით, პროექტი საგრძნობლად გაფართოვდა და საქართველოს 180 საჯარო სკოლაში მიმდინარეობს

დათო ჭიკაძე:

- მე კინორეჟისორი ვარ და წინა წელსაც ვმონაწილეობდი ამ პროექტში. წელს სხვადასხვა რეგიონები შემხვდა. კახეთი, ქვემო და შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი. განსაკუთრებული დაინტერესება გამოხატეს მაღალმთიან სოფლებში, ვისაც არ აქვს შეხება ქალაქთან. დისკუსიაში კარგად გვყვებიან, გახსნილი ბავშვები არიან. ფილმების აფიშებს ხატავენ, წერენ სცენარებს. ეს პროექტი გავლენას ახდენს მათ პროფესიულ არჩევანზე. განსაკუთრებულად მოუნდათ რეჟისორობა, კინომცოდნეობა.

კინომცოდნე ირინა დემეტრაძე მოსწავლეებს კინოს კონფლიქტის ზონაში აყვარებს.

ირინა დემეტრაძე:

- კინო შიდა ქართლის, გორის და ხაშურის რაიონების, წეროვანის დასახლების ბავშვებისთვის უცხო ხილი იყო. განსაკუთრებულად გამოვყოფდი სოფელ ტკოცას, რომელიც ნახევრად დაცარიებულია და მასში მოტივირებული ბავშვები ცხოვრობენ. ნებისმიერი სიახლე და გარესამყაროსთან კონტაქტი დიდი ბედნიერებაა მათთვის. ჩემთვის საინტერესოა ამ ადგილებთან კონტაქტი, რომელიც ისეთ გამოცდილებას მძენს, რასაც თბილისში ვერ ვნახულობ. მაგალითად, კინოჩვენებაზე ჩასულს ბავშვებმა მითხრეს, რომ დილით ადრე, ექვს საათზე ადგნენ, ყანაში იმუშავეს, ეზო დაასუფთავეს, სადილი მოამზადეს და ასე ნაშრომნი მოვიდნენ კინოჩვენებაზე. ეს ძალიან განსხვავებულია, თბილისში ვერც იმას ნახავ, რომ სკოლის ეზოში „ორ დროშობანას“ თამაშობდნენ. ამან გამაოგნა. თბილისში 3 წლის ასაკიდან „აიპადის“ გარდა არაფერი აინტერესებთ. შეურყვნელი და საინტერესო აღქმა აქვთ. ზოგ რამეს ისე აღიქვამენ, მეც მშურს მათი შეურყვნელი ცნობიერების.

რეჟისორი მარი გულბიანი კინოჩვენებას პანკისის ხეობის სკოლებში აწყობს.

მარი გულბიანი:

- მე და ჩემს მეგობარს, რეჟისორ ნონა გიუნაშვილს სამ-სამი სკოლა გვაქვს განაწილებული და ხუთშაბათსა და პარასკევს ვაწყობთ კინოჩვენებებს. ეს პროექტი ამ რეგიონისთვის ნამდვილად საჭირო იყო. ბევრი მათგანი კინოში არ ყოფილა. ზოგიერთს ინტერნეტიც არ აქვს. არ იციან ის ფილმები, რომლებიც შერჩეული გვაქვს. არ იცოდნენ ჩაპლინი, ბობ დილანი, საერთოდ არ ჰქონდათ წარმოდგენა რა იყო ფაშიზმი და საკონცენტრაციო ბანაკი. ფილმიდან გამომდინარე ყველაფერზე მცირე ინფორმაციას ვაწვდით. ასეთი სეანსები ყოველდღე რომ ტარდებოდეს, რა კარგი იქნებოდაო, ამბობენ. სურვილისამებრ ხატავენ, წერენ თემებს ფილმების გმირებზე, ჩანახატებს. ამ ზაფხულს დუმასტურში ზაფხულის კინოჩვენება მოეწყობა. და ამისთვის ვემზადებით.

თეა გაბიძაშვილი:

- წელს პროექტ „კინო სკოლაში“ ფარგლებში გაიმართება ფილმის აფიშების კონკურსი და გამოფენა; მასში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ კინოსკოლელს, რომელიც შექმნის, დახატავს ფილმის აფიშას. ბავშვები ფილმებს ირჩევენ სურვილისამებრ, პროექტის ფარგლებში ნანახი ფილმებიდან. აფიშები შეუძლიათ მოგვაწოდონ ელექტრონულადაც და პირადადაც; მოხდება მიღებული ნამუშევრების გამოფენა, საუკეთესოები დაჯილდოვდებიან პრიზებით.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ობამას ოვაციები და განსაკუთრებული

„პრაიმტაიმის“ ექსკლუზური რეპორტაჟი ქოუსტგარდის აკადემიიდან

ბარაკ ობამა: „სოსოს და ბესოს სულები იქნებიან თქვენთან, სანაპირო დაცვის წევრებთან ერთად, მთელს მსოფლიოში“

სპეციალურად აშშ-დან:
ნანა შონია,
ალექსანდრე ჩხეიძე

„დღეს ჩვენ პატივს მივაგებთ თქვენს თანაკურსელებს საქართველოდან, სოსოს და ბესოს სულები იქნებიან თქვენთან, სანაპირო დაცვის წევრებთან ერთად, მთელს მსოფლიოში“,-ამ ფრაზებით ამერიკის პრეზიდენტი ბარაკ ობამა, გარდაცვლილ ქართველ კადეტებს კიდევ ერთხელ, ამჯერად ქოუსტგარდის სანაპირო დაცვის აკადემიის საზეიმო ღონისძიებაზე დაემშვიდობა. ემოციებით დატვირთულ საღამოზე საქართველოს ხსენებას განსაკუთრებული ოვაციები მოჰყვა. გიორგი ტალახაძე ერთადერთი კურსდამთავრებული იყო რომელსაც იქ დამსწრე საზოგადოება ფეხზე წამოუდგა. ეს იყო დღე, როდესაც ყველა ამაყი იყო იმით, რომ საქართველოს წარმოადგენდა. ამერიკის პრეზიდენტმა დაღუპული კადეტის სოსო მაკარიძის დიპლომი, საქართველოს ელჩს ნიუ-იორკში არჩილ გეგეშიძეს საზეიმო ვითარებაში გადასცა.

ბარაკ ობამა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი:

- ამ ბიჭების სულები იქნებიან თქვენთან, დღეს ყველა ჩვენთაგანს გვაერთიანებს მერლ სმიტი, პირველი აფრო ამერიკელი, რომელმაც წარმატებით გაიარა სანაპირო დაცვის კურსი 1966 წელს და არის ვიეტნამის ომის ვეტერანი. თქვენ უნდა იზრუნოთ ერთმანეთზე, ისევე როგორც ოჯახზე. დღეს ჩვენ პატივს მივაგებთ თქვენს თანაკურსელებს საქართველოდან.

არჩილ გეგეშიძე საქართველოს ელჩი შეერთებულ შტატებში:

- დღევანდელი დღე კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ჩვენი ბიჭები საქართველოდან ღირსეულად წარმოადგენენ ყველგან თავიანთ სამშობლოს. ცხადია, რამდენად თბილად და პატივისცემით ეპყრობიან მათ. ეს ახალგაზრდები განსაკუთრებული ღირსებით და მონდომებით გადიან სასწავლო კურსს და ის ემოცია, რაც აქ გამოვლინდა, შემთხვევითი არ ყოფილა, მათ ეს დაიმსახურეს. ქართველი ბიჭების ტრაგიკულმა გარდაცვალებამ გული დაწყვიტა პრეზიდენტის ჩათვლით ყველას ამერიკაში. მინდა მადლობა ვუთხრა ყველას, პირველ რიგში გარდაცვლილი ახალგაზრდების მშობლებს, ამერიკის პრეზიდენტს, ქოუსტგარდიის აკადემიის მესვეურებს, ამერიკა ღირსეულად დაემშვიდობა ქართველ კადეტებს. ამ ბიჭების სულები, ალბათ, აქ ტრიალებს დღეს და ისინი ჩვენი ქვეყნის ყველაზე ღირსეული ნაწილი არიან.

ქართველი კადეტების ტრაგიკული დაღუპვის გამო, ამერიკის ხელისუფლებისა და საზღვაო აკადემიის გადაწყვეტილებით, მსოფლიოში წამყვანი სამხედრო აკადემიის კარი კიდევ ორი ქართველი სტუდენტისთვის გაიღება.



დიანა ჟღენტი საქართველოს გენერალური კონსული ნიუ-იორკში:

- ქოუსტგარდის სანაპირო დაცვის აკადემია, ეს არის ერთ-ერთი წამყვანი სასწავლებელი, მსოფლიოში. სასიხარულოა, რომ წარჩინებულმა ქართველმა სტუდენტმა გიორგი ტალახაძემ დღეს დაამთავრა აკადემია, ეს იყო ძალიან ლამაზი ცერემონია. ამერიკის პრეზიდენტმა გამოყო და განსაკუთრებული პატივი მიაგო გარდაცვლილ ქართველ სტუდენტებს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ურთიერთობების ჩამოყალიბებისთვის. დღეს ერთი ქართველი სტუდენტი კვლავ რჩება აქ და აგრძელებს სწავლას. ამ ტრაგედიის შემდეგ აკადემიის კარი დამატებით ორი ახალი სტუდენტისთვის

რა უჯდება ქართველ პოლიტიკოსს მოხალისე, რომელიც მზად არის, ბენზინი გადაისხას

არჩევნების მოახლოებასთან ერთად, პოლიტიკაში ვაჭრობის სეზონი გაიხსნა. ირაკლი წერეთლის გამოჩენა ამის კლასიკურ მაგალითად შეაფასეს, მაგალითად, არასაპარლამენტო ოპოზიციაში. პარლამენტსგარეთ დარჩენილები მიიჩნევენ, რომ წერეთელზე ნაციონალებმა აქცენტი რამდენიმე მთავარი მიზეზით გააკეთეს. პირველი, იაფია და მეორე, დასავლეთში ჟღერადობა ექნება.

იაფია, ანუ წერეთლისთვის ისიც საკმარისია, რომ „რუსთავი 2“-ზე გამოჩნდება და გაპიარდება. მაშინ როცა სხვა პოლიტიკურ პარტიებს ცოტა სხვა მადა და, შესაბამისად, მოთხოვნებიც აქვთ.

მეორე, დასავლეთისთვის მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკოსი პრეზიდენტის უფლებების დაცვისთვის შიმშილობს. ანუ მათთვის სტატუსს აქვს მნიშვნელობა და არა პოლიტიკურ წონასა და გავლენებს. ასე ჩაითვალა.

ანუ თემა მარტივია, მიაჩნიათ არასაპარლამენტო პარტიებს, – წერეთელი იაფია და თანაც მომგებიანი.

როგორც ჩანს, პოლიტიკურ ბაზარზე ფასები ახლა დგება. როგორც ჩვენთვის პირველწყაროსგან გახდა ცნობილი, მოხალისე, რომელიც მზად არის, პოლიტიკოსის ნებისმიერი მესიჯი გააჟღეროს და თავზე ბენზინიც გადავლოს სასოწარკვეთის ნიშნად, მთელ ამ პერფორმანსში, სულ რაღაც, 50 ლარს ითხოვს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მადლობა ქართველ კადეტებს

EXCLUSIVE

გიორგი ტალახაძე: „ამერიკაში ჩვენ მიმართ მეტი ინტერესი გაჩნდა, საქართველოში დაბრუნებას და ქართულ ჯარში ყოფნას ვგეგმავ“

დიანა ჟღენტი: „ამ ტრაგედიის შემდეგ აკადემიის კარი დამატებით ორი ახალი სტუდენტისთვის გაიღება, რომლებიც სექტემბერში ჩამოვლენ საქართველოდან“

გაიღება, რომლებიც სექტემბერში ჩამოვლენ საქართველოდან. რადგანაც სოსო მაკარიძე ამთავრებდა სწავლას და მისი ოჯახი დღეს აქ არ იყო წარმოდგენილი, სიმბოლური იყო ის გარემოება, რომ ამერიკის პრეზიდენტმა მისი დამამთავრებელი დიპლომი შეერთებულ შტატებში საქართველოს ელჩს გადასცა.

ქართველი კადეტი გიორგი ტალახაძე აგვისტოში დაბრუნდება და საქართველოს სამხედრო სამსახურში იმსახურებს.

გიორგი ტალახაძე ქოუსტგარდის აკადემიის კურსდამთავრებული:

- მე და სოსო მაკარიძე ვიყავით პირველი ქართველები ქოუსტგარდის აკადემიაში. რაც საქართველოს და ქართველი ჯარისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ქართველი კადეტების დაღუპვით ჩვენ მიმართ მეტი ინტერესი გაჩნდა, რადგანაც მეტი რამე გაიგეს ჩვენზე. ძალიან დიდი მხარდაჭერაა ჩვენი ქვეყნის მიმართ. სასიხარულოა, რომ კიდევ ორი ქართველი მიიღეს ამ ტრაგედიის შემდეგ და ეს ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს ცხოვრებისთვის. რაც შეეხება ჩემს გეგმებს ამერიკაში, ექვსთვიანი კურსის გავლის შემდეგ, საქართველოში დაბრუნებას და ქართულ ჯარში ყოფნას ვგეგმავ.

თამარ ტალახაძე ქართველი კადეტის, გიორგი ტალახაძის დედა:

- დიდი ხანი ველოდებოდით ამ დღეს. ამაღელვებელი იყო ყველაფერი, მადლობა გიორგის და ყველა იმ ადამიანს, ვინც ამაში მიიღო მონაწილეობა.

ირაკლი ტალახაძე მამა:

- რთული იყო ის გზა, რაც ირაკლიმ აქამდე გაიარა, ჩვენთვის, ოჯახისთვის მოულოდნელიც კი იყო მისი გადაწყვეტილება სამხედრო აკადემიაში წასვლასთან დაკავშირებით. ბევრი სიძნელე გადალახა 2011 წლიდან, რაც ეს გადაწყვეტილება მიიღო, დღეს მე, როგორც საქართველოს მოქალაქე და როგორც მშობელი, ამაყი ვარ ჩემი შვილის სწორი ნაბიჯებით. ჩვენ ყველანი ვემსახურებით საქართველოს.

კონექტიკუტის აკადემიის სტუდენტის დიპლომი წელს 200-მა სტუდენტმა მიიღო, საზეიმო ღონისძიება, ტრადიციულად, ქუდებისა და სამხრეების ჰაერში გასწროლით დასრულდა.

ალაფიშვილი ადეიშვილზე: „როგორ მივედით აქამდე?“

ექსპერტი ლევან ალაფიშვილი მიიჩნევს, რომ ქვეყანაში დაბალი კორუფციული დონის არსებობა მხოლოდ ერთი პოლიტიკური გუნდის დამსახურება არ არის. „არც იმის თქმის საფუძველი არსებობს, რომ, ვთქვათ, ნარმატებული იყო დაჭერები ან სუბიექტური გადაწყვეტილებებით შეიძლებოდა კორუფციის დამარცხება. და რაც მთავარია, როგორ მივედით აქამდე? შეცდომები იყო სერიოზული და ეს თავადვე აღიარეს“, – განმარტავს ლევან ალაფიშვილი ზურაბ ადეიშვილის ინტერვიუზე.

საქართველოს იუსტიციის ყოფილმა მინისტრმა საქართველოს დატოვების შემდეგ პირველი ინტერვიუ უკრაინულ გამოცემა „გლავკომს“ მისცა. ზურაბ ადეიშვილის განმარტებით: „ჩვენი ყველაზე დიდი მემკვიდრეობა ის არის, რომ საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე არაკორუმპირებული და უსაფრთხო ქვეყანაა...“

თბილისში კი ყველა ის ბიზნესმენი გაიხსენეს, ვისაც პროკურატურაში ან შსს-ში ფულს სხვადასხვა მიზეზით „აწერდნენ“. ერთ-ერთი მათგანი თემურ ჩარკვიანი გახლდათ, რომელმაც თვითმკვლელობამდე წერილი დაწერა. თავის დროზე ამ თემაზე „პრაიმტაიმი“ წერდა.

„...წერილში თემური პირდაპირ ადებს ხელს ზურაბ ადეიშვილს, მაგას ჩემი გამწარებისთვის ღმერთი არ გაახარებსო... მომადგნენ და ერთი მილიონი მომთხოვეს. ამხელა თანხა იმ მომენტში არ ჰქონდა, ამიტომ მახინჯაურის ობიექტი ჩაადებინეს ბანკში და ფული წაიღეს. მახინჯაურის გამოსასყიდად ბანკში ნახევარი მილიონი ლარი ჰქონდა შეტანილი, მაგრამ მაღალი პროცენტისა და დაგვიანების გამო ისიც წაართვეს... წერილში პირდაპირ წერს, რამდენი წაართვა ზურაბ ადეიშვილმა. მაგალითად, სიღნაღში 3 მილიონი, ქუთაისში 2,5 მილიონი და ა.შ. გააკეთებინეს სამუშაოები, ცალკე ფული წაართვეს იმის გამო, რომ არ დაეჭირათ. დაადეს უზარმაზარი ვალები და ვეღარ გაუძლო კაცმა. წერილში ბოლოს იმასაც კი ამბობს, ახლა მინდოდა სიცოცხლე, მაგრამ ვეღარ ვუძლებო“, – განუცხადა „პრაიმტაიმს“ ოჯახის ახლობელმა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სოციალური მომსახურების სააგენტომ, პროექტის „იზრუნე მომავალზე“ ფარგლებში, „ნატახტარის“ ქარხანაში დასაქმებული ბენეფიციარები მოინახულა

ასოციაცია „ჩვენი სახლი – საქართველოსა“ და სოციალური მომსახურების სააგენტოს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომელსაც ხელი მოაწერეს აღნიშნული ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა, რევაზ ბარბაქაძემ და ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ, სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორმა, ზაზა სოფრომაძემ.

მემორანდუმი ფონდი „ნატახტარის“ პროექტის – „იზრუნე მომავალზე“ ფარგლებში ურთიერთნამშრომლობასა და გამართული აქტივობების მხარდაჭერას ითვალისწინებს.

კომპანია „ნატახტარის“ მარკეტინგის დირექტორის, თორნიკე ნიკოლაიშვილის თქმით, ფონდის მიზანია მზრუნველობამოკლებული მოზარდების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

„ფონდი ოთხი წელია არსებობს. ყველაზე დიდი მიღწევა, შემიძლია ვთქვა, რომ სხვადასხვა კომპანიებში დასაქმებული 61 ბენეფიციარია. ფონდის მიზანია, მოამზადოს დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მზრუნველობამოკლებული მოზარდები და საზოგადოებაში მათ ინტეგრაციას ხელი შეუწყოს. 61 ახალგაზრდიდან, რომლებიც სხვადასხვა კომპანიებში მუშაობენ, სამი კომპანია „ნატახტარის“ ტექნიკურ განყოფილებაშია დასაქმებული“. – აღნიშნა თორნიკე ნიკოლაიშვილმა.

როგორც ასოციაცია „ჩვენი სახლი – საქართველოს“ ფსიქოლოგიური სამსახურის ხელმძღვანელი, მანანა ომარაშვილი განმარტავს, კომპანია „ნატახტარი“ და აღნიშნული ფონდი დაახლოებით ოთხი წელია, თანამშრომლობენ. მისივე თქმით, მათი წლევანდელი ყველაზე დიდი შედეგი ის ათი ბენეფიციარი სტუდენტია, რომლებიც საქართველოს საუკეთესო უნივერსიტეტებში სწავლობენ.

„კომპანია „ნატახტარსა“ და ჩვენს ასოციაციას შორის თანამშრომლობა 2011 წლიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება. მთელი ამ ხნის განმავლობაში მხარდამხარ შევხვდით ბევრ გამოწვევას და ბევრი წარმატებაც ვიზეიმეთ. არაერთხელ გვითქვამს, წლევანდელი ჩვენი ყველაზე დიდი შედეგია, რომ უკვე 10 ბენეფიციარი სტუდენტი გვყავს, რომლებიც საქართველოს საუკეთესო უნივერსიტეტებში სწავლობენ. ასევე, ბევრი ბენეფიციარი ემზადება სასკოლო საგნებში და სექტემბრისთვის ველოდებით, რომ უფრო მეტი სტუდენტი გვეყოლება. ბენეფიციარებისთვის სტაჟირება და დასაქმება ძალიან მნიშვნელოვანია. რაც შეეხება დამსაქმებლებს, მინდა დიდი მადლობა გადავუხადო Coffee Break-ს, ასევე, Down Town-ს, „გარდენიას“, Skyle-ს, Leaving Stone-ს და კიდევ ბევრ კომპანიას, რომლის ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანს. მთელი ამ წლების განმავლობაში ჩვენ 247 ბენეფიციარს მოვემსახურეთ“. – განაცხადა მანანა ომარაშვილმა.

ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე, სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორი, ზაზა სოფრომაძე აცხადებს, რომ სოციალური პროექტების მთავარი განმახორციელებელი სწორედ სოციალური მომსახურების სააგენტოა. აღნიშნულ პროექტებს შორის კი ერთ-ერთი პრიორიტეტული ადგილი მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს უჭირავთ.

„ბავშვებზე ზრუნვა საქართველოს მთავრობისთვის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი გახლავთ. მთავრობაში გასულ წელს ამ მიმართულებით სპეციალური საკოორდინაციო საბჭო შეიქმნა, რომლის ხელმძღვანელიც პრემიერ-მინისტრი, ირაკლი ღარიბაშვილი გახლავთ და რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი მუშავდება. სოციალური პროექტების მთავარი განმახორციელებელი სოციალური მომსახურების სააგენტოა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ამ სოციალურ პროექტებს შორის, ასევე, ერთ-ერთი პრიორიტეტული ადგილი მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს უჭირავთ. ამ მიმართულებით რამდენიმე პროექტი ხორციელდება. სოციალური მომსახურების სააგენტოსა და საქართველოს მთავრობის სახელით დიდ მადლობას მოგახსენებთ. ვფიქრობთ, რომ ჩვენი თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდება და ძალიან კარგი იქნება, თუ სხვა კერძო კომპანიებიც გაითვალისწინებენ ამ პრაქტიკას, გამოცდილებას. მოგვბაძავენ და ამ ნამდვილად კეთილშობილურ საქმეს, რასაც მზრუნველობამოკლებულ ბავშვებზე მეთვალყურეობა ჰქვია, აიღებენ და სახელმწიფოს შეეხიდებიან“, – აღნიშნავს ზაზა სოფრომაძე.

როგორც ასოციაცია „ჩვენი სახლი – საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი, რევაზ ბარბაქაძე განმარტავს, მათი საქმიანობის ძირითადი მიზანი და მიმართულება, ახალგაზრდების მდგომარეობის გაუმჯობესება და მათთვის სწორი გზის ჩვენებაა.

„ჩვენი ორგანიზაცია უკვე მეხუთე წელია, სააგენტოსთან თანამშრომლობს. ასევე, ვთანამშრომლობთ ფონდ „ნატახტართან“. ჩვენი ორგანიზაცია სამომავლოდ კვლავაც აპირებს მუშაობის გაგრძელებას. ვფიქრობთ დამატებითი რესურსების მობილიზებას, რომ ამ მიმართულებით მუშაობა უფრო გავაძლიეროთ, სოციალური საწარმოს შექმნა იქნება ეს თუ რამე სხვა პროგრამა. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო სოციალური მომსახურების სააგენტოსა და ფონდ „ნატახტარს“ თანამშრომლობისთვის“.

მემორანდუმის გაფორმების შემდეგ „საქართველოს კარიტასის“ მცირე საოჯახო ტიპის სახლის აღსაზრდელებისთვის ქარხანაში ლიმონათის ტური გაიმართა და სტუმრები ლიმონათის ჩამოსხმის სრულ საწარმოო ციკლს გაეცნენ. მათ სამახსოვროდ სერტიფიკატები გადაეცემათ.

გელა გოგილაშვილი, ბენეფიციარი: „სამი წელია, რაც პროექტის ბენეფიციარი ვარ. თვე-ნახევარია, დასაქმებული ვარ კომპანია „ნატახტარის“ ქარხანაში, ლუდისა და ლიმონათის ჩამოსხმის განყოფილებაში. კმაყოფილი ვარ მუშაობით. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო „ნატახტარს“.

შეგახსენებთ, რომ ყოველწლიურად სრულწლოვანების გამო, საშუალოდ, 10-15 ბავშვი გადის სახელმწიფო ზრუნვიდან. სოციალური მომსახურების სააგენტოს ინფორმაციით, სახელმწიფოს მზრუნველობაში დღესდღეობით რამდენიმე ასეული ბავშვია. მათ შორის, მცირე საოჯახო ტიპის სახლებში – 334 ბავშვი, მინდობით აღზრდაში – 1205.

ლუდი „მთიელი“ ქართული ველური სვიის გამოყენებით – გემო, რომელსაც ვეღარასოდეს დაივიწყებთ!

დიდი ხანია, ლუდის რეცეპტი ძველი შუმერების საიდუმლო აღარ არის, თუმცა მისი წარმოების თავისებურებებს დღეს უკვე ეროვნული ტრადიციები და ტექნოლოგიური ინოვაციები განსაზღვრავს. ლუდი „მთიელი“ ტრადიციისა და სიახლის ჰარმონიული ნაზავია. ამდენად, გამორჩეული და განსაკუთრებულიც.

„მთიელი“ ბაზარზე 2012 წელს გამოჩნდა. მისი წარმოება ქართული ლუდის ხარშვის ძირძველ ტრადიციას – ქართულ მოტივებს ეფუძნებოდა. „მთიელში“ დომინანტი ქართული ბუნებაა – „მთიელში“ ყველაფერი ბუნებრივად ქართულია!

მე მიყვარს ჩემი ქვეყანა!..

ამიტომ ქართული ხასიათისა და ბუნების უფრო მეტად წარმოსაჩენად ლუდის წარმოებაში სიახლე გაჩნდა – „მთიელი“ იწარმოება ქართული ველური სვიის გამოყენებით! ველური სვია სითხეს მძაფრ ქართულ არომატს მატებს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნიკოლოზ რაჭველი: „ჩემი საოცნებო კონცერტის მზადებას შევუდექი“

„და დღეს, 12 წლის შემდეგ, კვლავ ვბრუნდებით ერთად სცენაზე“

my View
თამარ გონგაძე

ამ კონცერტისთვის ნიკოლოზ რაჭველი უკვე დიდი ხანია ემზადება. ნატო მეტონიძისა და მაესტროს ტანდემი 12 წლის წინ ოპერის თეატრში ტრიუმფით შედგა. გია ყანჩელის კინოსა და თეატრის მუსიკა წარმოუდგენლად შთამბეჭდავად გადმოიტანეს სცენაზე. კონცერტის დამდგმელი რეჟისორი დავით დოიაშვილია. სამეულის ტანდემი მეორდება, ახალი სისხლით, ახალი გამოწვევითა და დიდი შემართებით. ამ თემასთან დაკავშირებით ამ უნიკალური ტანდემის ვრცელ ინტერვიუს შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ. ახლა კი მაესტროს ემოციას გთავაზობთ.

ნიკოლოზ რაჭველი:

- ამ საღამოს, რომელიც თბილისის საკონცერტო დარბაზში 19 ივნისს გაიმართება, მრავალი წელია ველოდები. ჩემს ცხოვრებაში, ალბათ, ყველაზე წარმატებული და ისტორიული პროექტი გია ყანჩელის კინოსა და თეატრის მუსიკის შესრულებით სწორედ ნატო მეტონიძესთან ერთად მაქვს განხორციელებული. მას მერე ჩვენს ცხოვრებაში ძალიან ბევრი რამ მოხდა... და დღეს, 12 წლის შემდეგ, კვლავ ვბრუნდებით ერთად სცენაზე, რომელზეც ჩვენი სამეულის ტანდემი ყველაზე მეტად მომენატრა და ყველაზე დიდი პასუხისმგებლობის განცდით თითოეულ ბგერას და სცენურ სახეს განსაკუთრებული დამოკიდებულებით ვძერწავთ... ნატო მეტონიძე ახალი პროგრამით და წარმოუდგენლად შთამბეჭდავი კონცეფციით... ძალიან მიხარია, ძალიან ვღელავ და მოუთმენლად ველოდები 19 ივნისს! ვიმედოვნებ, რომ კიდევ ერთ საეტაპო მნიშვნელობის შემოქმედებით ჩანაფიქრს გამოვიტანთ ჩვენი უსაყვარლესი აუდიტორიის წინაშე! გელით!

ქუსლებზე გარბენის მარათონი მეორედ ჩატარდება საქართველოში

„ათეულებად ირბენენ გარკვეულ მანძილს და შემდეგ გამარჯვებულები შეხვდებიან ერთმანეთს“

რომელი ცნობილი სახეები მიიღებენ მონაწილეობას

my View
ნინო მჭედლიშვილი

მრავალი წელია ქუსლებში სირბილის კონკურსი ევროპის 15 ქვეყანაში იმართება. ბოლოს 2009 წელს ჩატარდა ამსტერდამში, სადაც გამარჯვებულს ათი ათასი ევრო გადასცეს. კონკურსში ასამდე ქალმა მიიღო მონაწილეობა და სანახაობას ბევრი ექსცესიც ახლდა. საქართველოში კონკურსი პირველად შარშან ჩატარდა. კონკურსის გამარჯვებული სუხიშვილების მოცეკვავე, 17 წლის ანი მგელიაშვილი გახდა. მარათონის სპონსორებმა სხვა პრიზებთან ერთად გამარჯვებულს გადასცეს ორკაციანი საგზური ანტალიაში.

კონკურსის იდეა საქართველოში შოთა ქელდიშვილს ეკუთვნის. ორგანიზატორები კახი ხაბეიშვილი და თათა ლემონჯავა არიან. კონკურსი, წელს, 7 ივნისს 2 საათზე რიყის პარკშია დაგეგმილი. მსურველები უკვე გამოჩნდნენ. „პრაიმტაიმი“ ექსკლუზიურად დაესწრო პირველ შესარჩევ ტურს. ჩვენ მარათონის ერთ-ერთ ორგანიზატორს, კახი ხაბეიშვილს კონკურსის დეტალები გამოვკითხეთ.

- რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს მარათონის მონაწილე?

- არანაირი კრიტერიუმი არ არის საჭირო. კონკურსში მონაწილეობის მსურველთა ასაკი 15-დან 40 წლამდეა. მთავარი მოთხოვნა ქუსლია, რომლის სიმაღლე არ უნდა იყოს 7 სანტიმეტრზე დაბალი.

- როგორ დაანონსეთ თქვენი კონკურსი?

- არსებობს ფეისბუქგვერდი „ქუსლებზე გარბენის მარათონი“, სადაც მოგვწერეს მსურველებმა და დღეს რამდენიმე გოგონა უკვე მოვიდა რეგისტრაციისთვის. დღეს იყო პირველი ქასთინგი, თუმცა ვისაც ქასთინგი არ გაუვლია, მათაც აქვთ უფლება მიიღონ კონკურსში მონაწილეობა. საბოლოო რეგისტრაცია მოხდება 30 მაისს რიყის პარკში 13 საათზე. რეგისტრაცია უფასოა.

- ცნობილი სახეებიც ხომ არ მიიღებენ მონაწილეობას ამ კონკურსში?

- შევთავაზეთ ნუკი კოშკელიშვილს, ქეთი ორჯონიკიძეს. ზოგს საიდუმლოდ დავტოვებ.

- შარშანდელ გამარჯვებულს წილად ხვდა ორკაციანი საგზური ანტალიაში. წელს რით დაასაჩუქრებთ გამარჯვებულს?

- სხვადასხვა სიმბოლურ საჩუქრებთან ერთად ორკაციანი საგზური რომელიმე ტურისტულ ზონაში. ქვეყანასა და ქალაქს თავად სპონსორი ტურისტული კომპანია გააჟღერებს ფინალზე.

- რისკის მომენტი ძალიან დიდია, გოგონებმა ხომ ქუსლებზე უნდა ირბინონ. მზად ხართ ამისთვის?

- რა თქმა უნდა. ჩვენ შარშანაც გვყავდა მობილიზებული სასწრაფო დახმარების ბრიგადები, საბედნიეროდ არ დაგვჭირდა. წელსაც მივიღებთ სათანადო ზომებს.

- როგორი იქნება ჟიურის შემადგენლობა?

- ხუთკაციანი ჟიური გვეყოლება: მოდელი, მსახიობი, ტელეწამყვანი და სპორტის რომელიმე სფეროს წარმომადგენელი და შარშანდელი გამარჯვებული, ანი მგელიაშვილი.

- 100 გოგო რომ მოვიდეს, ასევე ერთად ხომ ვერ გაიქცევა?

- არა, ათეულებად ირბენენ გარკვეულ მანძილს და შემდეგ გამარჯვებულები შეხვდებიან ერთმანეთს. მეორე-მესამე ადგილებზეც გვაქვს სიმბოლური პრიზები.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სალომე ტეტიაშვი

my View
ნინო მჭედლიშვილი

„სამი თვის ფეხმძიმე ვიყავი, რომ ვუთხარი, შვილი გვეყოლება-მეთქი“

„სალომეს სახლში მამინაცვალს ვერ მოვუყვანდი. ყველა კაცი ოდესღაც მაინც გეტყვის, „შენი შვილიო“, მე კი ამას ვერ ავიტანდი. ამიტომ ვთქვი უარი ბევჯერ“

„სალომეზე იმასაც ამბობდნენ, ბიძინა ივანიშვილის შვილი ყოფილა და რა თავს გვაცოდებსო. არადა, მისი მამის სახელი და გვარი ბიძინა ივანიაშვილია“

„უფრო მობილიზებული გავხდი, უფრო შრომისუნარიანი, კარგად მესმოდა, რომ ჩვენი პატრონი არავინ იყო და ძლიერი უნდა ვყოფილიყავი. უმამაკაცობამ გამაძლიერა“

„წინა დღეს უთხრა, დღეს რაიონში მივდივარ, ჩამოვალ და ხვალ მე მიგიყვან სკოლაშიო. წავიდა და აღარ ჩამოვიდა“

მას მერე, რაც მომღერალი, სალომე ტეტიაშვილი დედასთან ერთად ნაჩუქარ ბინაში გადავიდა, მათი ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა. უმძიმესი სოციალური პირობები, კომფორტმა შეცვალა, სიცივე - სითბომ, ჭურჭლის ერთი კარადა კეთილმოწყობილმა სამზარეულომ, სალომეს დედას ზამთრის სუსხიან დღეებში თეთრეულის გარეცხვა ეზოში ონკანთან აღარ უწევს, მომღერალს თავისი ოთახი აქვს, მისაღებიც, სადაც მეგობრებს უკვე ამაყად უმასპინძლდება. მანამდე კი ბევრი ტკივილი, გაჭირვება გამოარეს...

მომღერალს ფლირტის ობიექტიც ჰყავს, თუმცა, ამ ყველაფერზე დედაშვილი თავად გვიამბობენ.

თამარ ტეტიაშვილი:

- თამარ, ახლა, როცა უკან დარჩა გაჭირვება, რთული წლები, რა გახსენდებათ ყველაზე მძიმედ?

- ბევრი რამ. სალომეს პატარაობა, როცა არ მყავდა ბავშვის დამტოვებელი, რომ მემუშავა და თავი რაღაცნაირად გაგვეტანა. ეს იყო მხედრიონის პერიოდი, როცა ჯიხურში ვმუშაობდი დილიდან დილამდე. სალომე თან მიმყავდა, ჯიხურში ვაძინებდი და მეორე დილით უკან ვბრუნდებოდით სახლში. დილით, მთელი ღამის უძილო, სადილის მომზადებასა და სახლის დალაგებას ვიწყებდი. მძიმედ მახსენდება პერიოდი, როცა სალომეს ბრონხების პრობლემა ჰქონდა და ყოველ დილით ამყავდა სახლიდან საკმაოდ შორს ნაძვნარში, რომ სუფთა ჰაერი ესუნთქა... რომელი ერთი მოვყვე, ბევრია ასეთი.

- სალომეს მამა რომ გაიცანით, რამდენი წლის იყავით?

- ოცის. ჩვენ ერთად ვმუშაობდით კახეთში. მაშინ ის ცოლიანი იყო. გავიდა წლები. ის ცოლს გაშორდა. მაშინ ჩვენ ძალიან კარგი მეგობრები ვიყავით. 22 წლის ვიყავი გრძნობებში რომ გამომიტყდა. მე სამსახური მივატოვე, თბილისში ვიქირავეთ ბინა და ერთად ცხოვრება დავიწყეთ. მას რაიონში უწევდა ხშირად წასვლა. იქ მუშაობდა. 38 წლის ასაკში მეყოლა შვილი. სამი თვის ფეხმძიმე ვიყავი, რომ ვუთხარი, შვილი გვეყოლება-მეთქი. მე მინდოდა შვილი, მას რა უნდოდა, უკვე აღარ მაინტერესებდა.

- რა ერქვა თქვენს ურთიერთობას, ეს იყო ტრადიციული ოჯახი თუ...

- ფურცელზე ჩვენი ცოლ-ქმრობა ხელმოწერილი არ ყოფილა. ჯვარიც არ დაგვიწერია. უბრალოდ, ერთად ყოფნა გვინდოდა და ვცხოვრობდით ერთად.

- ამას არ აპროტესტებდით? ყველა ქალს უნდა ჰყავდეს ტრადიციული ოჯახი, ცხოვრებაში ერთხელ მაინც ეცვას თეთრი კაბა...

- არა. ამ წლების განმავლობაში იმდენად კარგად ვგრძნობდი თავს, ფურცელზე რა ეწერებოდა, უკვე მეორე ხარისხოვანი იყო ჩემთვის.

- როდის დაიწყო პრობლემები?

- როცა ცოლს შეურიგდა. მაშინ სალომე სკოლაში უნდა მიმეყვანა. პირველი სექტემბერი იყო. წინა დღეს უთხრა, დღეს რაიონში მივდივარ, ჩამოვალ და ხვალ მე მიგიყვან სკოლაშიო. წავიდა და აღარ ჩამოვიდა. მას მერე მხოლოდ ერთი დაბადების დღე გადაუხადა, ამით დამთავრდა მისი მამობა.

- რატომ არ იბრძოლე, თუნდაც იმისთვის, რომ შვილს ფინანსურად დახმარებოდა, თქვენ ხომ ძალიან გიჭირდათ, ყველამ ნახა, რა პირობებში ცხოვრობდით.

- ეგ ჩემი სტილი არ არის. არ უნდა? ყველაფერი გასაგებია. არც ერთხელ არ დამირეკავს, უკიდურესი გაჭირვების დროსაც კი. 20 წელი გავიდა, ერთხელაც არ მომიკითხავს. მიუხედავად ყველაფრისა მასთან გატარებულ არც ერთ წუთს არ ვნანობ. იმდენად კარგი ადამიანი იყო, ძალიან დიდი ხანი, ბედნიერი ვიყავი მასთან. მისგან არ მახსოვს, ყვირილი, გინება.

- მისი წასვლის მერე პრობლემები გაორმაგდა?

- შინაგანად რას ვგრძნობდი და რას განვიცდიდი, ამას ჩემთვის შევინახავ. რაც შეეხება ეკონომიკურ პრობლემებს, მისმა წასვლამ უფრო გამაძლიერა. უფრო მობილიზებული გავხდი, უფრო შრომისუნარიანი, კარგად მესმოდა, რომ ჩვენი პატრონი არავინ იყო და ძლიერი უნდა ვყოფილიყავი. უმამაკაცობამ გამაძლიერა. ამ წლების განმავლობაში მივხვდი, რომ კაცი საერთოდ არ არის საჭირო. ეს მათ ჰგონიათ, რომ ძლიერები არიან, სინამდვილეში ქალები უკეთ აგვარებენ პრობლემებს. ქალის საქმეც ვისწავლე და კაცისაც.

- მის მერე ძალიან ბევრი დრო გავიდა, არავინ გამოჩენილა თქვენს ცხოვრებაში, ვისზეც სერიოზულად იფიქრდებდით?

- როგორ არ გამოჩენილა, მაგრამ სალომეს სახლში მამინაცვალს ვერ მოვუყვანდი. ყველა კაცი ოდესღაც მაინც გეტყვის, „შენი შვილიო“, მე კი ამას ვერ ავიტანდი. ამიტომ ვთქვი უარი ბევრჯერ. კაცს, რომელსაც წლების განმავლობაში სითბოს და სიყვარულს ჩუქნი, კარს მიიხურავს და წავა... ნდობას კარგავ ამ სქესის მიმართ.

- იმედგაცრუებული მეჩვენებით.

- არა, იმედგაცრუებული ის უნდა იყოს, მე გაძლიერებული ვარ.

- ჩვენ ყველამ ვნახეთ სახლი, რომელშიც წლების განმავლობაში ცხ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ლი შეყვარებულია?

რაღაც არის ჩვენ შორის რაც მაბედნიერებს

„ეს იყო მხედრიონის ჰერიოდი, როცა ჯიხურში ვმუშაობდი დილიდან დილამდე. სალომე თან მიმყავდა, ჯიხურში ვაძინებდი და მეორე დილით უკან ვბრუნდებოდით სახლში“

„მახსოვს, დედა რომ მეუბნებოდა, დაივიწყე, ვერასდროს მოვაგროვებთ იმდენ ფულს, ჩვენი სახლი რომ გვქონდესო. ოცნების კოშკებს არც მე ვაგებდი, მაგრამ ინტუიცია მკარნახობდა, რომ ჩვენ სახლი გვექნებოდა“

EXCLUSIVE

ოვრობდით. ახლა, როცა ასეთი პირობები გაქვთ, რა შედარებას აკეთებთ ხოლმე?

- მას მერე, რაც ამ ბინაში გადმოვედი, ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ სულ აქ ვცხოვრობდი. თითქოს თავიდან დავიბადე. როცა მე და სალომე დავჯდებით ხოლმე და იმ წლებს ვიხსენებ, მაინც ცრემლები მახრჩობს. როგორ გავუძელი. ყინვაში გარეთ ონკანთან ჭურჭელს, თეთრეულს ვრეცხავდი, მერე ოთახში შემოვრბოდი, ხელებს ვითბობდი და ისევ ვაგრძელებდი. მაშინ ვერ ვხვდებიდი, ახლა ვხვდები რომ ძლიერი ვყოფილვარ. დღეს სახლიდან გარეთ გასვლა არ მინდა. ერთი სული მაქვს სახლში როდის მოვალ, რომ ჩემს სამზარეულოში ვიფუსფუსო.

- თუმცა რამდენიმე თვის განმავობაში ვერ გადმოდიოდით ბინაში, რა იყო ამის მიზეზი?

- გაზი არ იყო ბინაში და სამი თვე დასჭირდა ამ პრობლემის მოგვარებას. კიდევ ერთხელ ვისარგებლებ და ძალიან დიდ მადლობას გადავუხდი მათ, ვინც ეს ახალი ცხოვრება მაჩუქა, უკლებლივ ყველას, ვინც ამ საჩუქრით ადამიანად მაგრძნობინა თავი.

- რა გააკეთეთ პირველი, როცა ბინაში გადმოხვედით?

- ჯერ კიდევ არაფერი იყო ბინაში, არც ერთი სკამი, მაგიდა. მოვიდნენ სალომეს მეგობრები და აივანზე, ძირს გაშალეს სუფრა. თავადაც იატაკზე დასხდნენ და ისე მოილხინეს და იმხიარულეს, მეზობლები აივნებიდან და ფანჯრებიდან იყურებოდნენ, ესენი ვინ გადმოვიდნენო (იცინის).

- ეს ავეჯი, სამზარეულო როგორ შეიძინეთ?

- სალომემ „ბრავოში“ მოიგო 5 ათასი ლარი. ამ თანხით შევიძინეთ საძინებლის საწოლი, გარდერობი, სამზარეულო. მერე მუშაობა დაიწყო. დიდი გეგმები აქვს. აივანი უნდა მოაწყოს საზაფხულოდ ისე, რომ მეგობრები იქ მიიპატიჟოს.

- სალომეს მეგობრები, ალბათ, უკვე თქვენი მეგობრებიც არიან... ვიცი, რომ სალომესთან ძალიან მეგობრული ურთიერთობა გაქვთ. როცა სიყვარულზე საუბრობთ, რა რჩევას აძლევთ შვილს?

- მართალი გითხრა, ამ კუთხით ბევრს არ ვიქექები მის ცხოვრებაში. რასაც მიყვება, იმით ვკმაყოფილდები. როცა რჩევას ვაძლევ, მთავარი ამოსავალი წერტილი სიყვარულია. ძალიან უნდა უყვარდეს, რომ ეს ნაბიჯი გადადგას და ოჯახი შექმნას.

- ამბობენ, შეყვარებულიაო, სალომე.

- სალომეზე იმასაც ამბობდნენ, ბიძინა ივანიშვილის შვილი ყოფილა და რა თავს გვაცოდებსო. არადა, მისი მამის სახელი და გვარი ბიძინა ივანიშვილია... არა, შეყვარებული არ არის, მოხიბლულია ბიჭით, რომელსაც მეც ვიცნობ.

- კარგი ბიჭია?

- ხშირი ურთიერთობა არ მაქვს. კარგი ადამიანი ჩანს. არ ვიცი, როგორ გაგრძელდება მათი ურთიერთობა.

სალომე ტეტიაშვილი:

- შეიძლება ვილაცისთვის სახლის ჩუქება სიურპრიზი იყოს, მაგრამ ჩემთვის სიურპრიზზე ბევრად მეტი იყო. ყველაზე მთავარი ჩემთვის ის არის, რომ ვხედავ როგორ შეუმსუბუქდა შრომა დედას. სახლში წყალი აღარ ჩამოგვდის და დედა ცივ წყალში აღარ რეცხავს ჭურჭელს. მახსოვს, დედა რომ მეუბნებოდა, დაივიწყე, ვერასდროს მოვაგროვებთ იმდენ ფულს, ჩვენი სახლი რომ გვქონდესო. ოცნების კოშკებს არც მე ვაგებდი, მაგრამ ინტუიცია მკარნახობდა, რომ ჩვენ სახლი გვექნებოდა.

- ეს მხოლოდ ინტუიცია იყო თუ მართლა გქონდა ამის იმედი?

- არაფრის იმედი არ მქონდა, იქიდან გამომდინარე, რომ ბევრი წარუმატებელი მცდელობის მერე სიმღერასაც აღარ ვაპირებდი.

- წარუმატებელ მცდელობაში რას გულისხმობ?

- „იქს ფაქტორამდე“ ბევრ პროექტში ვცადე ბედი: „ჯეოსტარზე“, „ახალ ხმაში“, „საქართველოს ვარსკვლავში“ და აბსოლუტურად სამართლიანად შიდა ტურების მერე ვეთიშებოდი კონკურსს. ალბათ, არ ვყავი მზად, ვერ ვავლენდი თავს. „იქს ფაქტორისთვისაც“ არ ვიყავი მზად. უბრალოდ, იმხელა მოთხოვნა იყო მაყურებლის მხრიდან ჩემზე... გადაცემისთვის მთავარი რეიტინგია. შესაბამისად, რაც უფრო დიდხანს ვიქნებოდი პროექტში, მით უფრო კარგი იქნებოდა მათთვის. ყოველთვის ვამბობ და არც ახლა ვიქნები გამონაკლისი, ჩემზე ბევრად ძლიერი კონკურსანტები გავარდნენ ჩემამდე პროექტიდან. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ვინმემ ჩემზე თქვას, ნახე რა თვითკრიტიკული ან ჰუმანურიაო. მართლა ასე ვფიქრობ, გულწრფელი ვარ.

- რა შეცვალა ამ პროექტმა შენს ცხოვრებაში?

- უფრო ბევრმა ადამიანმა გამიცნო. მეტი შემოთავაზება ნამოვიდა, კონცერტებზე მიწვევენ, კორპორატიულ საღამოებზე მეძახიან. ვიშოვე სამსახური. ძალიან ბევრი ჩემზე ბევრად მაგარი მომღერალია საქართველოში, რომელიც სახლში ზის და სამსახური არ აქვს. „იქს ფაქტორმა“ მომცა ის, რომ დღეს საკუთარი შემოსავალი მაქვს.

- თაყვანისმცემლების რიცხვმაც მოიმატა, ალბათ, უცნაურ თაყვანისმცემლებზე მიამბობ?

- (იღიმება) არიან ასეთებიც. მაგალითად, „ფეისბუქზე“ მოუწერიათ, სად ვიყავი იმ დღეს მთელი დღის განმავლობაში, რა მეცვა და თან ყველა ადგილი იცოდა, სად რომელ საათზე მივედი და რას ვაკეთებდი.

- გამოდის, რომ გითვალთვალებენ.

- ალბათ (იცინის).

- სალომე, შეყვარებულიაო, შენზე თქვეს.

- რაღაც არის ჩვენ შორის, რაც მაბედნიერებს, მოწონება ჰქვია, ალბათ, ამას. გრძნობამდე ჯერ საქმე არ მისულა. ასე რომ, ჯერ საინტერესოს ვერაფერს მოგიყვებით.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ბესიკ ხარანაული ახალი მეტაპოეზი

თამარ გონგაძე

21 მაისს გამომცემლობა „ინტელექტმა“ ვაკის მედიათეკაში ბესიკ ხარანაულის ახალი წიგნის – „ყვავი ხის წვერზე ისაღამოებს“ პრეზენტაციაზე მიგვიწვია. პოეტმა და მწერალმა სიბერის საწინააღმდეგო უნარ-ჩვევებზე აგებული კრებული დაგვახვედრა. საინტერესოა ისიც, რომ ამ ახალ წიგნში, რომელიც არც მხოლოდ პოეზიაა და არც პროზა, თავმოყრილია პოეტის მოგონებები. „ეს არის მეტაპოეტური წიგნი, რომელშიც პოეზიაც იგულისხმება და პროზაც. ორივე შეიძლება იყოს ე.წ პოეზია და ე.წ პროზა. ამისთვის გავისარჯე და მე მგონი მიზანს მივაღწიე“, - ამბობს ავტორი.

მიზანს მიაღწია, წიგნიდან რამდენიმე პროზაული ლექსი თუ პოეტური პროზა წაგვიკითხა და მოგვნუსხა. ფრაზებად წამოსული სიბრძნე მარცვლებად დამეთესა. ეს ხომ ვესთერნის სიუჟეტი არ არის მოვყვე, თავად უნდა წაიკითხოთ...

წიგნი ერთ წელში დაწერილ ქმნილებებს უყრის თავს.

„ცხოვრებისგან სხვა არაფრით მისარგებლია, მარტო ასაკით“ – ასეთია წიგნის ავტორისა და მთავარი გმირის განაცხადი. ის 175 წლის პოეტის მდგომარეობაშია, ეს ასაკი მისი ახალი როლია და ახალი სასჯელიც, რომელსაც თვითნებურად იღებს საკუთარ მარტოობაში. ეს ახალი მდგომარეობა (ასაკი, როლი) განაპირობებს კიდეც წიგნის მთავარ თვისებას – სიახლეს, რომელიც მარადიულ თემებს - სიკვდილ-სიცოცხლეს, სიყვარულსა და სიძულვილს განსხვავებული კუთხით წარმოაჩენს. ამ ყველაფერს განუმეორებელი თვითირონიის ხიბლი, მოხდენილი იუმორი ახლავს, რაც კიდევ უფრო მეტი ხალისით შეიტყუებს მკითხველს პროზისა და პოეზიის გასაყარზე შექმნილ, თავბრუდამხვევად რთულ და ამავდროულად მსუბუქ წიგნში.

ბესიკ ხარანაული განწყობის პოეტია და ამაზე ხმამაღლა საუბრობს.

ბესიკ ხარანაული:

- თითქოს ხომ განწყობა არაფერ შუაშია. წარსულში მწერალი თემას აიღებდა და იმაზე წერდა. შეიძლება მითიც დაედო საფუძვლად და ამაში ტრიალებდა. მე ვიწყებ და ვამთავრებ. ორი-სამი დღის მერე დაწერილი არც მინდა რომ ვინმემ მიხსენოს. ქარგა მიჩერდება და მორჩა. მერე სხვა თემა მოდის.

პოეტი მიიჩნევს, რომ პოეზიასა და პროზაში სხვა ვარსკვლავი გვჭირდება და გვინდა. პოეზიის მერე კიდევ რჩება სათქმელიო, ამბობს. ამიტომაც აარჩია და მოიგონა მეტაპოეტური ფორმა. „ხალხურ პოეზიაში, ხშირად, კომენტარის გარეშე ლექსი არაფერია. ლექსის იქით, კიდევ რაღაც არის მნიშვნელოვანი სათქმელი. სულ სხვა საშუალებები უნდა ვეძებოთ, რომელიც აქამდე არ ყოფილა. მეტაპოეტურიც ამიტომ მოვიგონე. ყველა პროზაში მხოლოდ ისაა, რაც პოეტურია. პოეზიას ხომ ჩვენ ლიტერატურას ვუკავშირებთ, არ არის ასე, ის სამყაროს ერთ-ერთი ელემენტია.

კრებულში 50 თავია. თავებს ერთმანეთთან შინაარსობრივი ბმა არ აქვს, ერთმანეთისგან დამოუკიდებელია.

„ადამიანი ჩერდება და სხვა თავზე გადადის. არ გრძელდება შინაარსი. ეს ერთგვარი შვებაა“, - იცინის ავტორი.

სათაური ორიგინალური და საინტერესოა. ყვავი პოეტს ესაინტერესოება და ამაზე ხუმრობით ყვება.

„ნაძალადევში, სადაც მე ვცხოვრობ, ბევრი ყვავია. ამ ფრინველს კარგი თვისება ის აქვს, რომ თავს გაყურებინებს. მტრედი ხომ მობეზრებული აქვს ადამიანს თავისი ფერით და სიმრავლით, ყვავი ლამაზი და საინტერესოა. ლამაზად ზის, თავისთვის არის. მე ცუდი ვერაფერი შევნიშნე. ეტყობა დიდხანს რომ ცხოვრობს შურს იწვევს :) რაღაც სიბრძნე, ალბათ, აქვს. ამდენი ხანია ხალხმა ვერაფერი მოუგონა გარდა იმისა, რომ დიდხანს ცხოვრობს. ალბათ, ამის მიზეზიც აქვს.

- წიგნით სიბერის საწინააღმდეგო რეცეპტებს იძლევით. ახლა რამდენი წლის ბრძანდებით?

- რეცეპტები არა, აქ არის იარაღი და ბევრი სხვა საშუალება, რომ ებრძოლო იმას, რაც კონტურებზე ჩანს. სხვათა შორის, ერთხანობას კრებულს ერქვა „სიბერის წარმტაცი კონტურები“, მაგრამ მერე დავფიქრდი და სათაურის ძებნა გავაგრძელე. ლექსში მიწერია, რომ „175 წლის ტყავი მაცვია და შიგნით 15 წლისა ვიტანჯები“. სწორედ ეგ შეუსაბამობები არიან, რომ სინამდვილეს აღწევენ ხანდახან. ჰარმონიების ისე ძიება აღარ გამოდის, როგორც ხდებოდა. რაღაც უნდა შეიცვალოს, ვიღაც გიჟი, ვიღაც სულელი უნდა გავიმძღვარო წინ, რომ რაღაც ახალი თქვას. უკვე ჩვენი ყნოსვა ვეღარ პოულობს. სხვა ყნოსვა და ძებნა უნდა, სხვა ნადირფრინველი. წერა თვითონ გასწავლის. რა კარგი რამე ვთქვი! :)

- რა ასაკში ხართ ახლა?

- ახლა ძიების ასაკში ვარ, თავისუფალ ასაკში. ესეც კაი მათქმევინე. მოდი კიდევ იქნებ კარგი მათქმევინო.

ზვიად კვარაცხელია:

- „ინტელექტმა“ ბატონი ბესიკის ლექსებისა და პოემების სრული კრებული გამოსცა - 50 წლიანი შემოქმედებითი მეკვიდრეობა. მეტაპოეტური წიგნების ციკლიდან ერთ-ერთი - „მთავარი გამთამაშებელი“. მქონდა პატივი, რომ ერთ-ერთ პირველს წამეკითხა წიგნი „ყვავი ხის წვერზე ისაღამოებს“. ამ წიგნში კიდევ ერთხელ განსაკუთრებული ფორმით ვლინდება ბესიკ ხარანაულის ძიებისა და ქართული ენის საუკეთესო შესაძლებლობების გამოვლენა. ბატონი ბესიკ თავად ამბობს, რომ მისი წიგნების უმთავრესი პერსონაჟი ქართული ენაა. ქართული ენა განსხვავებული ხატებით ჩანს მის ყველა ახალ წიგნში.

მანანა კარტოზია:

- ეს არის საუკეთესოთა შორის საუკეთესო ნაშრომი, სანამ ახალი არ დაწერილა. მე სულზე მომისწრო ამ კრებულის ფორმულირებებმა. სიბერის გაცნობიერებაში ვარ. ამის წაკითხვის მერე მგონია, რომ თამამად შემიძლია შევაბიჯო იმ რეალობაში, რასაც სიბერე ჰქვია. ანდაზები, სახე-

Toyota Prado-ს სენსაციური ფასი – $32 995

თბილისში მდებარე ტოიოტას ორივე ცენტრში, ტოიოტას ბესტსელერებზე – Prado-სა და LC200-ზე, სპეციალური კამპანიის ფარგლებში, აქამდე არნახული ფასები ამოქმედდა.

„ასეთი გადაწყვეტილება პირველად მივიღეთ, გვინდა მომხმარებელს შანსი მივცეთ, რომ სასურველი ავტომობილი საუკეთესო ფასად – 20%-მდე ფასდაკლებით შეიძინოს. Prado „Family 3.0l“-ის შეძენა მომხმარებელს $39,000-ის ნაცვლად, $32,995-ად შეეძლება. Prado „Business 3.0l“ კი, აქციის ფარგლებში, $41,000-ის ნაცვლად – 3$4,995 ღირება“. – აცხადებენ „ტოიოტა კავკასიისა და ცენტრალური აზიის“ ოფისში.

Toyota Prado-სა და LC200-ზე უპრეცედენტო აქცია რამდენიმე დღეა დაწყებულია და უკვე დიდი გამოხმაურება მოჰყვა. თუმცა მისი ხანგრძლივობის შესახებ, წარმომადგენლობაში დაზუსტებული ინფორმაცია არ აქვთ, რადგან აქციის ფარგლებში შემოთავაზებული ავტომობილების რაოდენობა შეზღუდულია.

Toyota-ს ბრენდებს შორის, აღნიშნული მოდელები ყველაზე პოპულარულია და საუკეთესო გაყიდვად მოდელებად ითვლება. აღნიშნულ ავტომობილებზე მოთხოვნა გამოწვეულია მათი საუკეთესო ადაპტირებით უგზოობის პირობებზე და, ასევე, იმ ფაქტით, რომ კომფორტულობის თვალსაზრისით, ეს ავტომობილები უდავოდ პრემიუმ და ბიზნესკლასს განეკუთვნებიან.

აღსანიშნავია, რომ კავკასიაში გამორჩეული პოპულარობით სარგებლობს Prado family-ის 7-სავარძლიანი მოდელი. ავტომობილის ამ სერიას აქვს სავარძლების მესამე რიგი, რომლის დაკეცვის შემთხვევაში მომხმარებელი იღებს საკმაოდ ტევად საბარგულს. ასეთი მოდელები ძალიან

მოსახერხებელია მრავალშვილიანი ოჯახებისთვის, რომლებსაც უყვართ ქალაქგარეთ ან ხანგრძლივ მოგზაურობებში ავტომობილით სიარული.

ტოიოტას წარმომადგენლობაში აცხადებენ, რომ საქართველოში განსაკუთრებით მოთხოვნადია დიზელის მოდელები, რომელთა საწვავის მოხმარების ეკონომიურობა კიდევ უფრო გაუმჯობესებულია: დაახლოებით 8-11 ლ 100 კილომეტრზე ქალაქში. ასევე 226 გ/კმ-მდე შემცირებულია გამონაბოლქვის მაჩვენებელი.

გარდა ამისა, აღნიშნული მოდელების ძარა, MT (მულტილანდშაფტური) მონიტორი და MTS სისტემა მფლობელს საშუალებას აძლევს, აირჩიოს მართვის სასურველი რეჟიმი სხვადასხვა პირობებში სატარებლად. მისი X-HAC – პნევმატური დაკიდების სისტემა კი უზრუნველყოფს ავტომობილის რბილ და კომფორტულ მართვას.

„ჩვენს რეგიონში მოდელები – Prado „Family 3.0l“ და Prado „Business 3.0l“ განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობს. სწორედ ამიტომ აქციის ფარგლებში, პირველ რიგში, ამ ავტომობილების შეთავაზება გადავწყვიტეთ ჩვენი ერთგული მომხმარებლებისთვის“, – აცხადებენ ტოიოტას წარმომადგენლობაში.

რაც შეეხება ტოიოტას დანარჩენ მოდელებს, მათი ფასები აქციის ფარგლებში ასეთია:

Prado „executive 3.0l“ – 57,400 USD –> 50,200 USD,

Prado „business 4.0l“ – 47,700 USD –> 42,395 USD

Prado „executive 4.0l“ – 58,300 USD –> 49,995 USD

LC200 „comfort +“ – 47,400 USD –> 41,995 USD

LC200 „prestige 4.5l“ – 74,400 USD –> 66,975 USD

LC200 „Prestige 4.6l“ – 74,000 USD –> 66,995 USD

LC200 „SE 4.6l“ – 76,400 USD –> 67,995 USD

მომხმარებლებს ავტომობილების აქციების პირობებით შეძენა, „ტოიოტა ცენტრ თბილისსა“ და „ტოიოტა ცენტრ თეგეტაში“ შეეძლებათ.

Ⓐ

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ით - „ყვავი ხისწვერზე ისაღამოებს“

ები, მეტაფორები იმდენია ამ წიგნში, რომ ის შეგიძლიათ დაიდოთ სასთუმალთან და როცა რა გუნებაზე იქნებით, იმ გუნებაზე დაგელაპარაკებათ.

ჩემს სახლში ყველა ციხეზე სუფთა ჰაერია

„მხდალია ადამიანი, ხალხიც მხდალია, მისალმებისაც კი ეშინია, იმიტომ, რომ მხდალია ადამიანის მოდგმა.

დედაჩემი რომ ასეთი მხდალი ყოფლიყო, დარჩებოდა ჩემი მარცვალი სამყაროში გაუღვივებელი,

გავიზრდებოდი ისე, რომ ვერ განვასხვავებდი, სოფლურ ენას წიგნურისაგან.

არ მეცოდინებოდა, რომ „საჯდომი“ წიგნურია და „ტრაკი“ სოფლური.

ვერ დავტკბებოდი მდაბიურთაგან მესვე გალექსებულ ენით, ჯირკვლების ანთება დამემართებოდა.

არ მეცოდინებოდა, რომ „ჩაცეცხლხე“ ნამდვილია და „ჭამე“ კი ევფემისტური. ხოლო „მიირთვი“ გალექსებულია და მდაბიოს ყელზე დაადგება.

აი, რაები გამომრჩებოდა იქ რომ ვიყო, სადაც სხვები არიან.

აი, რაებს არ ვიტყოდი 175 წლისა ტყავი რომ არ მეცვას და შიგნით 15 წლისა არ ვიტანჯებოდე.

„ამ ფრინველს კარგი თვისება ის აქვს, რომ თავს გაყურებინებს. ლამაზად ზის. ამდენი ხანია ხალხმა ვერაფერი მოუგონა, გარდა იმისა, რომ დიდხანს ცხოვრობს. ალბათ, ამის მიზეზიც აქვს“

ქება და დიდება შენ, ბესარიონ, ჯოჯოხეთში გამოზრდილო იქედნეთა შოროს მავალო.

ყველა ჯილდო ხორციელი ხომ მოიპარე და საიქიოს კეთილგანწყობაღა დაგრჩენია.

მწამს, იქაც შეძვრები უბილეთოდ, როგორც თქვენი სოფლის კლუბში. მწამს, გიხილავ სალხინებელში.

სადმე შკოლაში კი არ ისწავლე, არამედ, წელიწადის რვათვიან ზამთარში კლდეში, ღრეში, ქარში, ავდარდარში სამი თითით აღებულ მარილში. რადგანაც შენი „მე“, მკვეთრად გამოხატული ეგოიზმი კი არ იყო, მკვეთრად შეგრძნობილი სიცოცხლის ხე იყო, ძმაო ბესარიონ.

შიმშილი აუგად არ მოიხსენიო, გახსოვდეს, რომ დედაშენს შიოდა.

სიცივე აუგად არ მოიხსენიო, გახსოვდეს, რომ დედაშენს სციოდა, რომლის სხეულში მდგარი ცივი რძე საწოვარათი შენს სხეულში შემოდიოდა, მუცელს გატკიებდა, გატირებდა, გაღნავლებდა, ბესარიონ. ისე გაბღავლებდა, რომ დედაშენი გამთბარ კრამიტზე გაწვენდა პირქვე. მეორე კრამიტი კი ღამის ქოთანი იყო. და თქვენ სახლსაც ხომ ის კრამიტი ეხურა თავზე. მერწმუნე ბესარიონ, ყველაფერი სახსოვარია და აუგად არ მოიხსენიო. სახსოვარია, რომ ერთი ხარ და არა საერთო არსება. რომ ათშიც არ ხარ და არც ათასში და მრავალში ვერ გპოულობენ. რომ ერთი ფეხი სანთელი, რომელიც დედაშენმა აანთო შენი გაჩენის სახელზე. დიდება შენ რომ ჯაგებში შობა არჩიე, ვარდებში გაჩენას...“



ვაკეში „დანკინ დონატსის“ კიდევ ორი ახალი რესტორანი გაიხსნა

„ვისოლ ჯგუფმა“ თბილისში, ვაკეში „დანკინ დონატსის“ კიდევ ორი ახალი რესტორანი გახსნა. რესტორნების გახსნას „ვისოლ ჯგუფის“ პრეზიდენტი სოსო ფხაკაძე დაესწრო.

როგორც სოსო ფხაკაძემ განაცხადა, „ვისოლ ჯგუფისთვის“ პატივია და ამავდროულად საამაყო ის, რომ 3-წლიანი მოლაპარაკებების შედეგად შეძლეს ამერიკის ერთ-ერთი უმსხვილესი და ლეგენდარული ბრენდის, „დანკინ დონატსის“ საქართველოში შემოყვანა. ექსკლუზიურ ხელშეკრულებას 2014 წელს მოეწერა ხელი და 2015 წლის ბოლომდე საქართველოში „დანკინ დონატსის“ 15 რესტორანი გაიხსნება და 500-მდე ადამიანი დასაქმდება.

„ძალიან მოკლე დროში „დანკინ დონატსის“ ამერიკული რესტორნები საყვარელ თავშეყრის ადგილად იქცა. მიმდინარე წლის ბოლოს საქართველოში იფუნქციონირებს „დანკინ დონატსის“ 15 რესტორანი და მომავალ წელს გაგრძელდება რესტორნების შემდგომი განვითარება. ჩვენ, პირველ რიგში, განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ჩვენს ერთგულ მომხმარებლებს, რომლებმაც შეიყვარეს „დანკინ დონატსი“ და ხშირად სტუმრობენ ჩვენს რესტორნებს. სასიხარულოა, რომ მსოფლიოში ცნობილი დანკინის ყავის პროდუქტებთან ერთად მომხმარებლებში, ასევე, დიდი პოპულარობით სარგებლობენ „დანკინ დონატსის“ სენდვიჩები, რომლებიც ყოველდღიურად ახალი ინგრედიენტების გამოყენებით მზადდება და განსაკუთრებული გემოვნური თვისებებით გამოირჩევა.

28 მაისს წყნეთში გავხსნით „დანკინ დონატსის“ კიდევ ერთ რესტორანს „სმარტის“ სუპერმარკეტთან ერთად“, – აცხადებს „ვისოლ ჯგუფის“ პრეზიდენტი სოსო ფხაკაძე.

აბაშიძის ქ. # 86-ში მდებარე „დანკინ დონატსის“ რესტორანში, ასევე, განთავსდა „ვენდის“ კიდევ ერთი Frosty Corner-ი, სადაც წარმოდგენილია სხვადასხვა არომატისა და ინგრედიენტების გამოყენებით შექმნილი 25-ზე მეტი სახეობის ნაყინი, შეიკები და ნაყინზე დამზადებული პროდუქტები.

„დანკინ დონატსის“ მე-2 რესტორანი დღეს ვაკეში, ჭავჭავაძის გამზირზე არსებულ „სმარტის“ სავაჭრო ცენტრში გაიხსნა.

„დანკინ დონატსის“ რესტორნებში მომხმარებელს საშუალება აქვს, დააგემოვნოს უგემრიელესი სენდვიჩების დიდი ასორტიმენტი, ფუნთუშეული, ცივი და ცხელი სასმელები, უმაღლესი ხარისხის ესპრესო, კაპუჩინო, ლატე, ჩაი და Coolatta®-ს პროდუქტები, მაფინები, კრუასანების გამოყენებით შექმნილი სხვადასხვა კერძები და მრავალფეროვანი დონატები.

„დანკინ დონატსი“ ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული, ლეგენდარული ბრენდია, რომელიც უკვე თითქმის 65 წელია, წარმატების ისტორიას ქმნის მთელ მსოფლიოში. „დანკინ დონატსი“ მსოფლიოს 38 ქვეყანაშია წარმოდგენილი.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

საქართველოს ხუთგზის ჩემპიონის, 16 წლის ნიკოლოზ დავლიანიძის წარმატების რეცეპტი

მაგდა კლდიაშვილი

სულ ცოტა ხნის წინ, საქართველოში, ჩოგბურთში, 14 და 16 წლამდელებს შორის ეროვნული პირველობა დასრულდა. 16 წლის ნიკოლოზ დავლიანიძემ, ზედიზედ მეხუთედ, ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა. დაჯილდოების „ცერემონიალი“ კორტებზე გაიმართა.

ნიკოლოზ დავლიანიძე ჯერ მხოლოდ 16 წლისაა და ეროვნული პირველობა უკვე მეხუთედ მოიგო. სპეციალისტები მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ, ოჯახი კი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ პატარა სპორტსმენმა დიდ წარმატებებს მიაღწიოს.

„პრაიმტაიმი“ ნიკოლოზ დავლიანიძეს ესაუბრა, რომელიც საქართველოს ჩემპიონი მეხუთედ გახდა, ზაფხულში კი უდიდესი მისია აკისრია. თბილისის 2015 წლის ახალგაზრდულ თამაშებზე, ის პირველ ნომრად არის განთესილი და ქვეყნის ღირსების დაცვა უნდა მოახერხოს.

პატარა სპორტსმენი ამბობს, რომ წარმატების მისაღწევად შრომაა საჭირო. ჩემპიონის ტიტულისთვის ოთხი მოწინააღმდეგის გამოთიშვა მოუხდა, ყველაზე რთული ბრძოლა კი ფინალი იყო, სადაც მეტოქე 7:6 და 7:4 დაამარცხა და ოქროს მედალსაც დაეუფლა.

ნიკოლოზ დავლიანიძე, ჩოგბურთელი:

- ყველაფერს შრომა უნდა. ბედნიერი ვარ, რომ მოვიგე გათამაშება და კიდევ ვეცდები, უკეთესი შედეგები ვაჩვენო. ჩემი მწვრთნელები გაგა დოლიძე, დათუნა კვერნაძე, ირაკლი უშანგიშვილი და ჩემი ძმა, სანდრო დავლიანიძე არიან. ისინი ფსიქოლოგიურადაც მეხმარებიან. თამაშის დროს კი დიდი მნიშვნელობა აქვს ტაქტიკას, რას გეტყვის და რას გასწავლის მწვრთნელი.

16 წლის ჩოგბურთელი დიდი ადამიანივით ფიქრობს და ამბობს, რომ წარმატების მიღწევაში ყველაზე მეტად მას განონასწორებული ფსიქოლოგიური მდგომარეობა და ნერვები ეხმარება, ეს ყველაფერი კი ხელს უწყობს, რომ ბოლომდე იბრძოლოს, არ დანებდეს.

ნიკოლოზ დავლიანიძე:

- პირველად და მეორედ უფრო გამეხარდა მოგება, უფრო მოულოდნელი იყო, ახლა კი უფრო მშვიდად ვხვდები. მთავარი მიზანი ახლა ის მაქვს, რომ ოლიმპიადაზე რაც შეიძლება კარგად ვითამაშო, შემდეგ კი საერთაშორისო ტურნირებში მივიღო მონაწილეობა და რეიტინგი გავიუმჯობესო.

ნიკოლოზ დავლიანიძე შემდეგ კი საერთაშორისო ტურნირებში მივიღო მონაწილეობა და რეიტინგი გავიუმჯობესო.

ნიკოლოზ დავლიანიძე, 16 წლამდელთა შორის, ევროპის რეიტინგში 32-ე ადგილს იკავებს, 14-წლამდელთა შორის კი ის მე-7 იყო.

პატარა სპორტსმენი სკოლაში სიარულს ვერ ახერხებს, ამიტომ მასთან მასწავლებლები სახლში დადიან. დღეში 4 საათს ვარჯიშობს. ორი საათი ჩოგბურთს და ტაქტიკურ სწვლებას ეხება, ორი საათი კი ფიზიკურ მომზადებას, სავარჯიშო დროის გამო, სკოლაში ვერ დადის, მაგრამ ინდივიდუალურად ემზადება და გადასარევად ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

„სკოლაში ვერ დავდივარ, დილით ორი საათი ჩოგბურთი მაქვს, შუადღით ფიზიკური ვარჯიში. ყველაზე მთავარი ჩოგბურთია, ფიზიკური მომზადება აუცილებელია, ამიტომ სკოლაში ვერ დავდივარ. წარმატების მისაღწევად საკუთარი სპორტი უნდა გიყვარდეს, შრომისმოყვარე და თავდაჯერებული იყო. ისე წარმატებას ვერ მიაღწევ.

ნიკოლოზის ყველაზე დიდი გულშემატკივარი მისი დედაა. ნინო ბალიაშვილი შვილის ყველა ვარჯიშს ესწრება და ხშირად, დრო რომ არ დაკარგონ, ბურთებსაც კი უგროვებს კორტებზე.

ჩოგბურთელის დედა ამბობს, რომ ნიკოლოზმა 4 წლის ასაკში გამოიჩინა სიყვარული ჩოგბურთისადმი და მას შემდეგ არც გაუშვია ხელიდან საყვარელი ნივთი. იმის ფონზე, რომ ჩოგბურთი ძალიან ძვირადღირებული სპორტია და ბევრ შრომას მოითხოვს, ნინო ბალიაშვილი ამბობს, რომ ოჯახი ნიკოლოზის წარმატებისთვის ყველაფერს აკეთებს.

ნინო ბალიაშვილი, ნიკოლოზ დავლიანიძის დედა:

- ჩოგბურთი ისეთი სპორტია, მშობელი აუცილებალდ უნდა იყოს ჩაბმული. ყველა ვარჯიშზე დავყვები, დრო რომ არ დაკარგოს, კორტებზე ბურთებსაც კი ვუგროვებ, სანამ თვითონ ამოისუნთქებს. ოჯახს დიდი როლი აქვს, არაჩვეულებრივი მწვრთნელები ჰყავს, ყველა ძალიან გვეხმარება. ახლა ახალგაზრდულ ოლიმპიადაში მონაწიოლეობს, ოლიმპიური კომიტეტი და ჩოგბურთის ფედერაცია გვეხმარება და მათ ყველაფერი გააკეთეს, რომ ტურნირებზე ეთამაშა და კარგად მომზადებულიყო. რაც შეეხება მის განათლებას, სკოლაში რომ იაროს, ვარჯიშებს ვეღარ მოასწრებს, ამიტომ ინდივიდუალურად ემზადება, სკოლაც ხელს გვიწყობს. თუკი არ იმეცადინებს და არ ისწავლის, გონება თუ არ ექნება გახსნილი, ვერც ჩოგბურთს ითამაშებს.

ნიკოლოზს წინ სერიოზული გამოცდა ელის. ახალგაზრდულ ოლიმპიადაში 48 ქვეყანა მონაწილეობს, მათ შორის პირველ ნომრად განთესილი რომ ხარ, ეს იმას ნიშნავს, რომ სხვებზე უკეთესი ხარ და ფავორიტი ხარ, ამიტომ ისღა დაგვრჩენია, ჩოგბურთელს წარმატება და ოქროს მედალი ვუსურვოთ მომავალ ოლიმპიადაზე.

ნელი თორდია

მართა ცვიჟბა-დემურია შვილებისთვის ალიმენტის დანიშვნის შემდეგ, აპირებს, მორალური ზიანის ანაზღაურებისთვის ყოფილ მეუღლეს კომპენსაცია მოსთხოვოს. „ადამიანმა, რომელმაც ჩემი თანხმობის გარეშე განქორწინება მოახდინა, სამი წელი ტყუილში მაცხოვრა. მეგონა, რომ მასთან ქორწინებაში ვიმყოფებოდი და იმაზე, რაც ჩემს ზურგს უკან ხდებოდა, წარმოდგენა არ მქონდა“, – აცხადებს მრავალშვილიანი დედა.

– მეუღლეს სიყვარულით გავყევი. 2004 წელს გავიცანი. 2009 წელს ილორში ჯვარი დავიწერეთ და 2010 წელს ხელი მოვაწერეთ. ოჯახს ძალიან გაუჭირდა ჩემი გამოშვება, მაგრამ სიყვარულის გამო, ეს ნაბიჯი მაინც გადავდგი. ყველა დავტოვე. მშობლები, მეგობრები, ნათესავები. საერთოდ უცხო ქვეყანაში მოვედი და ახალი ცხოვრება დავიწყე. ოჯახის გულისთვის ძალიან ბევრი რაღაცები ვითმინე. სიზმარშიც ვერ წარმოვიდგენდი, რომ ქმარს გავშორდებოდი. ქალი, რომელსაც ქმართან ცხოვრების იმედი არ აქვს, ოთხ შვილს არ გაარჩენს, მაგრამ შემდეგ მოხდა ის, რაც მოხდა. ჩემი ქმარი მთლიანად დამოკიდებულია მშობლებზე და მათი გავლენით დაიწყო ჩემზე ძალადობა და ფიზიკური შეურაცხყოფა. ჩემს ზურგს უკან გაკეთდა განქორწინება. მოსამართლე ძალადობაზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრას აპირებდა, მაგრამ მე ვუთხარი, რომ ამის გაკეთება არ მინდა, რადგან ის მაინც ჩემი შვილების მამაა. სამი წელი ტყუილში ვცხოვრობდი. სახლიდან გასვლის უფლება არ მქონდა, ვალდებული ვიყავი, ის მეკეთებინა, რაც მათ სურდათ და ამ დროს თურმე განქორწინებული ვიყავი და ეს ადამიანები არავინ არ იყვნენ ჩემთვის.

ვინ წაიყვა

ვენეციის 56-ე თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ბიენალეზე წელს ცნობილი ქართველები გახლდნენ ჩასული. ქართველთა ჯგუფი დავით დოიაშვილმა ექვსი თვით ადრე შეკრიბა. რეჟისორის ინიციატივას მუსკომედიის ჯგუფთან ერთად მისივე სურვილით მარინა ბერიძე, ნიკა გვარამია, დათო მაჭავარიანი, ნინო ბაბუხადია, ნიკა ლომიძე და თეა გობეჯიშვილი შეუერთდნენ. „ვენეციური არდადეგები“ - ასე უწოდეს ექვსდღიან იტალიურ ტურს, რომელიც მხიარულად და ფანტასტიკურად გაუტარებიათ არა მხოლოდ ვენეციაში, არამედ გარშემო, კუნძულებზე. ბიენალეზე კი ქართველი მხატვრების ნამუშევარი ათ საუკეთესო ნაშრომში შევიდა. ემოციებს მუსკომედიის მსახიობი გოგა გველესიანი გვიზიარებს.

გოგა გველესიანი:

- ყოველი დღე სიუპრიზი, ფოიერვერკი, სინათლე, მზე და ბედნიერება იყო. დადებითად ვიმუხტებოდით. არ დავმჯდარვართ, დილიდან დაღამებამდე დავდიოდით.

ბიენალე და არსენალე ქართველთა ჯგუფისთვის ძალიან საინტერესო სანახაობა იყო. დიდი შთაბეჭდილება იაპონელი მხატვრის ნამუშევარს „სულის გასაღებს“ მოუხდენია.

„სათქმელად იოლია, ეს უნდა გენახათ. ერთმანეთში გაბლანდულ ძაფებზე ეკიდა გასაღებები, ეს იყო ნახმარი,

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ოთხი შვილის დედა ქმარს სასამართლოში უჩივის

„მარტო ჩემი ქმარი კი არა, მთელი მისი ოჯახი მოძალადეა. სასამართლოში ჯიპებით მოდიან. ოთხი მანქანა სხვებზე აქვთ გაფორმებული, რომ არ წავართვა და არ რცხვენიათ, როცა ამბობენ, რომ ას ლარზე მეტის გადახდა არ შეუძლიათ“

ვაპირებ, რომ მორალური ზიანის ანაზღაურებისთვის კომპენსაცია მოვითხოვო და ამას აუცილებლად გავაკეთებ. კიდევ კარგი, რომ ის განწყობა, რაც ქმრის ოჯახში ვნახე, სხვაგან არ მინახავს, თორემ აქ დარჩენას ნამდვილად ვერ შევძლებდი.

ამჟამად მიმდინარეობს სასამართლო პროცესი, რომელმაც მართას შვილებისთვის ალიმენტის დანიშვნის საკითხი უნდა მოაგვაროს. დედის თქმით, იმ თანხით, რომელიც ქმარმა ალიმენტის ოდენობად დაასახელა, ოთხი შვილის გაზრდა შეუძლებელია. „ბავშვებს სახლი და საკუთარი კუთხე თუ არ ექნათ, იძულებული გავხდები, აფხაზეთში წავიყვანო“, – აცხადებს მართა.

20 მაისს სასამართლოს მოსამზადებელი პროცესი გვქონდა, სადაც ჩემმა ყოფილმა ქმარმა თითოეულ ბავშვზე ალიმენტის სახით 100 ლარი შემომთავაზა. 100 ლარი და მორჩა... ამ ადამიანებთან მორალურ საკითხებზე საუბარი შეუძლებელია. მარტო ჩემი ქმარი კი არა, მთელი მისი ოჯახი მოძალადეა. სასამართლოში ჯიპებით მოდიან. ოთხი მანქანა სხვებზე აქვთ გაფორმებული, რომ არ წავართვა და არ რცხვენიათ, როცა ამბობენ, რომ ას ლარზე მეტის გადახდა არ შეუძლიათ. ეს იმდენად დამამცირებელია, რომ იმ ას ლარს საერთოდ არ ავიღებ. თუ არ უნდა ბავშვები, მაშინ თქვას, არ მინდა შვილებიო და რომ მეცოდინება, ბავშვებს მამა არ ჰყავთ, მე თვითონ გავზრდი. რომელ სირცხვილსა და მორალზე უნდა ველაპარაკო ადამიანებს, რომლებმაც სახლიდან მაშინ გამომიშვეს, როცა ჩემს შვილს ფეხზე ძაღლის ნაკბენისგან მიყენებული ჭრილობა და 11 ნაკერი ჰქონდა? ასეთ მდგომარეობაში ბავშვს ვინმე სახლიდან გაუშვებს? მე მამას ვთხოვ, საკუთარ თავზე აიღოს ბავშვებზე პასუხისმგებლობა. საგურამოში ძვირადღირებული სახლი აიშენა, სხვადასხვა მანქანებს იცვლის და არ მესმის, მისმა შვილებმა ნაქირავებში რატომ უნდა იცხოვრონ? არ მინდა, მაგრამ ბავშვებს სახლი თუ არ ექნათ, იძულებული გავხდები, აფხაზეთში წავიყვანო. ქუჩაში ხომ ვერ ვიცხოვრებთ? მე დანებებას არ ვაპირებ და მინდა ბოლომდე მივიყვანო ეს საქმეები, იმიტომ, რომ ეს ადამიანები ცდილობდნენ მორალურად ჩემს განადგურებას. სხვა საქმეა, რომ მათ ეს არ გამოუვიდათ. რა თქმა უნდა, ჩემი შვილები აფხაზეთში დადიან ბებიასთან და ძალიან უყვართ იქაურობა. ახლაც იქ არიან, ძიძაც ჰყავთ და ნათესავებისგან არაფერი აკლიათ.

...ნა ვენეციის ბიენალეზე ქართველი სელებრითები?

EXCLUSIVE

გაცვეთილი ნავი, მაგრამ შიგნით რომ შედიოდი, დიდ ზემოქმედებას ახდენდა. იქედან გამოსვლა არ მინდოდა, ისე კარგად ვიგრძენი შიგნით თავი. საერთოდ, არსენალეს და ბიენალეს წლევანდელი მესიჯი იყო - ჩიხში მომწყვდევა. კაცობრიობა ჩიხში, გამოუვალ მდგომარეობაში იმყოფება. აქცენტი გაკეთებული იყო ეკოლოგიაზე, ამოთხრილ და მოჭრილ ხეებზე. საქართველო და თბილისი ამ მხრივ ერთ-ერთ პირველ ადგილას დგას. არსენალეზე ქართველებმა წარმოდგინეს ნამუშევარი „საზღვარი“. იქიდან გამოსულმა ყველამ ვალიარეთ, არ შეგვრცხვა, რომ ქართველები ვართ. საინტერესო იყო გერმანელების ნამუშევარი. ქალების და მამაკაცების ფიტულები წაკუზული იდგა და უკანალში გარჭობილი ჰქონდათ სიგარეტები. სექსმა ფუნქცია დაკარგა, არ აინტერესებთ. ყველა ნამუშევარი გამოუვალ მდგომარეობაში ყოფნის განცდას ტოვებდა. იქ უნდა მოხვდეთ, ვენეციის ბიენალეზე მსოფლიოს პულსაციაა, ხედავ რა ხდება მსოფლიოში, შენს ქვეყანაში და შენს თავს. დიო ფოტოებს სულ მაღებინებდა. ერთ საღამოს ვუთხარი კიდეც, გაკვირდებოდი, მშიერი მგლის ტემპით დადიოდი და გიჟივით ათვალიერებდი ყველაფერს-მეთქი.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გიორგი ნაკაშიძე „პრაიმტაიმს“

„ყველა გოგოსთვის პასუხის მინერას ვერ ვახერხებ. რასაც ვახერხებ ეს ზოგადი მადლობის გადახდაა. ძალიან რთულია პოპულარობა“

„არ ვამბობ, რომ გამარჯვება მინდა, მე უბრალოდ ვიბრძვი, რომ ნამატებას მივაღწიო“

„შარშან დავშორდით. მაგარი იყო პირველი სიყვარული... ეს იყო ძლიერი გრძნობა. დაშორების მერე დეპრესია მქონდა. მაგრამ იმ სიყვარულმა გამაძლიერა. ახლა ვცდილობ, რომ არ შემიყვარდეს“

my View
თამარ გონგაძე

გიორგი ნაკაშიძე - ბათუმის კლიმატისა და ზღვის იოდის დამსახურებით ვოკალურად კიდევ ერთი დაჯილდოებული აჭარის წარმომადგენელი. უკვე მერამდენე ბათუმელია, რომელიც თავისი ვოკალური მონაცემებით გვაოცებს, სათვალავი აირია. არა, იმ ულამაზეს ქალაქში მართლა სულ სხვაგვარად მაგიური ჰავაა. როგორ შეიძლება ყველაზე გამორჩეული ხმის მქონე კონკურსანტები ყველანი ბათუმიდან იყვნენ?! მოკლედ, გიორგი გასული ორშაბათის ერთ-ერთი ფავორიტი იყო. მაყურებელმა მის მიმართ დიდი მხარდაჭერა გამოხატა. საერთოდ, პროექტში გამოჩნდა თუ არა, ყურადღება მაშინვე მიიქცია.

ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში სპექტაკლებს თამაშობს, სწავლობს ბათუმის კონსერვატორიაში, მსახურობს ჯარში და „იქს ფაქტორის“ სცენიდან გოგონებს ატყვევებს. სამი კვირაა სახლში არ ყოფილა და ძალიან ენატრება. დაიბადა მოსკოვში. ცხრა თვის იყო, როდესაც გიორგი საცხოვრებლად სოფელ ურეხში ჩაიყვანეს. დასამახსოვრებელი ბავშვობა არ მქონიაო, ამბობს. დავინტერესედი და ჩავეძიე. არაფერი განსაკუთრებული, ჩემმა რესპონდენტმა ჩვეულებრივად გატარებული პერიოდი იგულისხმა. ცელქი ბავშვი იყო, დაუღლელად დარბოდა, ხიფათიანიც ყოფილა. ხელიც მოუტეხია, ფეხში კისტის თოფიც დაუხლია. სოფლებში იზრდებოდა, ურეხსა და ზედა სამებაში, ქობულეთში. დადიოდა მდინარეზე.

გიორგი ნაკაშიძე:

- გიჟი ვიყავი, სულ ვკიოდი. ემოციებისგან ასე ვიხარჯებოდი. „ომობანას“ ვთამაშობდი, სახლებს წრეებს ვარტყამდი. სოფელს ეტყობოდა მე რომ იქ ვიყავი. ვიკლებდი ხოლმე :) ერთხელ ჩიტებზე ნადირობისას კისტის თოფის ტყვია ფეხში დავიხალე.

11 წლის იყო ბათუმის მუსიკალურ ცენტრში მამის ინიციატივით რომ მივიდა, უკვე შვიდი წელია იქ მღერის. როკსაც მამამ აზიარა. მან მოასმენინა Deep Purples-ის სიმღერები. ასე შემოვიდა როკი გიორგის ცხოვრებაში. უკვე ორი წელია ამ ჟანრში მღერის.

„როცა მივხვდი, რომ ხმა ჩამომიყალიბდა, როკის სიმღერა დავიწყე, ჩემთვის ვმღეროდი“.

გიორგი ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში როკოპერებში მღერის - „რომეო და ჯულიეტა“, „ნოტერდამი“, „იესო ქრისტე სუპერვარსკვლავი“... ამ უკანასკნელში პეტრეს როლი მისცეს. როკოპერა გასტროლით ერევანში ჰქონდათ წაღებული.

სავალდებულო სამხედრო სამსახურს საკუთარი სურვილით იხდის. „ჩემი ვალდებულებაა და

უნდა მოვიხადო“ - ასეთია პატრიოტი გიორგის პასუხი. ჯარმა ხელი შეუწყო და პროექტის გამო გაათავისუფლა.

„კარანტინი თბილისში გავიარე, ოცი დღე. ჯარშიც ვმღეროდი, მაგრამ, რა თქმა უნდა, როკს - არა. ჰიმნს ვმღეროდი და ჯარსაც ვიყოლიებდი. იქაური რეჟიმი გამიჭირდა, მაგრამ გადავიტანე.

მერე მამამ სთხოვა თავი „იქს ფაქტორში“ ეცადა. „ისე მთხოვა უარი ვერ ვუთხარი. ორ საათში მოხდა ყველაფერი, ქასთინგზე გავედი და ამიყვანეს“.

პოპულარობა მოსწონს, მეტროთი მგზავრობისას უკვე ცნობენ. ამბობს, რომ ისეთი ვარსკვლავომანია არასდროს შეიპყრობს, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტით ველარ იმგზავროს და ეს „გაუტყდეს“.

- ბათუმელ მომღერლებს ძმებ ბერიძეებს, ნიკა კიკნაძეს იცნობ?

- ყველას ვიცნობ და ვმეგობრობ. მგულშემატკივრობენ. ნიკა კიკნაძე რჩევებს მაძლევს.

- გიორგი გაბუნიაზე პროექტამდე რა წარმოდგენა გქონდა?

- კრიტიკული შეფასება იცის. ზოგს ისეთ რაიმეს ეუბნება, რომ „გასატეხია“, მიუღებელია. რომ გავიცანი აღმოვაჩინე, ძალიან მაგარი ადამიანია, უფროსი მეგობარია. დიდთან დიდია, პატარასთან - პატარა. მასთან თავს კარგად ვგრძნობ. მაგარია მასთან ერთად მუშაობა. მუსიკოსი არ არის, მაგრამ რაც საჭიროა ყველაფერი იცის. თავიდან მორიდებული და შებოჭილი ვიყავი, მაგრამ გიორგიმ ისეთი მეგობრული ურთიერთობა დაიჭირა, გამხსნა და დავმეგობრდით. ვერც კი წარმოვიდგენდი 40 წლამდე თუ იქნებოდა, გაოცებული ვიყავი. მეგონა 28 წლის იყო და ეს ვუთხარი კიდეც.

- კონკურენცია იგრძნობა?

- ისე მეგობრულად ვართ, კონკურენცია ჩვენ შორის არ იგრძნობა, ზოგადად პროექტში დიდია კონკურენციაა. ძლიერი ნაკადი მონაწილეობს. მე ჩემი თავის იმედი ყოველთვის მაქვს, მაგრამ სცენაზე გასვლის წინ ემოციებში ვარ, ძალიან ვნერვიულობ. წინა ღამეს ვერ ვიძინებ. კულისებში ადგილს ვერ ვპოულობ, გავდი-გამოვდივარ. სცენაზე რომ გავდივარ იქ უკვე მეხსნება ეს დაძაბულობა, იქ ჩემი სივრცეა. ამოვისუნთქავ და სიმღერაში ვარ. ყველაფერში დარბაზიდან წამოსული ენერგეტიკა მეხმარება. ხალხის ემოცია ყველაზე დიდ ძალას მმატებს და უფრო მაგრად სიმღერის სურვილი მიჩნდება.

- შენი ამბიციები მაინტერესებს.

- ამბიციური არ ვარ. არც წინასწარ მიყვარს იმაზე საუბარი, რა შეიძლება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დაკარგულ სიყვარულზე უყვება

EXCLUSIVE

„ჯარშიც ვმღეროდი, მაგრამ, რა თქმა უნდა, როკს - არა. ჰიმნს ვმღეროდი და ჯარსაც ვიყოლიებდი“

„ძალიან სასიამოვნოა, როდესაც ბებო გაჩერებს და გეკითხება - შენ „იქს ფაქტორის“ მონაწილე არ ხარო?“

„მე ჩემი თავის იმედი ყოველთვის მაქვს, მაგრამ სცენაზე გასვლის წინ ემოციებში ვარ, ძალიან ვნერვიულობ. წინა ღამეს ვერ ვიძინებ“

„თავიდან მორიდებული და შეგოჭილი ვიყავი, მაგრამ გიორგიმ ისეთი მეგობრული ურთიერთობა დაიჭირა, გამხსნა და დავმეგობრდით. ვერც კი წარმოვიდგენდი 40 წლამდე თუ იქნებოდა“

„ჩვეულებრივი ადამიანი ვარ და რაც არ უნდა პოპულარული გავხდე, მეტროთი რატომ არ უნდა ვიმგზავრო?“

მოხდეს. მოსალოდნელი ყველაფერია. დაველოდოთ მომავალს. არ ვამბობ, რომ გამარჯვება მინდა, მე უბრალოდ ვიბრძვი, რომ წამატებას მივაღწიო.

- ხალხის რჩეული გახდი, ამან როგორი პასუხისმგებლობა „აგკიდა“?

- დიდი პასუხისმგებლობაა. არც ველოდი ასეთ მხარდაჭერას, გაოცებული დავრჩი.

- რას ელოდები ამ პროექტიდან?

- ამ პროექტისგან ხალხის სიყვარულს ველოდები. ოცნება ავიხდინე, დიდ სცენაზე გამოვედი. მუსიკა ჩემი მომავალი პროფესიაა. მე „იქს ფაქტორმა“ მომცა შანსი, რომ ხალხმა გამიცნოს, დიდ სცენაზე ვიმღერო, პროფესიული თვალსაზრისით გამზარდა, ბევრი რამ შემძინა. ვოკალურად მანანა ჩაუშვამ გამზარდა, ჩემმა ვოკალის პედაგოგმა. ასევე მარინა ჩახუტაშვილმა დიდი წვლილი შეიტანა ჩემი როგორც ვოკალისტის გაზრდაში.

- ცნობილი რომ ხდები, მოგწონს?

- მომწონს, მაგრამ ყველა რომ მიყურებს, უხერხულ მდგომარეობაში ვვარდები. ეს ხდება ქუჩაში, მეტროში... სხვათა შორის, მხოლოდ ახალგაზრდები კი არა, ბებოები და ბაბუები მცნობენ. ძალიან სასიამოვნოა, როდესაც ბებო გაჩერებს და გეკითხება - შენ „იქს ფაქტორის“ მონაწილე არ ხარო? სითბოს გამოხატავენ.

- ანუ ჯერ არ გზღუდავს პოპულარობა და საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობ.

- ხალხის ყურადღება არასდროს შემზღუდავს.

- ვარსკვლავომანია რომ შეგეყაროს?

- ვიცი, რომ ეს არასდროს შემეყრება. ჩვეულებრივი ადამიანი ვარ და რაც არ უნდა პოპულარული გავხდე მეტროთი რატომ არ უნდა ვიმგზავრო?

- გოგონები გააქტიურდნენ?

- კი, „ფეისბუქზე“ აქტიურობენ, მეგობრებში მიმატებენ, ბევრი ვერ მიმატებს და მწერენ, შენ დამამატეო. ყველასთვის პასუხის მიწერას ვერ ვახერხებ. რასაც ვახერხებ, ეს ზოგადი მადლობის გადახდაა. ძალიან რთულია პოპულარობა.

- გართულდა?

- რთულია. ქუჩაში თუკი ვინმე მცნობს, მადლობას ვუხდი. სოციალურ ქსელში ყველას ვერ გასცემ პასუხს.

- გიორგი, შეყვარებული ხარ?

- ჯერ არავინ გამოჩენილა და მერე ვნახოთ რა იქნება. არჩევანი დიდია ნამდვილად. ახლა სულ სხვა სამყაროში ვარ, აბა როგორ მოვიცალო სიყვარულისთვის?

- არც ყოფილხარ შეყვარებული?

- შარშან დავშორდით. მაგარი იყო პირველი სიყვარული, მაგრამ ასე მოხდა, დავშორდით... ეს იყო ძლიერი გრძნობა. დაშორების მერე დეპრესია მქონდა.

- გამოდის, რომ მისი ინიციატივით დაშორდით.

- არა, ეს იყო ჩემი ინიციატივა.

- და ცუდად რატომ იყავი?

- ვხვდებოდი, რომ ჩვენი ურთიერთობის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა და ასეთი გადაწყვეტილება მივიღე. განსხვავებული შეხედულებები გვქონდა ყველაფერზე. სიმღერასთან მას არაფერი აკავშირებდა. ძალიან ვუყვარდი, მაგრამ მოხდა რაღაც და... დავშორდით.

- ამ ურთიერთობამ რა გამოცდილება დაგიტოვა?

- გამაძლიერა. ახლა ვცდილობ, რომ არ შემიყვარდეს, ჯერჯერობით მაინც.

- გულს რომ ვერ უბრძანებ?

- გეთანხმებით. ვცდილობ ისეთი ურთიერთობა არ გავაბა გოგოსთან, რომ შემიყვარდეს. ჯერჯერობით მაინც.

- როგორი გოგონები მოგწონს?

- გეტყვით როგორი არ მომწონს, ცანცარები არ მომწონს. აქტიური, რომ გირეკავს და შევხვდეთო, გეუბნება, ასეთი გოგონა ბიჭს როგორ არ უნდა მოგეწონოს? კარგია გოგონების ზარები, აქტიურობა.

- დედაქალაქში როგორები არიან გოგონები?

- აქ გახსნილი და თამამი გოგონები ცხოვრობენ. ბათუმში, სამწუხაროდ, ასეთი გოგონები არ არიან.

- შენი სამომავლო გეგმა?

- მინდა თბილისში ტურიზმის ფაკულტეტზე ჩავაბარო. ბათუმელი ვარ და მინდა ჩემს ქალაქს და კუთხეს დავეხმარო. არ მიყვარს წინასწარ მომავალზე საუბარი. გეგმები მაქვს, მაგრამ თქმის შემთხვევაში არ შესრულებულა. ამიტომ წინასწარ არაფერს ვამბობ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„მთავარი ჩემთვის ლელას შეფასება იყო და მან შემაფასა ყველაზე კარგად. ლელა სიტყვებს ტყუილად არ ისვრის“

my View
ნინო მჭედლიშვილი

მომღერალმა, სოფო ბედიამ რამდენიმე თვის წინ ჯვარი დაიწერა და მიშა მესხს სამუდამო ერთგულება და სიყვარული შეჰფიცა. მას მერე ხუთი თვე გავიდა. წყვილი ერთ ჭერქვეშ ცხოვრობს და ბედნიერებით ტკბება. მიშა სოფოს ყველა კონცერტზე, ყველა სატელევიზიო გამოსვლაში ჩნდება. ქალაქში ხუმრობით იმასაც ამბობენ, რომ ახალი ლელა და მამულიჩა ჰყავს ქართულ ბომონდს.

სოფოს ლელა წურწუმიას განსახიერება მართლაც მოუწია გადაცემაში „ერთი-ერთში“, მიშას კი მამულიჩასავით ნერვიულობამ - დარბაზში.

სწორედ ამ თემით დავიწყეთ წყვილთან ინტერვიუ.

- სოფო, ჯერ კიდევ მაშინ, როცა გადაცემა „ერთი-ერთში“ „ჯი-დი-ეს“-ის ეთერში გადიოდა, ამბობდნენ, რომ მომღერლები თავად ირჩევენ, ვინ უნდა შეხვდეთ და ლოტოტრონიც იქ ჩერდება სადაც გადაცემის მესვეურებს სურთ...

- რა სისულელეა, ჩვენ მართ-

„სოფოს გამოსვლის შემდეგ დიდხანს ვრჩები გაშტერებული. მერე, როცა მდგომარეობიდან გამოვდივარ, ტაშს ვუკრავ“

ლა ლოტოტრონზე და იღბალზე ვართ დამოკიდებულნი.

- შეგიძლია თქვა, რომ გაგიმართლა, როცა ლელა წურწუმია შეგხვდა?

- ლელა ყოველთვის მიყვარდა, პატივს ვცემ როგორც მომღერალს, პიროვნებას, მაგრამ რაღაც მომენტში შევშინდი. ორჯერ განასახიერეს ლელა ამ პროექტში, ერთხელ ჩემმა ძმამ და მეორედ სალომე ქათამაძემ და როგორც ვიცი, არც ერთი ნომრით არ იყო კმაყოფილი. კონცერტის მომენტშიც კი დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობდი. იმ დონეზე ვნერვიულობდი, დამეტყო კიდეც სიმღერის დროს. მთავარი ჩემთვის ლელას შეფასება იყო და მან შემაფასა ყველაზე კარგად. ლელა სიტყვებს ტყუილად არ ისვრის...

მიშა:

- ლელამ სოფოს თავისი გამოცდილებიდან კარგი რჩევები მისცა, მე მამულიჩამ მომცა რჩევები, როგორ უნდა მენერვიულა (იცინის). ბევრ სირთულეებს შეხვდები, ბინძურ ჭორებსაც მოისმენ, მაგრამ ამას ყურადღება არ უნდა მიაქციოო, მითხრა.

სოფო:

- მიშა ჩემზე ორჯერ მეტად ნერვიულობდა. მამულიჩამ უთხრა, შენ მამულიჩას თამაშობ, ჩემნაირი ხარო (იცინიან).

მიშა:

- ყოველ ტურზე იქ ვარ და მართლა ძალიან ვნერვიულობ. სოფოს გამოსვლის შემდეგ დიდხანს ვრჩები გაშტერებული. მერე, როცა მდგომარეობიდან გამოვდივარ, ტაშს ვუკრავ. ჩემი საყვარელი ადამიანი რომ იმღერებს, იქ ყველაფერი აზრს კარგავს ჩემთვის. ერთი სული მაქვს როდის დამთავრდება პროექტი და როდის დაწერენ ქულებს.

- რა ეგოისტი ხარ?

- არა, იმ მაყურებელს არ ვგავარ მარტო თავის ახლობლებს რომ უკრავენ ტაშს. ეს ძალიან ცუდი მომენტია. მე თავისთავად მემართლება ასე. სოფო რომ მღერის ის მომენტი მახსენდება პოლიტიკური ნიშნით რომ მიჭერდნენ, ისე ვნერვიულობ. „ორ ვარსკვლავში“ რომ მონაწილეობდა მაშინაც ძალიან ვინერვიულე, მაგრამ ეს პროექტი ბევრად კარგია, აქ არავინ ვარდება. ქულებით მესამე ადგილზე ვართ. ბრძოლა გრძელდება, არ ვდუნდებით.

- როგორ ამხნევებ სოფოს?

სოფო:

- მორალურად ძალიან მეხმარება, მამხნევებს, შენ ყველაზე მაგარი ხარ, ბუცი, მიაწექიო, მეუბნება. ეს მხარდაჭერა ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია.

მიშა:

- ყველაფერს ვაკეთებ იმისთვის, რომ ჩემს ცოლს გვერდში დავუდგე. მისი ტკივილი ჩემი ტკივილია, მისი გამარჯვება - ჩემი გამარჯვება. ავაწიოკე ჩემი მეგობრები სხვა სამინისტროებშიც (მიშა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში მუშაობს. ავტ.).

- ამ სამი ტურიდან სოფოს მიერ განსახიერებული რომელი მომღერ-ალი მოგეწონა ყველაზე მეტად?

- ანასთეიშა ხმით მართლა ერთი ერთში იყო. ისე ლელას ნომერი ყველაზე ემოციური გამოვიდა. საერთოდ ქართველი მომღერლები, კარაგად მუშაობენ.

სოფო:

- მინდა ბევრი ქართველი მომღერალი ამომივიდეს. სიამოვნებით განვასახიერებდი, მაგალითად, ეთერ კაკულიას, მაგრამ ამომივა? სქესის შეცვლა ძალიან რთულია. ამიტომაც გამირთულდა ვანდერის შესრულება.

- მიშა, სოფოს პროდიუსერობასაც ხომ არ ითავსებ მამულიჩასავით?

- ჯერ არა, მაგრამ შეიძლება მოვიდეს დრო და გავხდე სოფოს პროდიუსერი. არც ახლა ვარ გულგრილი მისი საქმიანობის მიმართ. დავყვები კონცერტებზე, ზოგჯერ ვუგეგმავ კიდეც. ბევრ რამეში ვეხმარები.

- ყველაფერს აკეთებს რაც პროდიუსერს ევალება და რატომაც არა, დავარქვათ ჩემი პროდიუსერი.

- სოფო, შენმა პროდიუსერმა გირჩია, რომ ცხვირის ოპერაციის გაგეთებინა?

მიშა:

- მე ოპერაციამდე შემიყვარდა სოფო. როცა მან ეს გადაწყვეტილება მიიღო, არ ვიყავი თანახმა.

სოფო:

- ღიმილს ხომ არ შეცვლის ნაოპერაციევი ცხვირიო, ეს კითხვა დასვა ოპერაციამდე. ოპერაციის მერე, შეშუპების გამო ვერ ვიღიმოდი. სანამ ყველაფერი გაივლიდა, მართლა არ ვგავდი სოფოს. მიშამ რომ შემომხედა მითხრა, სასწრაფოდ დაგიბრუნონ ძველი ცხვირი და ის ღიმილიო. ვეუნბებოდი, დაწყნარდი, გაივლის ყველაფერი და ღიმილიც დაბრუნდება-მეთქი. აი, ხომ მოგწონს ახლა ჩემი ღიმილი?

მიშა:

- დიდი განსხვავება არაა. რა თქმა უნდა, მომწონს. უბრალოდ, არ მინოდოდა გადაეტანა ის სტრესი, რაც ოპერაციას უკავშირდება.

„სოფო რომ მღერის, ის მომენტი მახსენდება, პოლიტიკური ნიშნით რომ მიჭერდნენ, ისე ვნერვიულობ“

„ბაცნოების მეორე დღეს რომ დავურეკე მიშას დედას და მაყვალა დეიდა დავუძახე, დეიდა არა, დედა დამიძახეო, მითხრა. იმ დღიდან ვეძახდი დედას“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„მე ოპერაციამდე შემიყვარდა სოფო. როცა მან ეს გადაწყვეტილება მიიღო, არ ვიყავი თანახმა“

მიშა მესხი ცოლის ცხვირის ოპერაციის წინააღმდეგი იყო

„შეიძლება, ამ ეტაპზე, ჩემს ცოლს ნამდვილ ოქროს კოშკებს ვერ ვუდგამ, მაგრამ ჩემი რომანტიკულობით ყველაფერს ვაკეთებ იმისთვის, რომ თავი ბედნიერად იგრძნოს“

„ჭამას მიშლის, უნდა რომ წონაში დავიკლო“

„ჩვენ ძმაკაცები ვართ. მიხარია, რომ ჩემს ცოლს არაჩვეულებრივი ურთიერთობა აქვს ჩემს მშობლებთან, ჩემს ძმასთან, ნათესავებთან. ყველას უყვარს“

- თქვენი შეუღლებიდან ოთხი თვე გავიდა. მიშა, როგორი ცოლი გამოდგა სოფო?

- არაფერი შეცვლილა. ისევ შეყვარებულები ვართ და მინდა ასე გაგრძელდეს სულ. უბრალოდ, ერთ ჭერქვეშ ვცხოვრობთ.

- ძალიან კარგი ქმარია მიშა, ძალიან.

- არ გინდა ახლა ეს ქება-დიდება.

- ხარ და! შენ მართლა კარგი ქმარი ხარ.

- ქმარი ლიდერი უნდა იყოს სახლში. ყველაფერს უნდა აკეთებდეს იმისთვის, რომ მისი საყვარელი ქალი ბედნიერი იყოს. შეიძლება, ამ ეტაპზე, ჩემს ცოლს ნამდვილ ოქროს კოშკებს ვერ ვუდგამ, მაგრამ ჩემი რომანტიკულობით ყველაფერს ვაკეთებ იმისთვის, რომ თავი ბედნიერად იგრძნოს.

- ტყუილი ოქროს კოშკები არ მინდა. მე შენს გულში მაქვს ოქროს კოშკი, მთავარი გულია.

- რაზე კამათობთ ხშირად?

- ძირითადად მანქანის მართვასთან დაკავშირებით ვკამათობთ. სოფო ახალი მძღოლია და ბევრ რამეს ჯერ კიდევ ვასწავლი. როცა ერთად მივდივართ სადმე, უნდა თავად დაჯდეს საჭესთან... კიდევ ჭამაზე ვჩხუბობთ, ნუ ჭამო, მიშლის, უნდა რომ წონაში დავიკლო.

სოფო:

- გვიან რომ აღარ ვაჭმევ, ღამის სამ საათზე დგება, გადის სამზარეულოში, რაღაცას შეჭამს და მერე მომიცუცქდება, იმას კი ვერ ხვდება, საჭმლის სუნი რომ ამოსდის, ვხვდები რაც ჩაიდინა (იცინიან).

- მეც კი მინდა დავიკლო წონაში, მაგრამ იმხელა სამეგობრო წრე გვყავს, სულ ქორწილებში და დაბადების დღეებზე გვიწევს სიარული... რთულია ძალიან ამ დროს ჭამა-სმისგან თავი შეიკავო.

- სოფო, მანქანა ქმარმა გიყიდა, ძაღლიც...

- ჰო, ძაღლი ყველაზე მაგარი საჩუქარია, რაც მიშას ჩემთვის გაუკეთებია. შვილივით გვიყვარს ორივეს. ორთაჭალის სახლში გვყავს და ჩვენც ხშირად ვართ იქ.

- მიშა, კითხვაზე არ მიპასუხე, როგორ ცოლი გამოდგა სოფო?

- თავად არ ვარ მომთხოვნი. ბავშვობიდან მაქვს ეს, რომ არ მიყვარს არავის შეწუხება. დედაჩემსაც კი არ ვაწუხებდი, სანამ ცოლს მოვიყვანდი. ამას წინათ ძაღლს ვუდუღებდი საჭმელს გაზქურაზე და გადმომივიდა. დედაჩემს რომ არ ენახა და ეწვალა, თავად გავწმინდე გაზქურა. დღესაც, სამსახურში წასვლის წინ, არ მითქვამს სოფოსთვის პერანგი გამიუთოვეთქი. თავადაც ვახერხებ. წელიწადნახევარი მარტო ვცხოვრობდი ვილნიუსში. მაშინ პოლიტიკური ნიშნით გაქცეული ვიყავი ქვეყნიდან. მივეჩვიე საკუთარი თავის მოვლას.

- გემრიელი ხელი აქვს სოფოს?

- სალათა მიყვარს სოფოს გაკეთებული, ისე კარგად ჭრის კიტრს და პომიდორს (იცინიან).

სოფო:

- ჩემი კოტლეტი და პიურე გამოგრჩა.

- ჰო, რასაც აკეთებს გემრიელი გამოსდის, მართლა. ერთხელ, ბორჯომში ვისვენებდით და ისეთ გემრიელ კერძებს აკეთებდა იქ, ტკბილ მოგონებად მექცა. უბრალოდ, დრო არ აქვს ახლა. სოფო ძალიან მაგარი ცოლია, ძალიან მაგარი მეგობარია, ჩვენ ძმაკაცები ვართ. მიხარია, რომ ჩემს ცოლს არაჩვეულებრივი ურთიერთობა აქვს ჩემს მშობლებთან, ჩემს ძმასთან, ნათესავებთან. ყველას უყვარს.

სოფო:

- გაცნობის მეორე დღეს რომ დავურეკე მიშას დედას და მაყვალა დეიდა დავუძახე, დეიდა არა, დედა დამიძახეო, მითხრა. იმ დღიდან ვეძახდი დედას, მაშინ რძალიც არ ვიყავი.

მიშა:

- დედაჩემმა კარგად იცოდა, რომ მე ცუდ ქალს არ მოვიყვანდი ცოლად, ამიტომაც მენდო, პირველივე ნახვით შეიყვარა და მიიღო. ჩემს შვილსაც იგივენაირად მოვექცევი მე.

- შვილი ახსენე, ამ მხრივ ხომ არ გაქვთ სიახლე ოჯახში?

- ჯერ არა, პროექტებს დავამთავრებთ და აუცილებლად შევუდგებით მაგ საქმესაც.

- ჯერ არ დაგიწყიათ?

სოფო:

- წყვილმა გარკვეული პერიოდი უნდა მოისიყვარულოს ერთმანეთი, მერე ყველაფერი იქნება, პატარები ვართ ჯერ, 30 წლისები.

„ოპერაციის მერე, შეშუპების გამო ვერ ვიღიმოდი. სანამ ყველაფერი გაივლიდა, მართლა არ ვგავდი სოფოს. მიშამ რომ შემომხედა, მითხრა, სასწრაფოდ დაგიბრუნონ ძველი ცხვირი და ის ღიმილიო“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N20 (321) ორშაბათი, 25 მაისი, 2015 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

ქორწინებაზის ოთხი თვე და სოფო exclusive ბედნიას პროდიუსერად ქცეული ქმარი

რატომ გაშორდა ნინო ჭოლაძე ქმარს exclusive

„ცოლ-ქმარი ცალ-ცალკე არ უნდა ცხოვრობდეს“

exclusive

სალომე ტეტიაშვილი შეყვარებულია?

„რალაც არის ჩვენ შორის რაც მაბედნიერებს“

exclusive

გიორგი ნაკაშიძე „პრაიმტაიმს“ დაკარგულ სიყვარულზე უყვება

„ძარშან დავშორდით. მაგარი იყო პირველი სიყვარული... ეს იყო ძლიერი გრძნობა. დაშორების მერე დეპრესია მქონდა. მაგრამ იმ სიყვარულმა გამაძლიერა. ახლა ვცდილობ, რომ არ შემიყვარდეს“

exclusive

ბესიკ ხარანაული ახალი მეტაპოეზიით - „ყვავი ხისწვერზე ისაღამოებს“

საქართველოს ხუთგზის ჩემპიონის, 16 წლის ნიკოლოზ დავლიანიძის წარმატების რეცეპტი

exclusive

ISSN 1987-7404

9 771987 740005

შპს „ასავალ-დასავალის სტამბა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება